გაზეთი ბევრია, „ვერსია“ ერთი

ვერსია

№51 (807) 10 - 12 მაისი, 2013 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

20 გვერდი 40 თეთრი

ივანიშვილი „ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატს ნაცმოძრაობასთან შეათანხმებს?!

გვ. 3

„ბატონო პრემიერო, ქვეყანას „კოშკიდან“ რომ არ მართავდეთ, გაეცანით პრესასა და ტელევიზიაში ყოველდღიურად აღბეჭდილ სახელმწიფოსთვის საჭირბოროტო საკითხებს!“ გვ. 12

„ივანიშვილი საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას ქმნის, რომლის ცეკა-ს გენმდივანიც იქნება!“

გვ. 7

სკანდალური ინტერვიუ „ახლების“ ეკონომიკური მიმართულების ხელმძღვანელ **ლევან კალანდაძესთან**

„საქართველოს მხრიდან ჩერქეზთა გენოციდის აღიარება სრული იდიოტიზმი იყო“

გვ. 4

ქართველ პარლამენტართა გასტრონომიული ვნებანი

გუბაზ სანიკიძემ გადეპუტატება ხარის დაკვლით აღნიშნა, გივი თარგამაძე პარლამენტის სხდომებს მთვრალი ესწრება, მარიამ საჯაია კი სალამოობით ძვირადღირებულ კონიაკს სასტუმროს ნომერში მეგობრებთან ერთად მიირთმევს

„შალვამ გვითხრა, მერაბიშვილს გავურიგდიო!“

გვ. 5

„ეს 55 000 არაფერია იმასთან შედარებით, რა საბანკო ანგარიშებიც აქვს შვეიცარიაში. ასევე, აქვს დუპლექსის ტიპის ბინა ვენაში და აშენებს უზარმაზარ სასახლეს თავის სოფელში, ბაზალეთში — შეგიძლიათ, ჩაბრძანდეთ და ნახოთ!“

სოსო შაფბერაშვილი შალვა ნათელაშვილს სკანდალურ ბრალდებებს უყენებს

ირაკლი ღარიბაშვილი ოფიციალური ვიზიტით ისრაელში იმყოფებოდა

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილი ოფიციალური ვიზიტით ისრაელში იმყოფებოდა, სადაც თავის კოლეგას, ისრაელის შინაგან საქმეთა მინისტრ გიდეონ საარს შეხვდა. ამასთან, შეხვედრა გამართა ისრაელის კონტრტერორისტული ბიუროს ხელმძღვანელ ეითან ბენ-დევიდთან. შეხვედრებზე საუბარი ორი ქვეყნის სამართალდამცავ სტრუქტურებს შორის ურთიერთთანამშრომლობასა და სამომავლო პერსპექტივებს შეეხო.

ისრაელში ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში, შს მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ისრაელის სახმელეთო დაცვისა და კავშირგაბმულობის მინისტრ გილან ერდანს შეხვდა. შეხვედრაზე ხელი მოეწერა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ისრაელის სახელმწიფოს საშინაო ფრონტალური დაცვის სამინისტროს შორის საგანგებო სიტუაციების სფეროში თანამშრომლობის შესახებ ურთიერთგაგების მემორანდუმს. მინისტრმა სასაზღვრო პოლიციის ბაზა დაათვალიერა და საჩვენებელ წვრთნებს დაესწრო.

ასევე, გაიმართა შეხვედრა საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობის შემსრულებელ ზეევ ელკინთან, ისრაელის უშიშროების მინისტრ იცჰაკ აარონოვიჩსა და ისრაელის მთავრობის სხვა ოფიციალურ პირებთან.

ოფიციალური შეხვედრების შემდეგ, საქართველოს შს მინისტრმა და დელეგაციის წევრებმა იერუსალიმის ჯვრის მონასტერი და მაცხოვრის საფლავი მოინახულეს. მინისტრმა იად ვაშემის მუზეუმი დაათვალიერა და ჰოლოკოსტის მსხვერპლთა მემორიალი გვირგვინით შეამკო.

„ვერსიანიუსი“

9 მაისს ვეტერანებისთვის ტრადიციული საზეიმო ვახშამი არ გაიმართა

ქრისტინე მალანია
5-93-608-508

9 მაისს, ვაკის პარკში მისულს, ჩემდაუნებურად, ბაბუა გამახსენდა — 84 წლისაა, მეორე მსოფლიო ომის მონაწილე... უხასიათოდ მივუყვები უცნობი ჯარისკაცის საფლავისკენ მიმავალ გზას... თვალი ჩინ-მედლებით დახუნძლულ, საბჭოთა მფრინავის სამხედრო ფორმაში გამოწყობილ მოხუცს მოვკარი... ფოტოაპარატი მოვიმარჯვე... მოხუცმა გამიღიმა... მივუახლოვდი და მისი ცისფერი, ცრემლიანი თვალების დანახვაზე ისევ ბაბუაჩემი გამახსენდა... მოხუცს კომპლიმენტი ვუთხარი, კარგად გამოიყურებით-მეთქი... გულიანად გაიცინა, მერე ხელი გამომიწოდა, ლერი სურმავა გახლავართო...

ფაშიზმზე გამარჯვების 67-ე წლისთავს ვეტერანები, ტრადიციულად, ცრემლით, მედლებითა და ფრონტის ისტორიებით აღნიშნავენ... ერთმანეთს 67-ჯერ უყვებიან გამარჯვების, გმირობისა თუ შინ დაბრუნების ისტორიას....

ბაბუასა და შვილიშვილს წავაწყდი: ორივეს სამხედრო ფორმა აცვია და მედლებიც ბლომად აქვთ. შვილიშვილი 16 წლისაა და მეორე მსოფლიო ომის ისტორიებს ბაბუას ნაცვლად ჰყვება. ლეონიდ ხუციშვილი შვილიშვილს ამაყად უსმენს... ვარკვევ: უმცროსი ხუციშვილი, 16 წლის ლევანი მეორე წელია, კადეტთა სამხედრო ლიცეუმში სწავლობს და ლეიტენანტობას აპირებს.

— კარგი არჩევანია, — ვეუბნები ბიჭს, გულში კი ვფიქრობ, იმედია, ბაბუის მსგავსად, ომში მონაწილეობა არასდროს მოუწევს-მეთქი.

მართალია, ფრონტული ისტორიებით არ დაინტერესებულან, მაგრამ უცნობი ჯარისკაცის საფლავი, ერთმანეთის მიყოლებით, ყვავილებით პრემიერმა, თავდაცვის მინისტრმა, თბილისის მერიის წარმომადგენლებმა და სხვა პოლიტიკოსებმა შეამკეს. ჩინოვნიკების მოლოცვა კი უხაროდათ, მაგრამ ვეტერანები პრივატულ საუბრებში ამბობენ, რომ წელს ტრადიციული საზეიმო სადილის გარეშე დარჩნენ.

— რას გეუბნებიან, წელს რატომ დაირღვა ეს ტრადიცია? — ვეკითხები ერთ-ერთ მეომარს.

— ფული არ გვაქვსო, ამბობენ. არადა, ადრე, ვაკის პარკიდან რომ მივდიოდით, ვსხდებოდით, პურს ვჭამდით, სტალინს ვადღეგრძელებდით...

მოგვიანებით გავარკვიე: 9 მაისს საზეიმო ვახშამი გაიმართა, მაგრამ მას მხოლოდ 150 ვეტერანი დაესწრო...

— ერთი კვირა უნდა სტალინს და დაალაგებდა ამ ქვეყანას, — მეუბნება ომის ვეტერანი ქალბატონი, 90 წლის ივლიტა მუჭარიძე...

ვაკის პარკში თვალი თავდაცვის შევარდნაძისდროინდელ მინისტრს, დავით თევზაძეს მოვკარი.

„რომ შემეძლოს, მხოლოდ დღევანდელ დღეში გავცვლიდი ყველა დღესასწაულს“, — მითხრა თევზაძემ...

ბაბუაჩემის ნათქვამი გამახსენდა, ვიდრე გმირების სიცოცხლეში დაფასებას არ ვისწავლით, ქართველებს არაფერი გვეშველებაო...

დაცვის პოლიციის დეპარტამენტი საკონტრაქტო სამსახურში მიღებას აცხადებს

125
დაცვის პოლიცია
SECURITY POLICE

SECURITY POLICE 125
SECURITY POLICE 125
www.125.ge

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტი აცხადებს 18-იდან 27 წლის ასაკის მოქალაქეთა მიღებას საკონტრაქტო სამსახურში.

სამხედრო აღრიცხვაზე მყოფი მოქალაქეები სამსახურში მიიღებიან ერთი წლის ვადით. დაცვის პოლიციაში სამხედრო სავალდებულო სამსახურის მოხდა, წვევამდელების გარდა, შეუძლიათ სტუდენტებს, ოჯახში ერთადერთ შვილებს, 27 წლამდე მამაკაცებს, რომლებსაც ჰყავთ ცოლ-შვილი. სამხედრო სავალდებულო სამსახურის მოხდის შესახებ კანონმდებლობის მიხედვით აღნიშნული კატეგორიის მოქალაქეები შეღავათებით სარგებლობენ, თუმცა თუ მათ სამომავლო კარიერისთვის სურვილი აქვთ, გაიარონ სამხედრო სამსახური, შეუძლიათ მიმართონ შსს-ს დაცვის პოლიციის დეპარტამენტს.

საკონტრაქტო სამსახურის პირობები:
ვადა: 12 თვე
გრაფიკი: სამ დღეში ერთხელ 24 საათიანი რეჟიმი (შესაძლებელია სწავლის შეთავსება).
ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაზღვევა;
ყოველთვიური ანაზღაურება: 90 ლარი;

სამსახურში ჩასარიცხად საჭიროა:
1) კანდიდატი მობრძანდეს დაცვის პოლიციის დეპარტამენტში მისამართზე: აღმაშენებლის ხეივანი მე-11 კმ.
2) დაასახელოს/წარმოადგინოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, ან სხვა ძალოვანი უწყების თანამშრომლის რეკომენდაცია;
3) გაიაროს გასაუბრება და ჯანმრთელობის კომისიის შემოწმება;
წარმატებული კანდიდატები ორი კვირის განმავლობაში გაივლიან სპეციალური მომზადების კურსს. სამხედრო ფიცის მიღების შემდეგ ჩაირიცხებიან შინაგან საქმეთა სამინისტროს საკონტრაქტო სამსახურში და დაცვის პოლიციის დეპარტამენტის სხვადასხვა ქვედანაყოფებში გადანაწილდებიან.
დაინტერესებულ პირებს დამატებითი ინფორმაციისთვის შეუძლიათ დარეკონ ნომერზე: 125 (ზარი უფასოა).

რუსუდან შელია
557-100-768

ივანიშვილი „ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატს ნაციონალურ მოძრაობასთან შეათანხმებს?!

„როცა ხელისუფლებამ დაადასტურა, რომ ნაციონალური მოძრაობისგან მემკვიდრეობით უკანონო ფარული ჩანაწერები ერგო, მაგრამ მის განადგურებაზე არაფერი თქვა, პირადად ჩემთვის, ცხადი გახდა, რომ ეს ბინძური კადრები ოდესღაც, სწორედ ახალი მმართველი გუნდის წინააღმდეგ ამოტივტივდებოდა. თუ გიორგი ფარესაშვილის განცხადება გია ხუხაშვილის, გელა ხვედელიძისა და ლაშა ნაცვლიშვილის წინააღმდეგ სიმართლეს შეესაბამება, ბიძინა ივანიშვილის თქმის არ იყოს, ეს ახალი ხელისუფლებისთვის კატასტროფის ტოლფასი იქნება“, — აცხადებს „ვერსიასთან“ საუბრისას ექსპერტი ვანო მაჭავარიანი.

— **ბატონო ვანო, ივანიშვილმა განაცხადა, ფარული კადრების გავრცელება ნაციონალებსაც შეეძლოთო. ახალ ხელისუფლებას ამ მასალის გამომზეურება რაში აწყობდა?**

— ჯადოქრებისა თუ „ვეძმების“ ძიება სასაცილოა. ახალ მთავრობას თავიდანვე რომ ეთქვა, ფარული კადრები აღმოვაჩინეთ, მაგრამ გავანადგურეთო და თუნდაც არ გაენადგურებინა, ეჭვი არავის გაუჩნდებოდა, რომ ამ შემთხვევაში, საქმე ნაციონალების პროვოკაციასთან გვექნებოდა. ახლა კი, საზოგადოების ნაწილმა მართლაც დაიჯერა, რომ ხუხაშვილმა, ნაცვლიშვილმა და ხვედელიძემ გიორგი ფარესაშვილის მიმართ გარკვეული შანტაჟი განახორციელეს. სიმართლე გითხრათ, არ მესმის, რისთვის ინახავს შინაგან საქმეთა სამინისტრო ამ კადრებს. პროცესის გაწელვამ ხელისუფლება იქამდე მიიყვანა, რომ ახლა მმართველ გუნდს თავისმართლება უჭირს. კვალი, ჯერჯერობით, ძალოვანი სტრუქტურების მაღალჩინოსნებისკენ მიდის. აუცილებელია, მსგავსი ტიპის პროცესი თავშივე ალაგმონ და ხელისუფლების კალთის ქვეშ მოკალათებული მაღალჩინოსნები სათანადოდ დაისაჯონ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ხელისუფლება საზოგადოებას ნამდვილად ვერ აუხსნის, რატომ სდებდა ბრალს ნაციონალებს მოსახლეობის ტერორში.

...ციხეში მხოლოდ ბაჩო ახალაიაა გამომწყვდეული და ისიც — ყოფილი თანამშრომლების მიერ მიცემული ჩვენებების საფუძველზე, რომლებიც ახლა სიტუაციის გამოყენებას პირადი ინტერესებისთვის ცდილობენ, ანუ დღეს მმართველი გუნდი სამართლის სახელით ჭორაობს, მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოს პროცესის სწორად წარსამართად ყველა ბერკეტი აქვს. ამ შემთხვევაში, კარგად გამოჩნდა, რომ მმართველ გუნდში და, უშუალოდ, პროკურატურაში საკმაოდ სერიოზული პრობლემებია. ამ შემთხვევაში არაპროფესიონალიზმთან გვაქვს საქმე. კარგი იქნებოდა, სანამ „ოცნების“ წარმომადგენლები ყოფილი მაღალჩინოსნების ბრალეულობას დააანონსებდნენ, ჯერ მოკვლევა ჩაეტარებინათ და შესაბამისი მტკიცებულებები შეეგროვებინათ. ფაქტია, რომ სამართლიანობის აღდგენის პროცესი არასწორი გზით მიდის.

— **პრემიერი გვარწმუნებს, ორ-სამ თვეში სამართლიანობის აღდგენა გადამწყვეტ ფაზაში შევაო.**

— ერთი რამ ცხადია: ახალი მთავრობის მთავარი სამიზნე მიხეილ სააკაშვილია და თვალს მისი ფიგურის პოლიტიკური ავანსცენიდან ჩამოშორების პროცესს ვადევნებთ.

— **კი, მაგრამ სააკაშვილი ხომ დღეს ისედაც განეიტრალებული პოლიტიკური ფიგურაა, რომელიც ქვეყნის მართვის პროცესში სრულფასოვნად ვეღარ მონაწილეობს და რამდენიმე თვეში საპრეზიდენტო პოსტსაც დატოვებს?**

— დიახ, პოლიტიკიდან მიდიან, მაგრამ დემოკრატიულ ქვეყნებში პოლიტიკოსი ყოველთვის იტოვებს უკან დაბრუნების შესაძლებლობას. მმართველი გუნდი კარგად ხედავს, რომ საერთაშორისო ასპარეზზე სააკაშვილს პირადი, თან საკმაოდ კარგი ურთიერთობები ჯერ კიდევ აქვს. ამასთან, ნაციონალურ მოძრაობას ჯერ კიდევ აქვს პოტენციალი, რომ რამდენიმე წელიწადში, თუ ხელისუფლება არჩევნების წინ უხვად დარიგებულ დაპირებებს ვერ შეასრულებს, „ოცნების“ რეალური კონკურენტი გახდეს, ამიტომაც ნაციონალების განეიტრალება ხელისუფლების პრიორიტეტად იქცა, მაგრამ თუ ნაციონალების გასამართლების პროცესი მხოლოდ მოტივირებული ადამიანების მიერ მიცემულ ჩვენებებზე იქნება დამყარებული და არა კონკრეტულ ფაქტებზე, მერწმუნეთ, ეს ყველაფერი კოალიციას ცუდად დაუბრუნდება.

— **ახალ მთავრობაში პირველი ცვლილება, თანაც კორუფციის საფუძველზე, უკვე განხორციელდა. ეს ფაქტი იმაზე ხომ არ მიანიშნებს, რომ 7 თვის ხელისუფლებას სისტემური პრობლემები აქვს?**

— დიახ, ეს საკმაოდ სერიოზული პრობლემაა, რომელმაც პიროვნული კი არა, სისტემური ხასიათი მიღო და ხელისუფლების პირველი სერიოზული ჩავარდნა გვაჩვენა. არადა, ყველაზე დიდი ფულადი რესურსი სწორედ სოფლის მეურნეობის სფეროში დაიხარჯა.

ივანიშვილი, რომელიც ნაჩქარევად არჩეულ მინისტრებს ბოლომდე მიენდო, ახლა ხვდება, რომ გუნდში, კადრებთან დაკავშირებით სერიოზული პრობლემები აქვს. დარწმუნებული ვარ, კირვალიძის საქმე მხოლოდ დასაწყისია და წინ მსგავსი სიახლეები უხვად გველოდება.

— **კორუფციის ნიშნები, თქვენი შეფასებით, კიდევ რომელ სამინისტროში უნდა ვეძებოთ?**

— რა თქმა უნდა, უხვადაა მასალები, რომლებიც ადასტურებს, რომ ყოფილი მთავრობის მიერ უკანონოდ მითვისებულ ბიზნესწილებს ახალი ხელისუფლების წარმომადგენლები ინაწილებენ. მსგავსი ფაქტები, გაწელილი ეკონომიკური სტაგნაციის ფონზე, როცა რეალურად, ახალი სამუშაო ადგილები არ იქმნება, კატასტროფულ შედეგამდე მიგვიყვანს.

მართალია, საზოგადოების ნდობა ბიძინა ივანიშვილს ჯერ კიდევ აქვს, მაგრამ თუ წლის ბოლომდე ხალხს არ აჩვენა, რომ ახალი მთავრობა ქვეყანას წინა ხელისუფლებაზე უკეთ მართავს, გუნდის გადახალისება აუცილებლად მოუწევს. წინააღმდეგ შემთხვევაში, სოციალურ-ეკონომიკური სიდუხჭირის ფონზე, პირველ საზოგადოებრივ აფეთქებას მიიღებს.

— **„გუნდის გადახალისებაში“ პოლიტიკური პარტნიორების ჩამოშორებას გულისხმობთ?**

— ეს ის პროცესია, რომელიც შიგნით უკვე მიდის ან ძალიან მალე დაიწყება. უკვე შესამჩნევია, რომ კოალიციის სიჭრელე ზედაპირზე ამოდის. ბიძინა ივანიშვილთან თავი აბსოლუტურად განსხვავებული შეხედულებების მქონე ადამიანებმა მოიყარეს, რომლებსაც დღემდე მხოლოდ ერთი საერთო აქვთ — ნაციონალური მოძრაობის მიმართ სიძულვილი. სხვათა შორის, ბიძინა ივანიშვილის მთავარი პრობლემა ისაა, რომ ამ ეტაპზე ქმედითი ვიცე-პრემიერი არ ჰყავს. კი ბატონო, გუნდი ამბობს, რომ საერთო მიზანი ამოძრავებს, მაგრამ რეალობა გვიჩვენებს, რომ ყველა თავისკენ იქაჩება და ცალ-ცალკე ცდილობს პრემიერისთვის თავის მოწონებას. ასეთი მიდგომა მთავარ შედეგამდე ვერ მიგვიყვანს, მით უმეტეს, კოალიციის სიჭრელის ფონზე. შესაბამისად, სულ ცოტა ხანში, კობა დავითაშვილის გარდა, კიდევ უამრავი უკმაყოფილო ადამიანი ამოტივტივდება.

— **„ოცნება“, შიდა დაპირისპირების ფონზე, საპრეზიდენტო კანდიდატებზე მსჯელობს. ამ მიმართულებით პრაიმერის ჩატარებას ნაციონალური მოძრაობაც გეგმავს, რომელიც არჩევანს ,სავარაუდოდ, ბარამიძეს, ბაქრაძესა და მერაბიშვილს შორის გააკეთებს...**

— დღეს საპრეზიდენტო ინსტიტუტი იმდენად ლიმიტირებულია, რომ მომავალი პრეზიდენტის ფუნქცია მხოლოდ ქვეყნის საგარეო პოლიტიკური კურსისა და შიდა პოლიტიკური ბალანსის შენარჩუნება იქნება. ბაქრაძე იქნება, ბარამიძე თუ „ოცნების“ რომელიმე კანდიდატი, საბოლოოდ, ყველაფერს ბიძინა ივანიშვილისადმი საზოგადოების ნდობა გადაწყვეტს, ამიტომ მოდი, „ოცნების“ სავარაუდო კანდიდატები განვიხილოთ.

როგორც ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, მისი რჩეული კონფლიქტური პიროვნება არ უნდა იყოს, რაც სალომე ზურაბიშვილს ნამდვილად ახასიათებს — მართალია, საგარეო მიმართულებით დაბალანსებული პოლიტიკის წარმართვა შეუძლია, პროდასავლურ მიმართულებასაც შეინარჩუნებს, მაგრამ შიდაპოლიტიკური ბალანსის თვალსაზრისით, მას საკმაოდ ნეგატიური გამოცდილება აქვს. ამ ფონზე, არ გამოვრიცხავ, პრემიერის საპრეზიდენტო კანდიდატი გიორგი მარგველაშვილი გახდეს, რომელიც ბიძინა ივანიშვილის თანამოაზრე და მისი ფავორიტია, თუმცა რატომღაც არავინ საუბრობს მარგველაშვილის სურვილზე, უნდა თუ არა, პოლიტიკურ პროცესებში ამ მიმართულებით ჩაერთოს.

სხვათა შორის, არ გამოვრიცხავ, ბიძინა ივანიშვილმა ისეთი დამოუკიდებელი ფიგურა შეარჩიოს, რომელიც ნაციონალური მოძრაობისთვისაც მისაღები იქნება.

— **ფიქრობთ, ბიძინა ივანიშვილი საპრეზიდენტო კანდიდატს ნაციონალურ მოძრაობასთან შეათანხმებს... ან ვინ შეიძლება იყოს ორივე ძალისთვის მისაღები ფიგურა?**

— ორივე ძალისთვის მისაღები კანდიდატის დასახელება საზოგადოებისთვის იქნება კარგი, მით უმეტეს, როცა პრეზიდენტს მხოლოდ სიმბოლური დატვირთვა ექნება. ასეთი კანდიდატურა ბევრია, მაგალითად, პაატა ბურჭულაძე.

ვერსიანიუსი

ნაციონალური პრაიმერის ზუსტი თარიღი ცნობილი მაისის ბოლოს გახდება

ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერის, გიორგი ვაშაძის განცხადებით, მათი კანდიდატი აუცილებლად იქნება გამოცდილი და პროფესიონალი ადამიანი, რომელიც საქართველოში დღეს არსებული პრობლემების გადაჭრაში მიიღებს მონაწილეობას.

მისივე თქმით, დღეს ქვეყანაში უმუშევრობაა და ადამიანები გაჭირვებაში ცხოვრობენ, ხოლო მათი კანდიდატი იმ არაპროფესიონალიზმისა და უუნარობის დამარცხებას შეეცდება, რომელიც დღეს საქართველოშია გამეფებული.

გიორგი ვაშაძემ არ გამორიცხა, რომ პრაიმერში მონაწილეობას მიიღებენ: დავით ბაქრაძე, გიორგი ბარამიძე და ვანო მერაბიშვილი.

რაც შეეხება მის კანდიდატურას, ვაშაძემ განაცხადა, რომ იგი საპრეზიდენტო პრაიმერში მონაწილეობას ვერ მიიღებს იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ასაკი არ უწყობს ხელს.

გიორგი ვაშაძის განცხადებით, პრაიმერის ზუსტი რიცხვი ამ თვის ბოლოსთვის გახდება ცნობილი და აუცილებლად ჩატარდება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

„ჩვენ მოსახლეობას შევთავაზებთ საინტერესო და დახუნძლულ საარჩევნო კამპანიას“, — აღნიშნა გიორგი ვაშაძემ.

„ინტერპრესნიუსი“

„ქართულ ოცნებაში“ პრეზიდენტობის კანდიდატებად გია დვალი და დავით მაღრაძეც განიხილებიან

კოალიცია „ქართულ ოცნებაში“ პრეზიდენტობის კანდიდატებად ამერიკაში მცხოვრები ქართველი მეცნიერის, გია დვალისა და პოეტ დავით მაღრაძის კანდიდატურებიც განიხილება.

„ინტერპრესნიუსის“ ინფორმაციით, აღნიშნულთან დაკავშირებით კონსულტაციები უკვე მიმდინარეობს, საბოლოო გადაწყვეტილება მიღებული არ არის, თუმცა პრემიერ-მინისტრი ორივეს მიმართ დადებითად არის განწყობილი.

ამასთან, კოალიციის პოლიტსაბჭო 11 ან 12 მაისს შეიკრიბება და საბოლოო გადაწყვეტილებას 13 მაისს გამოაცხადებს.

„ინტერპრესნიუსი“

ზურაბ ჭიაბერაშვილის თქმით, რუსეთთან მიმართებაში „ოცნების“ დიპლომატიამ მარცხი განიცადა

ევროსაბჭოს მინისტერიალის დღის წესრიგში აგვისტოს ომის საკითხის არშეტანა რუსული დიპლომატიის გამარჯვება და ქართული დიპლომატიის მარცხია, — ამის შესახებ კახეთის გუბერნატორმა ზურაბ ჭიაბერაშვილმა განაცხადა.

ჭიაბერაშვილის თქმით, ხელისუფლების დიპლომატიური მარცხი სტრასბურგში პრემიერ ივანიშვილის მიერ რუსეთისადმი ტონის შერბილებამ გამოიწვია.

„ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეაზე პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის გამოსვლის შემდეგ მივიღეთ პირველი უარყოფითი შედეგი - საქართველომ ვერ შეძლო, შეენარჩუნებინა პოზიციები ევროპის საბჭოში. ჩადის პრემიერი ივანიშვილი სტრასბურგში და სიტყვას არ ძრავს ეთნოწმენდაზე, სიტყვას არ ძრავს ადამიანის უფლებების მდგომარეობაზე აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში. ამბობს, რომ რუსეთთან ურთიერთობები უნდა დავალაგოთ. როგორ წარმოგიდგენიათ, ქართულმა დიპლომატიამ ასეთ მდგომარეობაში შემტევი ნაბიჯები როგორ უნდა გადადგას? ფუნდამენტური შეცდომაა, როდესაც გაუაზრებლად ვიწყებთ ლაპარაკს ვითომდა რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზებაზე. ამით რუსეთს ვუქმნით ნოყიერ ნიადაგს ყველა ქვეყანა დაარწმუნოს, რომ საქართველოს ცალკე ელაპარაკება და არ უნდა საკითხის ზედმეტად გართულება, ახლა ღვინო შევა რუსეთში და ჩვენ ჩვენით დავლაგდებით“, — აცხადებს ზურაბ ჭიაბერაშვილი

და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსგან მოითხოვს, წარმოადგინოს ყველა დოკუმენტი, თუ რა გააკეთა საგარეო უწყებამ ბოლო თვეების განმავლობაში იმისთვის, რომ აგვისტოს ომის საკითხი ევროსაბჭოს მინისტერიალის დღის წესრიგში ყოფილიყო.

კახეთის რწმუნებული აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საგარეო საქმეთა მინისტრ მაია ფანჯიკიძის განცხადებებსაც გამოეხმაურა.

„ასე, უაპელაციოდ ყოფილი კოლეგების მიმართ განაცხადო დიპლომატმა, რომ ვიღაც არის დეზინფორმატორი და უსინდისო, ერთ რამეზე მეტყველებს, მინისტრს არ აქვს სერიოზული არგუმენტი საიმისოდ, რომ ახსნას, თუ რატომ არ არის მინისტერიალის დღის წესრიგში რუსეთ-საქართველოს ომის საკითხი“, — აცხადებს ჭიაბერაშვილი.

იგი ადასტურებს, რომ 2011 წელს სტამბოლის მინისტერიალზე აღნიშნული საკითხი დღის წესრიგში არ იყო, რაც მინისტრთა კომიტეტის მაშინდელ თავმჯდომარე ქვეყანას თურქეთს დიპლომატიურად ძვირად დაუჯდა, რადგან საქართველომ ვეტო დაადო მინისტერიალის უმაღლეს დოკუმენტს — კომუნიკეს.

მისივე თქმით, საქართველოს საგარეო უწყებას შეუძლია აგვისტოს ომის საკითხის მინისტერიალის დღის წესრიგში შეტანის მოთხოვნა და კენჭისყრაზე დაყენება, თუმცა ჭიაბერაშვილი ამ გზით საკითხის გადაწყვეტას არარეალურად მიიჩნევს.

ჭიაბერაშვილი ასევე აცხადებს, რომ დღის წესრიგიდან აღნიშნული საკითხის მოხსნას შეიძლება მოჰყვეს ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის მიერ საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებების მდგომარეობის შესახებ ანგარიშების მომზადების შეწყვეტა.

„ინტერპრესნიუსი“

„საქართველოს მხრიდან ჩერქეზთა გენოციდის აღიარება სრული იდიოტიზმი იყო“

რას სთხოვს ნანა დევდარიანი ნაციონალებს და რა კავშირი აქვს ჩერქეზთა გენოციდის აღიარებას დაფანყურის სპეოცოპერაციასთან

რუსუდან შელია
557-100-768

2011 წლის 20 მაისს საქართველოს პარლამენტმა რუსეთის იმპერიის მიერ რუსეთ-კავკასიის ომის დროს ჩერქეზთა გენოციდის აღიარების შესახებ რეზოლუციას მხარი ერთსულოვნად დაუჭირა, თუმცა ამ საკითხთან დაკავშირებით, საზოგადოების აზრი ორად გაიყო. ბევრი დღემდე მიიჩნევს, რომ ჩერქეზთა გენოციდის აღიარებით საქართველომ რუსეთი გაბრაზება სცადა... რა კავშირი აქვს პარლამენტის ამ გადაწყვეტილებასთან ლაფანყურის სპეოცოპერაციას? — „ვერსიას“ ყოფილი სახალხო დამცველი, ჟურნალისტი ნანა დევდარიანი ესაუბრა.

— მოდი, კიდევ ერთხელ დავსვათ კითხვა: რა მოიგო ჩერქეზთა გენოციდის აღიარებით საქართველოს მაშინდელმა ხელისუფლებამ გარდა იმისა, რომ ნუგზარ წიკლაურმა და შოთა მალაშხიამ ჩათვალეს, რუსეთს ნერვებს ავუშლითო? ამ ფაქტის შემდეგ რუსეთს, რეალურად, არაფერი დაკლებია და არც პრობლემები შექმნია. პირიქით, ჩერქეზთა გენოციდის აღიარებამ ქართველების მიმართ გარკვეული კითხვები გაამწვავა. მოგეხსენებათ, ქვეყანაში საკმაოდ მოცულობითი სომხური დიასპორა გვყავს, რომელიც სხვა ქვეყნებისგან დიდი ხანია, აზერბაიჯანის მიერ სომხების გენოციდის აღიარებას დაჟინებით მოითხოვს. აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის კონფლიქტი ჯერ კიდევ ცოცხალია და ყარაბაღის სახით დღემდე არსებობს. ამ შემთხვევაში თურქეთის ფაქტორიც გასათვალისწინებელია! ასე რომ, თუ რეგიონის სტაბილურობაზე ვსაუბრობთ, ელემენტარულად უნდა გვესმოდეს, რომ საქართველო იზოლირებული სახელმწიფო არ არის.

— ქალბატონო ნანა, თავის დროზე ითქვა, რომ ქართულ მხარე ჩეჩენთა გენოციდსაც აღიარებდა, თუმცა ასე არ მოხდა. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ლაფანყურის სპეცოპერაცია, გარკვეულწილად, ამ ფაქტის გამოძახილი იყო?

— დღეს ჩეჩნების პრეტენზია სრულიად კონკრეტული ადამიანების მისამართითაა მიმართული, რომელთა პოლიტიკური უპასუხისმგებლობისა და დანაშაულებრივი მოქმედებების შედეგად, ადამიანები დაიღუპნენ. რაც მთავარია, აღნიშნული სპეცოპერაცია ნაციონალურმა მოძრაობამ თავიდან ბოლომდე ტყუილით შეფუთა. მეტიც, ნაციონალები ამ თამაშში იმდენად გაერთნენ, რომ მათ მიერ საგულდაგულოდ „დაცული“ საზღვრებიც კი გადაავიწყდათ.

არსებობს ობიექტური ინფორმაცია, რომ ვინც სპეცოპერაციას გადაურჩა, საქართველოს ძალოვანი უწყებების ხელმძღვანელებმა თურქეთში თავად გადაიყვანეს. ასე რომ, როგორც უნდა შეფუთონ, ლაფანყურის ინციდენტი თავიდან ბოლომდე წინა ხელისუფლების კისერზეა.

თუ ნაციონალები ვერაფერს აკონტროლებდნენ და ჩვენ ტერიტორიაზე ტერორისტები ასე მარტივად გადაადგილდებოდნენ და მხოლოდ მოსახლეობას ატერორებდნენ, აფერუმ, მათ ვაჟკაცობას. შესაბამისად, ჩერქეზთა გენოციდსა და ლაფანყურის ოპერაციას ერთმანეთთან არ დავაკავშირებდი, რადგან თავად ჩეჩნების საქართველოში შემოდინება წლების წინ დაიწყო. ევროპის კონვენციების თანახმად, როცა დევნილი საკუთარი ქვეყნიდან გარბის, მისთვის საზღვრის ჩაკეტვა დაუშვებელია. ასე რომ, საქართველოში ჩეჩენი დევნილები ორ ნაკადად შემოვიდნენ. ჩერქეზთა გენოციდი კი, წინა ხელისუფლების მიერ გაუაზრებლად მიღებული გადაწყვეტილება იყო, რითიც შედეგი რეალურად ერთმა მხარემაც ვერ მიიღო. პირიქით, დღეს ჩერქეზები რუსეთის შემადგენლობაში არიან და ამ მიმართულებით პროცესის დაწყებას არც მოითხოვენ. ჩერქეზებს რამდენჯერმე შევხვდი და ვიცი, რომ გენოციდთან დაკავშირებით საკმაოდ თავშეკავებულები არიან.

— წინა ხელისუფლების მიერ მიღებული გადაწყვეტილება ახლა მთავრობას პრობლემებს არ შეუქმნის, მით უმეტეს, რუსეთთან ურთიერთობის აღდგენის ფონზე?

— ჩერქეზთა გენოციდის აღიარება სრული იდიოტიზმი იყო, მაგრამ ახლა ამ გადაწყვეტილების უკან წაღება ბევრად დიდი სისულელე იქნება. უბრალოდ, ახლა საჭიროა, არა მხოლოდ ექსპერტებმა, არამედ პოლიტიკოსებმაც ღიად განაცხადონ, რომ წინა პარლამენტმა აბსურდული გადაწყვეტილება მიიღო, რომელიც ნოტარიუსივით იჯდა და ყველაფერზე, რასაც ეტყოდნენ, ხელს ბრმად აწერდა. რა თქმა უნდა, ჩერქეზთა გენოციდის აღიარების ფაქტორი რუსეთთან ურთიერთობის აღდგენის ფონზე პრობლემურად უნდა მივიჩნიოთ, მაგრამ პოლიტიკოსებიც სწორედ იმისთვის არსებობენ, რომ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობებში მსგავსი წინააღმდეგობა მოიხსნას. ფაქტია, სააკაშვილს როგორც უნდა უნდოდეს, ივანიშვილის ხელისუფლებას მის ცოდვებს ვერ აკიდებს. იგივე შეგვიძლია ვთქვათ ლაფანყურის სპეცოპერაციაზე, რომლის გამოძიებაც მაშინდელ მაღალჩინოსნებამდე აუცილებლად მივა, რადგან საშუალო რგოლი მსგავს მოქმედებებში არ მონაწილეობს. მსგავსი ტიპის ოპერაციების ბედი ყველაზე მაღალ საფეხურზე წყდება, შესაბამისად, გამოძიებამაც ლოგიკური დასასრული უნდა გვაჩვენოს. წარმოიდგინეთ, მიცვალებულები ისე დაასაფლავეს, ექსპერტიზის ჩატარებაზე არავის უფიქრია. ამაზე მეტი უპასუხისმგებლობა რა უნდა იყოს ან ამის შემდეგ როგორ დავიჯეროთ, რომ ზურაბ ჟვანიას საქმის გამოძიება ნაციონალების ხელში რეალურად მიმდინარეობდა? ეს ადამიანები მიჩვეულები იყვნენ, რომ რასაც უნდოდათ, იმას აკეთებდნენ, რაშიც მათი მორჩილი ტელევიზიებიც ხელს უწყობდნენ.

— თუმცა, ერთ-ერთი გარდაცვლილის მამა ამბობს, რომ ლაფანყურის სპეცოპერაციის რეალურად გამოძიების იმედი არც ახლა აქვს. ფიქრობთ, მმართველ გუნდს ამ საქმის გამოძიების პოლიტიკური ნება გააჩნია?

— თუ ხელისუფლების მხრიდან საქმის სრულფასოვნად გამოძიების ნება არ ექნება, მალე ყველა მხარდამჭერს დაკარგავს. აქ მხოლოდ ერთი გარდაცვლილის მამაზე არ არის საუბარი, ნაციონალური მოძრაობის კისერზე უამრავი მსხვერპლია, ზოგი ქუჩაში ჩახოცეს და ზოგსაც ციხეში წამებით ამოხადეს სული. საერთოდ, ამ შემთხვევაში, კეთილ ნებაზე საუბარი ზედმეტია, რადგან ლაფანყურის გამოძიება დღეს აუცილებლობას წარმოადგენს.

თხოვნა მექნება, ნაციონალური მოძრაობის ბობოლები ქვეყნის პრესტიჟსა და იმიჯს ნუ ამოეფარებიან, რადგან საქართველო არც მიხეილ სააკაშვილია და არც — გოკა გაბაშვილი. ჩვენი სამშობლო გაცილებით მეტია, ვიდრე ერთად აღებული ყველა ნაციონალი. პირიქით, ქვეყნის თავმოყვარეობის საქმეა, დანაშაული გამოიძიოს და დამნაშავეები დასაჯოს. თუ ამას ხელისუფლება არ გააკეთებს, ავტომატურად დამნაშავეებს ხელს დააფარებს, რასაც ბუნებრივია, ამომრჩეველი არ აპატიებს.

„შალვამ გვითხრა, მერაბიშვილს გავურიგდიო!“

სოსო შატბერაშვილი შალვა ნათელაშვილს სკანდალურ ბრალდებებს უყენებს

ნინო კომახიძე
599-95-33-16

ლეიბორისტული პარტიისგან განდგომილებმა „მემარცხენე ალიანსი“ ჩამოაყალიბეს — ახალი პარტიის თავმჯდომარემ სოსო შატბერაშვილმა ალიანსი იუსტიციის სახლში დაარეგისტრირა, ყრილობაც ჩაატარა, პარტიული ლოგო და დროშა დაამზადა და ახლა საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობისთვისაც ემზადება. ნათელაშვილთან 15-წლიანი პოლიტიკური თანაცხოვრების შემდეგ, ყოფილი „ლეიბორისტები“ ყოფილ ლიდერს ბრალს ვანო მერაბიშვილთან გარიგებაში სდებენ და მის უჩვეულო გამდიდრებაზეც ღიად საუბრობენ.

— პირველ თებერვალს „ლეიბორისტების“ პოლიტკომიტეტის წევრებმა განცხადება გავაკეთეთ და 7-დან 6-მა წევრმა პარტია დატოვა! პირველ მაისს ახლადდაფუძნებული პარტია „მემარცხენე ალიანსის“ ყრილობა ჩატარდა, რომელსაც დიპკორპუსის წარმომადგენლები, ევროსაბჭოს პირველი მდივანი, „ენ-დი-აის“ დირექტორი, ნინო ბურჯანაძის პარტიის წარმომადგენლობა და კახა კუკავა ესწრებოდნენ. უკვე გვაქვს ჩვენი დროშა, გერბი და ლოგო.

— ბატონო სოსო, თქვენი პარტიის სახელიდანაც ჩანს, რომ პოლიტიკური მსოფლმხედველობა დიდად არ შეგიცვლიათ...

— რა თქმა უნდა, ისევ მემარცხენეები ვართ და ის პოლიტიკური მოთხოვნაც, რაც აქამდე გვქონდა, ძალაშია — რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნების ჩატარება! მსოფლიოში არ არსებობს პარლამენტი მემარცხენე ძალის გარეშე, ჩვენთან კი პარლამენტში ორი ძალაა და ორივე მემარჯვენე-ცენტრისტული. პარლამენტში მემარცხენე ძალების არსებობა აუცილებელია!

— კი, ბატონო, მაგრამ არჩევნებში ისევ 1% ან უფრო ნაკლები რომ მიიღოთ?

— ჩვენ აღარ ვართ „ლეიბორისტები“ და რადგან მათ 1% მიიღეს, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ამ შედეგს ვაჩვენებთ.

— შალვა ნათელაშვილმა ნაციონალებთან გვიღალატაო, — ამტკიცებთ. ეს როდის აღმოაჩინეთ?

— მასზე ჭორები ყოველთვის ვრცელდებოდა და არა მარტო მასზე. იგივეს ამბობდნენ „რესპუბლიკელებზე“, ირაკლი ალასანიაზე, ნინო ბურჯანაძეზე, თუმცა ჭორს არასოდეს ვყვებოდით და ვიდრე ფაქტები არ დაიდო, არაფერი დავიჯერეთ, ეს ფაქტი კი ნათელაშვილმა თავად დაგვიდო — არჩევნების შემდეგ მასთან მივედით და ვუთხარით, პარტიის ფიასკოს მიუხედავად, არსად წასვლას ვაპირებთო; მან კი გვიპასუხა, პარტია აუცილებლად უნდა გასულიყო პარლამენტში და ეს ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტთანაც შეთანხმებული იყოო.

შალვამ გვითხრა, პარლამენტში რომ გავსულიყავით, პირობა მქონდა დადებული, მხარი ვანო მერაბიშვილის პრემიერობისთვის დაგვეჭირაო. ეს იყო გადამწყვეტი, რის გამოც წამოვედით. ნათელაშვილმა, პრაქტიკულად, გვითხრა, ვანო მერაბიშვილს გავურიგდიო.

საკმაოდ მაღალი პოსტი მეკავა — პარტიის გენერალური მდივანი ვიყავი, მაგრამ მე და ჩემმა მეგობრებმა — კახა ძაგანიამ, პაატა ჯიბლაძემ მსგავსი გარიგებების შესახებ არაფერი ვიცოდით! ნათელაშვილს მაშინაც სასტიკი პროტესტი გამოვუცხადეთ, როცა ამ გარიგების ამბავი პოლიტსაბჭოზე გავიტანეთ განსახილველად. შალვას ვუთხარით, რომ მოვიწვევდით ყრილობას და მას გადავაყენებდით, რაზეც გვიპასუხა, ყრილობა რა საჭიროა, მე თვითონ გადავდგებიო. რაკი არ გადადგა, წამოვედით.

— თქვენს წამოსვლამდე კარგა ხნით ადრე, „ვერსიაში“ ფაქტებით გამყარებული მასალა გამოქვეყნდა, სადაც ნათელაშვილისა და ნაციონალების გარიგებაზე იყო საუბარი, თუმცა მაშინ მთელმა პარტიამ, მათ შორის, თქვენც, სპეციალურ ბრიფინგზე გაზეთს შეურაცხყოფა მიაყენეთ. ამის მერე კი, პარტია სწორედ ანალოგიური ბრალდებით დატოვეთ. ბატონო სოსო, ამიხსენით, თქვენს საქციელში ლოგიკა სადაა?

— მაშინ ასეთი რამ ჩვენთვის უცნობი იყო და ვიდრე ფაქტის წინაშე არ დავდექით, არაფერი დავიჯერეთ. საერთოდ, ბატონ შალვას ადამიანების შეურაცხყოფა ახასიათებს. წამოსვლის შემდეგ ჩვენც სასტიკი შეურაცხყოფა მოგვაყენა, მკვლელები, ქურდები და ნარკომოვაჭრეები გვიწოდა. თითქოს, დღესაც მაქვს აფთიაქი „რუსთავი 2“-ის ყოფილი შენობის წინ, სადაც, თურმე, დიდი ოდენობით ნარკოტიკი იყიდება. თუ ასეთი რამ ბუნებაში არსებობს, საჯაროდ მოვითხოვ, ხელისუფლებამ პასუხი მაგებინოს! ასევე, ნათელაშვილმა განაცხადა, თითქოს, გავტეხეთ პარტიის სეიფი და მოვიპარეთ 55 000 დოლარი. ამბობს, ეს შემოწირულობა იყო და ბანკში შეტანამდე დამასწრესო. ასევე, ოფისიდან წამოსვლის წინ მოვიპარეთ ტელევიზორები, კომპიუტერები, მაცივრები, ოღონდ შალვა ამბობს, არ ვაპირებ ჩივილსო. ახლა მას თქვენი გაზეთის საშუალებით მივმართავ — მიჩივლოს და ძიება დაიწყოს. იმასაც ამბობს, თითქოს, ჩვენს შორის მკვლელია, რომელმაც 90-იან წლებში მხედრიონის ერთ-ერთი ლიდერი მოკლა, მაგრამ გვარს არ ასახელებს და აქაც კითხვა მაქვს — მაშინ შალვა პროკურატურაში მუშაობდა და პარტკომის წევრი იყო, ჰოდა, ამაზე რეაგირება თავად რატომ არ მოახდინა?! შალვა ასეთი არ გვახსოვს! ბოლო ერთი წელია შეიცვალა, ბოლო თვეებში კი ეს ის შალვა აღარ არის! ბატონი შალვა ფსიქიკურადაა ავად, ამიტომ გთხოვთ, გაგებით მოეკიდოთ მის განცხადებებს!

— ნათელაშვილი „ავად“ როდის გახდა, ან ეს 55 000 დოლარი საიდან მოვიდა?

— ეს 55 000 არაფერია იმასთან შედარებით, რა საბანკო ანგარიშებიც აქვს შვეიცარიაში. ასევე, აქვს დუპლექსის ტიპის ბინა ვენაში და აშენებს უზარმაზარ სასახლეს თავის სოფელში, ბაზალეთში — შეგიძლიათ, ჩაბრძანდეთ და ნახოთ!

— ვენის 7-ოთახიანი ბინა ჭორი მგონია...

— შეგიძლიათ, ჩაატაროთ ჟურნალისტური გამოძიება — ვენის უძრავი ქონების სააგენტოს მიწეროთ და მოგივათ პასუხი, ვინაა ამ ქონების მფლობელი! ეს უკვე ჭორი აღარაა, ეს ფაქტებია. ნამყოფი ვარ მის სახლში, ბაზალეთში და იქ განსაკუთრებული არაფერი მინახავს. ახლა კი რაღაც სასწაულ სასახლეს აშენებს თავისი აუზებით.

— გამოდის, იმ ბრალდებებზე, რომლებიც ლეიბორისტულ პარტიაში თქვენი ყოფნის დროს არსებობდა, პასუხისმგებლობას არ იზიარებთ, არა?

— ამბობდნენ, თითქოს, ნუგზარ ერგემლიძე, რომელსაც ნაციონალობას აბრალებდნენ, ჩავწერეთ სიაში მაგრამ მსგავსი არაფერი ყოფილა — კაცი ჩემი შვილის ნათლიაა.

— იმასაც ამბობდნენ, რომ ნათელაშვილის პარტიის დაშლაში ფული ივანიშვილმა გადაგიხადათ.

— ეს ოფისი ჩემი საკუთრებაა — მამაჩემისგან მემკვიდრეობით მერგო. სადაც ახლა ვსხედვართ, დედაჩემისა და მამაჩემის საძინებელი იყო. ჩვენ აქ 1968 წლიდან ვცხოვრობდით. ნათელაშვილმა კიდევ უფრო საშინელი ჭორი გაავრცელა — თურმე, ივანიშვილისგან 7 მლნ დოლარი ამიღია პარტიის გაყიდვისთვის, თან ეს ფული ვინმე გია ვოლსკისგან აგვიღია. ასახელებს დავით საგანელიძესაც, თითქოს ამ პროცესებში მანაც მიიღო მონაწილეობა. საგანელიძე ჩემი ცოლისძმის მეჯვარეა და, როგორც ჩანს, ნათელაშვილს ყური ჰქონდა მოკრული ჩვენი ნათესაური კავშირისთვის. ასე გასვარა ეს ხალხი სიბინძურეში!

— არჩევნებიდან 6-7 თვეა გასული და ახალი ხელისუფლება არაერთ სკანდალში გაეხვია. ამ ეიფორიულ ფონზე, ბატონო სოსო, ქართულ პოლიტიკაში თქვენს როლსა და ადგილს როგორ ხედავთ?

— ვამბობდი და ვიტყვი: „ოცნება“ ეკლექტური და დასაშლელად განწირული გაერთიანებაა. ვხედავთ, დავით უსუფაშვილი და სოზარ სუბარი, ხალხი, ვინც ერთმანეთს უკანასკნელი სიტყვებით აგინებდა, უკვე აშკარად დაპირისპირებულია. კობა დავითაშვილი, პრაქტიკულად, ყველასთან დაპირისპირებულია, მაგრამ მის პოზიციას ბევრ რამეში ვეთანხმები. „ოცნება“ ნაციონალებთან საინფორმაციო ომსაც აგებს — ნაციონალებს ჩასახვის დღიდან ვებრძვი, მაგრამ ფაქტია: ერთმუშტად შეკრული გუნდია და ამით იგებენ კიდეც! დიდი სურვილი გვაქვს, არასაპარლამენტო პარტიებმა ერთმანეთთან ვითანამშრომლოთ. ამას ნინო ბურჯანაძის, კახა კუკავასა და სხვა პარტიებს შევთავაზებთ და ვნახოთ, წამოვლენ თუ არა თანამშრომლობაზე. ასევე, აუცილებლად მივიღებთ მონაწილეობას საპრეზიდენტო არჩევნებში, ოღონდ კანდიდატურას არ დავაყენებთ. საღად მოაზროვნე ხალხი ვართ, არც ქართლოს ღარიბაშვილია ჩვენსშორის, არც შალვა ნათელაშვილი, რომელმაც განაცხადა, კანდიდატურა უნდა დავაყენო, გავიმარჯვო და საქართველო გადავარჩინოო. გადავწყვიტეთ, როგორც პარტიამ, ერთ-ერთ ღირსეულ კანდიდატს დავუჭიროთ მხარი და როგორც კი კანდიდატები გამოცხადდება, მათ შორის სასურველს ავირჩევთ, თუმცა უაღრესად სერიოზულად მოვემზადებით 2014 წლის ადგილობრივი არჩევნებისთვის!

ვერსიანიუსი

ირაკლი ალასანიას საპრეზიდენტო კანდიდატების შერჩევის სერიალის ბოლო სერია ნანახი აქვს

„საპრეზიდენტო კანდიდატების შერჩევისას სერიალის ბოლო სერია ნანახი მაქვს“, — აცხადებს საქართველოს თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია.

„პრაიმერი არ ჩატარდება და ერთ კანდიდატურაზე შეთანხმება მოხდება კონსულტაციების გზით. ამ საკითხს განიხილავს პოლიტიკური საბჭო და მე ამ განხილვაში, როგორც წევრი, ბუნებრივია, მონაწილეობას მივიღებ. კანდიდატების შერჩევისას სერიალის ბოლო სერია, შეიძლება ითქვას, ნანახი მაქვს. დაახლოებით ვიცი, ვინ შეიძლება დასახელდეს და ვის აქვს შანსი, რომ შედგეს მის ირგვლივ კონსენსუსი. ამის შესახებ, გარკვეულწილად, კონსულტაციები ბიძინა ივანიშვილმა ჩემთან ჩაატარა. ვიცი, რომ რამდენიმე წევრთან ჰქონდა კიდევ ასეთი საუბრები. გვინდა, რომ რაც შეიძლება ღია და გულწრფელი დისკუსიები იყოს. დარწმუნებული ვარ, შევთანხმდებით შაბათსვე. შემდეგ, დაგეგმილი აქვს კოალიციის ლიდერს, რომ უმრავლესობასთან შედგეს საუბარი კვირას და ორშაბათს უკვე საზოგადოებას წარვუდგენთ შერჩეულ კანდიდატს. მე არ გავამხელ, ვინ შეიძლება იყოს კანდიდატი. დარწმუნებული ვარ, კანდიდატი ღირსეული იქნება და დარწმუნებული ვარ, ჩვენი კანდიდატი გაიმარჯვებს“, — აღნიშნავს ალასანია.

მისივე თქმით, თვისობრივად იცვლება დამოკიდებულება პრეზიდენტის ინსტიტუტის მიმართ. **„ახალი რეალობა გაჩნდა, ახალი კონსტიტუცია ამოქმედდება. თავისუფალი დემოკრატები ვართ და ვრჩებით მომხრე საპრეზიდენტო რესპუბლიკის, თუმცა რეალობა როდესაც ისეთია, რომ კოალიციაში შემავალი ძალების უმრავლესობა მხარს უჭერს საპარლამენტო რესპუბლიკას, ანგარიში უნდა გავუწიოთ ამ რეალობას, რა რეალობაშიც დღეს ვართ. აქედან გამომდინარე, მხარს დავუჭერ საზოგადოებისა და კოალიციაში უმრავლესობის მოსაზრებას ამ ეტაპზე. დარწმუნებული ვარ, შესაძლოა, მომავალში დადგეს ისეთი სიტუაცია, როდესაც ჩემი ამ იდეის ოპონენტები გაუსწორებენ თვალს ახალ რეალობას“,** — განაცხადა ალასანიამ.

რაც შეეხება კითხვას, მას, როგორც ძლიერი საპრეზიდენტო მმართველობის მომხრეს, იქნებ არ უღირს, სუსტი პრეზიდენტის თანამდებობაზე იყაროს კენჭი, ალასანიამ აღნიშნა, რომ ამ კითხვაზე პირდაპირ პასუხს ვერ გასცემს.

„ინტერპრესნიუსი“

ნინო კომახიძე
599-95-33-16

„პირდაპირ გეტყვით, ამ ჯგუფს გია ხუხაშვილი და ირაკლი სესიაშვილი ლობირებდნენ“

რეალურად, აქვს თუ არა ხუხაშვილ-ნაცვლიშვილ-ხვედელიძეზე კვერცხების ბიზნესის კომპრომატები, სადაა გადაღებული სკანდალური კადრები და რატომ დაუნიშნა შს მინისტრმა დაცვა გიორგი ფარესაშვილს

წლევანდელი წითელი პარასკევი ქართული პოლიტიკის ისტორიაში საპატიო ადგილს დაიკავებს: ჯერ იყო და, საზოგადოება გიორგი ფარესაშვილის სექსუალური ცხოვრების შესახებ ფარულად გადაღებულმა ვიდეომ დაშოკა. მერე, ფარესაშვილმა საგანგებო პრესკონფერენციაზე განაცხადა, ეს კადრები ფაბრიკაცია და ხუხაშვილ-ხვედელიძე-ნაცვლიშვილმა გამივრცელესო. „ოცნების“ მაღალჩინოსნები ვინმე ფარესაშვილის წინააღმდეგ ასე, თურმე, იმიტომ დაირაზმნენ, რომ ფარესაშვილი კვერცხის ბიზნესის მითვისებაში სწორედ ამ სამი ადამიანის მხილებას აპირებდა. სხვათა შორის, ზუსტად ორი წლის წინ, სააღდგომოდ, „ვერსიამ“ ვრცელი ჟურნალისტური გამოძიება გამოაქვეყნა უკრაინიდან, რუსეთსა და მოლდოვადან იმპორტირებული კვერცხების თაობაზე, თუმცა ამ გამოძიებას ფარული ჩანაწერების გავრცელება ნამდვილად არ მოჰყოლია... „კვერცხების ჩახლართულ ისტორიაში“ გარკვევას „ვერსია“ გიორგი ფარესაშვილთან შეეცადა, რომელიც შს მინისტრის ქვეყანაში დაბრუნებას მის მიერვე გამოყოფილ დაცვასთან ერთად ელის.

— შარი ხეირად შემომიტრიალდა! მთავარი პრობლემა ისაა, რომ ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ, ქვეყანაში უფრო უარესი ხდება!.. კონკრეტულ პიროვნებებს ვებრძოდი და მათზე მასალებს ვაქვეყნებდი. აქვე, იმასაც ვიტყვი, რომ ყველაფერ ამას უფლებადამცველის სტატუსით ვაკეთებ და არა — ჟურნალისტის. მედიის შეცდომაა, როცა ჟურნალისტი მიწოდა, რადგან ჟურნალისტი არასოდეს ვყოფილვარ.

— შენზე თავდასხმები მას შემდეგ დაიწყო, რაც კვერცხების ბიზნესზე ალაპარაკდი?

— ელისო კილაძემ ჩაატარა ბრიფინგი, სადაც განაცხადა, რომ ლაშა ამირეჯიბს ჰქონდა ინფორმაცია ჩემს წინააღმდეგ დაგეგმილ რაღაც პროვოკაციაზე. ლაშას აქვს კონკრეტული მაღალჩინოსნის საუბრის ჩანაწერი, რომელიც მეც მოვისმინე, თუმცა ირაკლი ღარიბაშვილის ჩამოსვლამდე ვერაფერს ვიტყვი — ვიდრე ამ ფირს შს მინისტრს არ გადავცემთ, ამ მაღალჩინოსნის დასახელებას არ ვაპირებთ.

— ისე, ლაშა ამირეჯიბს საიდან აქვს ეს ფირი, მას რა კავშირი აქვს ამ ყველაფერთან?

— მე და ლაშა ამირეჯიბი ერთად ვაქვეყნებდით მასალებს იმის შესახებ, რომ გია ხუხაშვილმა კვერცხის იმპორტი თავად ჩაიგდო ხელში, რათა ადგილობრივი მეწარმეები გაეჩერებინა. აქ შემოდის უკრაინული, თურქული, მოლდოვური და ბულგარული უვარგისი კვერცხი, რომელსაც შემომტანი ფირმები ადგილზე 7-8 თეთრით ნაკლებად ყიდულობენ. მე და ლაშა ამირეჯიბი ამის შესახებ ერთობლივად ვაკეთებდით განცხადებებს.

— გაზეთ „ვერსიაში“ ორი წლის წინ გამოქვეყნდა ჟურნალისტური გამოძიება რუსეთიდან, უკრაინასა და მოლდოვადან შემოტანილი კვერცხის შესახებ, რომელსაც ქართული კომპანიები შემდეგ თავის ლოგოს არტყამდნენ, თუმცა მაშინ ჩვენს წინააღმდეგ კადრები არ გავრცელებულა. რატომ ატყდა ახლა ასეთი აჟიოტაჟი?

— ხუხაშვილი-ხვედელიძე-ნაცვლიშვილისთვის მხოლოდ კვერცხების გამოძიება არ იყო მტკივნეული. ეს იყო „გალფის“ თემა, რადგან ეს ბიზნესი კეზერაშვილმა ხუხაშვილზე გადააფორმა. ასევე, ლაფანყურის სპეცოპერაციის გამოძიება, სადაც გელა ხვედელიძე ხელს აფარებდა გიორგი ლორთქიფანიძესა და ზაზა გოგავას, რომელიც ჩემი ინფორმაციით, არაოფიციალურად, ახლაც სასაზღვრო პოლიციის შეფია. ლორთქიფანიძე კი ხვედელიძის უახლოესი მეგობარია. ეს კლანი ივანიშვილთან ნაციონალების მიერაა შეგზავნილი, რათა „ოცნებაში“ ყველაფერი არიონ. მოხდა გარიგება ვანო მერაბიშვილსა და გელა ხვედელიძეს შორის, კერძოდ, გაიწირა ახალაიების კლანი და მერაბიშვილის კლანის მოქმედებები „გაპრავდა“. დღეს ვხედავთ, რომ მერაბიშვილი პოლიტიკაში რჩება და ახლა მიდის მისი ბიზნესების გადაფორმება ხუხაშვილი-ხვედელიძე-ნაცვლიშვილისთვის. ძირითადი თემა, რაზეც ვსაუბრობდი, მაინც კვერცხების ბიზნესი იყო. აქ ლაშა ნაცვლიშვილის სახელი იმიტომ „ამოვარდა“, რომ ისიც და ხუხაშვილიც გელა ხვედელიძის უახლოესი მეგობრები არიან, ლაშა კი არჩილ კბილაშვილს „გადაუსვეს“ პროკურატურაში და საწყალი აჩიკო ყურებით ჰყავს დაჭერილი. ახლა გამოძიება ყველა მხრიდან ზეწოლის ქვეშ იქნება: ლაშას მხრიდან — პროკურატურა, გელას მხრიდან — შს სამინისტრო.

— მესმის, დეტალებს არ ყვები, მაგრამ რაში მდგომარეობს ამ კვერცხების ბიზნესის გამოძიება — დოკუმენტებს ეყრდნობი, ჩანაწერებს, ჩვენებას?

— გეტყვით, რომ მაქვს ბიზნესმენების ჩვენებები, რომლებიც ასახელებენ რამდენიმე პიროვნებას და ორ მათგანს დავასახელებ: გია ხუხაშვილი და ლაშა ნაცვლიშვილი. მარტო ჩვენებებს არ ვეყრდნობი, ვიცი, რომ ამ ბიზნესმენებს ხელთ აქვთ სერიოზული დოკუმენტაცია.

— ისიც იცი, რომ საჭირო მომენტში უკან არ დაიხევენ?

— იმ შემთხვევაში, თუ ამ ადამიანებს გამოძიებიდან ჩამოაშორებენ, ე.ი. მათზეც ზეწოლა მოხდა და ყველაფერი გასაგები იქნება. ახლა ამიტომ ვერ ვასახლებ მათ გვარებს, თუმცა ერთ დეტალს გეტყვით, რომლის გაჟღერებაც არ მინდოდა: კადრების გამოქვეყნებამდე ერთი კვირით ადრე, ეს ბიზნესმენები დამიკავშირდნენ და მითხრეს, ამ ეტაპზე ურთიერთობა უნდა შევწყვიტოთ, რადგან ჩვენ სხვა ბიზნესებიც გვაქვსო! ჩემს შესახებ კადრების გამოქვეყნებამდე ერთი კვირით ადრე მომივიდა მესიჯი, რომ ჩემზე რაღაც ვიდეო ჰქონდათ. მე რომ საკუთარ სიმართლეში დარწმუნებული არ ვყოფილიყავი, გავჩერდებოდი, თუმცა მსგავსი სიბინძურე ბევრ ადამიანზე არსებობს და ხალხს ამით დღესაც აშანტაჟებენ. ამ კადრების გავრცელება იმაზე იყო გათვლილი, რომ მე პანიკაში უნდა ჩავვარდნილიყავი, შეიძლება, თავიც მომეკლა. სხვათა შორის, ბევრი მეუბნებოდა, შენ ადგილას თავს მოვიკლავდიო. ასევე, ეგონათ, ჩემი მეგობრები, ლაშა ამირეჯიბი და ელისო კილაძე ზურგს შემაქცევდნენ. მათ ის ვერ გათვალეს, რომ რეაქციას იმავე დღეს მივცემდი და ბრიფინგს ჩავატარებდი.

— როგორ ფიქრობ, ეს კადრები ვანო მერაბიშვილის მინისტრობის დროსაა გადაღებული თუ ახალი ხელისუფლების მიერ?

— შეიძლება, კადრები ვანო მერაბიშვილის მიერ იყო დამონტაჟებული. როცა ქვეყნის დატოვება მომიხდა და უკრაინაში ვიყავი პოლიტდევნილად, ქვეყნიდან გასვლამდე დამირეკეს კუდ-ის უფროსმა და მისმა მოადგილემ, შენს წინააღმდეგ რამეს მოვიფიქრებთო, თუმცა მაშინაც გამოვთქვი ეჭვი, რომ ჩემი ქვეყნის დატოვებაში გელა ხვედელიძის ხელი ერია და ის ორმაგ თამაშს თამაშობდა. მაშინ „ოცნებაში“ ახალგაზრდულის თავმჯდომარედ განვიხილებოდი, მაგრამ მოხდა ჩემი „ოცნებიდან“ ჩამოცილება.

— არჩევნებამდე ბრიფინგი ჩაატარე... გავრცელდა ინფორმაცია, რომ ქვეყნიდან სწორედ ხვედელიძე-ნაცვლიშვილმა გაგიყვანეს თავიანთი ფინანსებით, „ოცნების“ ახალგაზრდულიდან შენს ჩამოცილებაში კი დავით ფაცაციას ხელი ერია.

— ჩემი სახლი იპოთეკაშია ჩადებული, ეს რაც შეეხება მინსკში ჩემი წასვლის ფინანსებს. ახალგაზრდულიდან გადავედი „დიდებში“ და მას მერე, რაც ვნახე, რა კადრებით იყო დაკომპლექტებული „ოცნების“ შტაბები, რომელთაც გელა ხვედელიძე კურირებდა, შიდასკანდალი ავტეხე. ეს იყო „ოცნებაში“ შემოგზავნილი ვანო მერაბიშვილის კადრები. ამ დროს ნოდარ ხადურმა დამიბარა და მითხრა, აქ მეორე ჯგუფია, რომელიც ასევე იბრძვის ლიდერობისთვის და იმ ჯგუფს სერიოზული ლობისტები ჰყავსო. პირდაპირ გეტყვით, ამ ჯგუფს გია ხუხაშვილი და ირაკლი სესიაშვილი ლობირებდნენ. ხადურს დავუჯერე და „დიდებში“ გადავედი, მაგრამ გელა ხვედელიძისგან სერიოზული ზეწოლა წამოვიდა. მაშინ კუდ-მა შემომთავაზა თანამშრომლობა. მითხრეს, თანხასაც გადაგიხდით და შენს იმიჯზეც ვიზრუნებთო. მათ, ბუნებრივია, უარი ვუთხარი. ამიტომ ეს კადრები, შესაძლოა, მათ მიერ იყოს გადაღებული, მაგრამ მათ ნამდვილად არ გამოუყენებიათ. მერაბიშვილს ამ კადრების გამოყენება არჩევნების პერიოდში შეეძლო, როცა ყველა ტელეარხი მათი იყო, მე კი ბიძინა ივანიშვილთან ასოცირებული ვიყავი და ამით მის სახელსაც გასვრიდნენ, ანუ ეს კადრები შეიძლება, არსებობდა, მაგრამ ის მათ არ გამოუყენებიათ, დღეს კი ეს კადრები გელა ხვედელიძის გარეშე არ გავიდოდა.

— დაახლოებით მაინც თუ გაქვს წარმოდგენა, რა დროს, რა ვითარებაში შეიძლება იყოს ეს ვიდეო გადაღებული?

— იმ ადამიანებიდან, ვინც ამ კადრებში ჩანს, ვინმე ხომ მაინც უნდა მეცნობოდეს — ან ტელეფონზე უნდა მესაუბრა მათთან, ან პირადად მენახა, აბა, ისე როგორ შევხვდებოდი? მოვითხოვ, რომელიმე მათგანთან, უბრალოდ, რამე კავშირის შესახებ მიმითითონ. ვიდეოს ვერ ვუყურე, თუმცა ვნახე ფოტოები და არც ერთი ადამიანი არ მეცნობა. ერთი სიტყვით, მოვითხოვ გია ხუხაშვილის, ლაშა ნაცვლიშვილისა და გელა ხვედელიძის თანამდებობებიდან გადაყენებას. ასევე, საინტერესოა ისიც, რომ როცა პარასკევს გამომძიებლებს ჩვენება მივეცი, ჩემს, ანუ მოწმის ჩვენებაში ამ სამი ადამიანის გვარი არ დააფიქსირეს. ნეტავ, რატომ?! სხვათა შორის, გია ხუხაშვილმა ჩემზე თქვა, ფსიქიკურად ჯანმრთელი ადამიანი არ არისო. მე კი შემიძლია, ფსიქოს პასუხი გაჩვენოთ, აი, ხუხაშვილმა კი მოკიდოს თავის მეგობარ ლაშა ნაცვლიშვილს ხელი და ნარკოტესტზე შეამოწმოს, თანაც ჟურნალისტებთან ერთად.

— გაქვს ილუზია, რომ ირაკლი ღარიბაშვილი, საქართველოში დაბრუნების შემდეგ, შეგხვდება და ხვედელიძეს გადააყენებს?

— და რას იზამს ღარიბაშვილი, როცა წინ ფაქტის სახით აუდიოფირს დავუდებ? თუ მისთვის ამ ფირის გადაცემას არ მოყვება კონკრეტული თანამდებობის პირების გადაყენება, ამ შემთხვევაში, ეს ფირი აუცილებლად გახდება საჯარო.

— ფაქტობრივად, ღარიბაშვილის ჩამოსვლამდე მოსიარულე „ბომბი“ ხარ, რატომ არ იზღვევ თავს და ჩანაწერს ახლავე არ ავრცელებ?

— ასეა, მაგრამ პირადად ირაკლი ღარიბაშვილმა გამომიყო დაცვა, თუმცა საქმე ისაა, რომ ფირები აქ არ მაქვს. ჩემს ხელთ არსებულ ყველა ინფორმაციას გამოძიებას მას მერე მივაწვდი, რაც ეს ადამიანები დროებით მაინც იქნებიან დისტანცირებულნი თანამდებობიდან.

— ასევე, გაუგებარია, „ალიას“ ჟურნალისტის, მარი გულორდავას ფაქტორი — ჟურნალისტი გაძლევდა ინფორმაციას ხუხაშვილზე, მაგრამ საბოლოო ჯამში, მისგან ვერაფერი მიიღე. რატომ, რა მოხდა?

— აქ საინტერესო ისაა, რომ გულორდავას ადრე ვიცნობდი, მასთან შეხვედრა და კონტაქტი დიდი ხანია, არ მქონია. მას არც ჩემი ნომერი ჰქონდა. „ფეისბუქზე“ მომწერა და მითხრა, გია ხუხაშვილზე, ნათია მოგელაძესა და მის ქმარზე ინფორმაციას მოგაწვდიო. დავურეკე ნელი ვარდიაშვილს, „ალიას“ ჟურნალისტს, რომელთანაც დიდი ხნის ურთიერთობა მაქვს და საქმის კურსში ჩავაყენე.

— ნათია მოგელაძე თანამდებობიდან რომ გადადგა, ეს ამასთან რამე კავშირშია?

— არ მგონია, ეს მხოლოდ დამთხვევა იყოს. არ ვიცი... გულორდავას თქმით, ხუხაშვილი მოგელაძესა და მის ქმარს საქმეებს აკერინებდა და მალე „დაჭერების“ ახალი სერია უნდა დაწყებულიყო.

— უცნაურად არ მოგეჩვენა, რომ ჟურნალისტმა ინფორმაცია უფლებადამცველს გადასცა და თავის გაზეთში არ გამოაქვეყნა?

— ძალიან საეჭვოა, თუმცა ვცდილობდი დამეზუსტებინა, საიდან ჰქონდა გულორდავას ეს ინფორმაცია და ვთხოვე, იმ ხალხთან შეხვედრა მოეწყო, ვინც მას ეს ფირი გადასცა. მან მითხრა, რომ ეს ინფორმაცია ლევან ჩიტაძემ მიაწოდა.

— „ოცნებასთან“ დაახლოებულმა კიდევ ერთმა უფლებადამცველმა?

— ლევან ჩიტაძე აცხადებს, რომ მას ეს არ გაუკეთებია და არც მე ვიცი სიმართლე, მიაწოდა თუ არა გულორდავას ეს ინფორმაცია, ჩიტაძემ. ამიტომ ვითხოვ, ეს ყველაფერი გამოძიებამ დაადგინოს.

— ეს ძალიან ალოგიკური ხაზია: ლევან ჩიტაძე თავად თანამშრომლობს „ალიასთან“ და ლამის ყოველკვირა მასალებს აქვეყნებს, მაგრამ რატომღაც, აწვდის ინფორმაციას გულორდავას, რომელიც მერე შენ გირეკავს?

— აქ ორი ხაზია — ერთი ის, რომ ეს იყო გულორდავას ხელით შემოგდებული ინფორმაცია, რაზეც მაშინვე განგაში უნდა ამეტეხა. ამის მერე „ოცნების“ ეს კლანი აქეთ დამადანაშაულებდა, ფაქტების გარეშე ლაპარაკობსო.

— აქ იმ ვარიანტს ვერ ხედავ, რომ ეს გაზეთ „ალიას“ წინააღმდეგ დაგეგმილი პროვოკაციაა?

— არ მგონია, რადგან გულორდავა სტაჟიორი იყო „ალიაში“ და, როგორც ვიცი, იქ აღარ მუშაობს. ამიტომ, ველოდები, როდის იტყვის გულორდავა სიმართლეს და ეს მის ინტერესებშიც შედის, რადგან ახლა მისი იმიჯი საკმაოდ შელახულია. მეორე ვარიანტი კი ისაა, რომ იმ კლანმა იცოდა, ეს ფირი ხელში რომ უნდა ჩამვარდნოდა და ამ ფაქტს ჩემზე ფარული ჩანაწერების გავრცელებით დაასწრეს. ველოდები ირაკლი ღარიბაშვილს, რომელიც 10 მაისს ჩამოდის. დარწმუნებული ვარ, შეგვხვდება მე და ჩემს მეგობრებს — ელისო კილაძეს, ლაშა ამირეჯიბს. შეიძლება, მხოლოდ მე შემხვდეს, ნებისმიერ ვარიანტში, თუ იგი ამ ფაქტებზე რეაგირებას არ მოახდენს, ეს ფირი საზოგადოებაში გავრცელდება!

„ივანიშვილი საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას ქმნის, რომლის ცეკა-ს გენმდივანიც იქნება!“

სკანდალური ინტერვიუ „ახალი მემარჯვენეების“ ეკონომიკური მიმართულების ხელმძღვანელ ლევან კალანდაძესთან

მაია მიშელაძე
593-51-90-12

„ახალი მემარჯვენეების“ ეკონომიკური მიმართულების ხელმძღვანელი ლევან კალანდაძე „ვერსიასთან“ ექსკლუზიურ ინტერვიუში სკანდალურ განცხადებებს აკეთებს და ირწმუნება, რომ ბიძინა ივანიშვილი საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას ქმნის, რომლის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანიც იქნება. ამასთან, ლევან კალანდაძე ამბობს, რომ სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამა ეკონომიკური კი არა, პოლიტიკური პროექტია, რადგან ბიძინა ივანიშვილისა და მისი გუნდის მიზანია, მსგავსი ტიპის პროგრამებით, პოლიტიკური ქულები დაიწერონ და მომავალ საპრეზიდენტო თუ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში სოფლის მოსახლეობის კეთილგანწყობა მოიპოვონ. „განვლილ 7 თვეში, დამატებითი ღირებულების გადასახადის (დღგ) ბრუნვის მაჩვენებელი შემცირდა, რაც ბიზნესაქტივობის შემცირებას ნიშნავს, გაუარესდა მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) მაჩვენებელიც, რაც ეკონომიკური აქტივობის შესუსტებაზე მიანიშნებს. სამაგიეროდ, ხელისუფლება ბიზნესში უხეშად ერევა და ცდილობს, სარკინიგზო, და საფოსტო გადაზიდვებში, მონოპოლისტური კომპანიები შექმნას, რომლებსაც უშუალოდ პრემიერ-მინისტრი გააკონტროლებს“, ამბობს ლევან კალანდაძე.

— ბატონო ლევან, პირველი პოლიტიკური პარტია, რომელმაც სოფლის მეურნეობა პრიორიტეტად აღიარა, „ახალი მემარჯვენეები“ იყო და ეს თემა, როგორც ნაციონალურმა მოძრაობამ, ასევე — ქართულმა ოცნებამ მხოლოდ თქვენს მერე აიტაცა. იმაზე, რომ სოფლის მეურნეობას სახელმწიფოს სუბსიდირება სჭირდება, არავინ კამათობს, მაგრამ სოფლის მეურნეობის სამინისტროში, თქვენი აზრით, რა მოხდა?

— სამართლებრივი შეფასებისგან თავს შევიკავებ, რადგან გამოძიება არ დასრულებულა.

ხელი, როგორც ჩანს, დავით კირვალიძესა და მის გუნდს შეახოცეს, რადგან სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტის ჩავარდნის საფრთხე იგრძნეს. ეს პროექტი კი იმიტომ ჩავარდა, რომ ერთი, კონკრეტული ადამიანის ხუშტურზე იყო დამოკიდებული. სწორედ იმ ერთ ადამიანს უნდოდა, რომ მომდევნო არჩევნებში ამომრჩევლების მოსყიდვის ლეგალური ფორმა მოეძებნა და ეს პროგრამა განახორციელა. სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, ყოველგვარი პროგრამის გარეშე, ბიძინა ივანიშვილის ფულით, ადამიანების მოსყიდვა დაიწყო, რადგან ეს სახელმწიფო ბიუჯეტის კი არა, „ქართუს“ ფული იყო, რომელიც 650 000 ადამიანს უნდა დარიგებოდა.

პრობლემა ისაა, რომ ბიძინა ივანიშვილის მთავრობამ ამ პროექტს რეალური სახელი არ დაარქვა, რადგან ეს იყო სოფლად მცხოვრები ადამიანების სოციალური დახმარების პროექტი, რაც მათ საშუალებას აძლევდა, რომ შესაწამლი საშუალება, ან ურიკა ეყიდათ, საკუთარი საკარმიდამო ნაკვეთი დაემუშავებინათ, ოჯახი გამოეკვებათ, მაგრამ ეს არ არის სოფლის მეურნეობის განვითარება, ეს კონკრეტული ოჯახის მცირეოდენი ერთჯერადად დახმარებაა. შევთანხმდეთ, რომ სოფელს, მართლაც სჭირდება დახმარება და თუ სოფლად მცხოვრებ ადამიანებს ვიღაც ეხმარება, ეს ცუდი არაა, მაგრამ უმჯობესი იქნებოდა, ეს პროგრამა სოფლად ბიზნესის განვითარებაზე ორიენტირებული ყოფილიყო. არავინ იცის, მომავალ წელს სოფლის მეურნეობის სამინისტრო რას აპირებს, როგორც მინიმუმ, სამწლიანი გეგმა ხომ მაინც უნდა ჰქონდეთ შემუშავებული, რომ თუ წელს კონკრეტულ პროექტში ფულს დებენ, ის მაინც ხომ უნდა ვიცოდეთ, რა სარგებელს მოიტანს ეს პროექტი მომავალ წელს? გაისადაც უნდა მოვუხნათ და დავუთესოთ ამ ადამიანებს საკარმიდამო ნაკვეთები, თუ ბიზნესისა და კოოპერატიული გაერთიანების განვითარების საშუალება უნდა მივცეთ? საგადასახადო კოდექსში დღემდე არის ერთი მუხლი, რომელიც ფინანსთა მინისტრმა, ნოდარ ხადურმაც კარგად იცის, რომ შესაცვლელია, მაგრამ არავის გახსენებია, რადგან სოფლის მეურნეობა მართლა არ არის ამ ხელისუფლების პრიორიტეტი.

სოფლის მეურნეობაში ინდივიდუალური სასოფლო-სამეურნეო ეკონომიკური საქმიანობა გაცილებით შეღავათიანი პირობებით იბეგრება, ვიდრე — კოოპერატივის. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ სოფლად მცხოვრები ფერმერები საკუთარ ნაკვეთებს გააერთიანებენ და კოოპერატივებს შექმნიან, უფრო მეტად დაიბეგრებიან. არავის უფიქრია, რომ საგადასახადო კოდექსში ცვლილებები შესატანი მხოლოდ სოფლად კი არა, ურბანულ დასახლებებშიცაა შესატანი, მცირე და საშუალო ბიზნესის ხელისშემწყობი საგადასახადო რეჟიმი შეიქმნას. არავინ აღარ ფიქრობს, რომ სოფლად — კოოპერატივს და ქალაქში — მცირე ბიზნესს, განსაკუთრებული სტატუსი მიენიჭოს. ყველას დაავიწყდა, რომ მცირე ბიზნესის სტატუსი მხოლოდ ინდმეწარმეს აქვს და არა — იურიდიულ პირს, არავის ახსოვს, რომ პარლამენტში დიდი ხანია, დევს კანონი, რომელიც სოფლად მიწების რეგისტრაციას ეხება. სოფლებში, კერძო საკუთრებაში არსებული მიწების 80% არარეგისტრირებულია, რომელიც არასდროს გახდება ყიდვა-გაყიდვის, ინვესტიციების მოზიდვის, ან ბანკში გირაოში ჩადების საფუძველი.

სოფლის მეურნეობა თითქოს პრიორიტეტულია, მაგრამ პარლამენტარებს ფეხი ფეხზე აქვთ გადადებული და ბრძნული სახეებით, მხოლოდ პრეზერვატივებსა და ჩოხებზე საუბრობენ. არავინ ფიქრობს, რომ სოფლად მცხოვრებ ადამიანებს საგადასახადო შეღავათები, ბენეფიტები ჰქონდეთ, რაც წინასაარჩევნო პერიოდში აუცილებელი იყო. ახალმა ხელისუფლებამ საშემოსავლო გადასახადის 18%-მდე შემცირებაზეც კი უარი თქვა, რაც იმას ნიშნავს, რომ ქართული ოცნება დიამეტრალურად მარცხნივ გადაიხარა. ველოდები, რომ უახლოეს მომავალში, ეს ხელისუფლება გადასახადებსაც გაზრდის, რადგან ბიუჯეტში საკმარისი შემოსავლები არ იქნება, რომ სხვადასხვა პროგრამა განახორციელოს, ეს კი წმინდა წყლის სოციალისტური მოდელია.

როდესაც სახელმწიფო ბიუჯეტში საკმარისი ფული არ არის, ხელისუფლებამ ქამარი უნდა შემოიჭიროს, მაგრამ უკვე ვატყობ, რომ ბიძინა ივანიშვილის გუნდს ქამრების შემოჭერა არ უნდა. ისინი კარგად აგრძელებენ ნაციონალური მოძრაობის მანკიერ ტრადიციას, ვგულისხმობ ფეშენებელური მანქანების შეძენასა და მაღალი პრემიებით სარგებლობას. არის კიდევ ერთი გზა — ხელისუფლებას ხარჯების დაფინანსება გადასახადების გაზრდით შეუძლია და მერწმუნეთ, ეს დროც მოვა, სხვა ალტერნატივა არ არსებობს.

დარწმუნებული ვარ, რომ სხვადასხვა პროექტებს ბიძინა ივანიშვილი საკუთარი ფულით აღარ დააფინანსებს და პრინციპში, რატომ უნდა დააფინანსოს? ბიძინა ივანიშვილმა ფული პოლიტიკაში დახარჯა და გარკვეულ პროგრამებში დღესაც იმიტომ ხარჯავს, რომ ამომრჩევლები მოისყიდოს. ის ილუზია, თითქოს ბიძინა ივანიშვილი მეწარმეა, რომელიც ყველაფერს გააკეთებს, რათა ბიზნესი განვითარდეს, მცდარია. პირდაპირ გეუბნებით, ბიძინა ივანიშვილი არასდროს ყოფილა ბიზნესმენი, მას არასდროს უშოვია ფული თავისუფალ, კონკურენტულ გარემოში, ის ყოველთვის ოლიგარქი იყო, რომელიც საეჭვო ფინანსურ და პოლიტიკურ წრეებთან, კრემლთან დაახლოებული პირი იყო, ის ფულს ყოველთვის შოულობდა და საკმაოდ დიდი ფული იშოვა კიდეც ამ ოლიგარქიულ სქემებში მონაწილეობით, რაც მისთვის კომფორტულია!

არ ვამბობ, რომ ბიძინა ივანიშვილი უნიჭოა, უდავოდ ნიჭიერია, მაგრამ თავისუფალ ბაზარზე მუშაობას მიჩვეული არ არის, ის ბიზნესმენი კი არა, ტიპური რუსული ოლიგარქის სახეა! მისი წარმატების ერთადერთი ფორმულა კრემლთან სიახლოვე იყო. ის მოდელი, რასაც ბიძინა ივანიშვილი საქართველოში აყალიბებს, სწორედ, რუსული ოლიგარქიულ-მონოპოლისტური მოდელის კოპირებაა. გადაზიდვები და ფოსტა უკვე სახელმწიფოს ხელშია, ნავთობის ბიზნესიც ხელისუფლებამ უნდა აკონტროლოს, ზოგიერთმა, გაურკვეველი სტატუსის პოლიტიკოს-ექსპერტმა კი გარკვეული საკითხები უნდა მოუგვაროს: ვიღაცებს ფული მოატანინოს, ვიღაცებს — წილებში ჩაუჯდეს და აკონტროლოს. აი, ეს არის ბიძინა ივანიშვილის მოდელი, რომელიც ოლიგარქიულ-მონოპოლისტურ სისტემას ქმნის საქართველოში. ეს ზუსტად ის მოდელია, რაც ნაციონალური მოძრაობის დროს არსებობდა, როდესაც თუ სააკაშვილის გუნდთან დაახლოებული არ იყავი, ვერაფერს გააკეთებდი ბიზნესში, ოღონდ, განსხვავება ის იქნება, რომ ნაციონალური მოძრაობა მოუკრეფავში გადავიდა და რეალობის აღქმის უნარი დაკარგა. ბიძინა ივანიშვილი ასე არ გააკეთებს, მას შერჩეული, ოლიგარქიული სისტემა ექნება, ყველა მაღაზიას და წვრილ მეწარმეს კი არ ჩაუჯდება წილში, მაგრამ აუცილებლად შექმნის რამდენიმე ძირითად მიმართულებას და ამის ნათელი მაგალითია სადაზღვევო ბაზარი, რომელიც ხელისუფლებამ უკვე ჯიბეში ჩაიდო, რადგან დაზღვევის სახელმწიფო სამსახურის სახით, თავკომბალა შექმნა.

ბიძინა ივანიშვილი ცდილობს, აგროსესხებიც თვითონ აკონტროლოს, რადგან იმ ფონდის ძირითადი დონორი, რომელიც სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის შექმნა, ისევ ბიძინა ივანიშვილია „ქართუს“ სახით და ესეც მისი კონტროლირებადი სფერო იქნება. მონოპოლიების თემა საქართველოში ჯერ ვერ გაქრა, არადა, წინასაარჩევნო პერიოდში, ყველას ანტიმონოპოლიური რეგულირება ეკერა პირზე, მაგრამ ახლა სად გაქრა ანტიმონოპოლიური რეგულირება?

დასასრული მე-8 გვერდზე

ბიძინა ივანიშვილი აზერბაიჯანს იაფი გაზისთვის მადლობას უხდის

„აზერბაიჯანი, საქართველოს სტრატეგიული პარტნიორია და ქართული მხარე ყველაფერს გააკეთებს, რომ მომავალში, ერთად ავაყვაოთ ჩვენი ქვეყნები“, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა, აზერბაიჯანის ყოფილი პრეზიდენტის, ჰეიდარ ალიევის ძეგლისა და მისი სახელობის სკვერის გახსნისას განაცხადა. ღონისძიებას კომპანია „სოკარის“ პრეზიდენტი, როვნაგ აბდულაევი და აზერბაიჯანის კულტურისა და ტურიზმის მინისტრი, აბულფაზ გარაევიც ესწრებოდნენ.

ბიძინა ივანიშვილმა, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობის საკითხში, ჰეიდარ ალიევის განსაკუთრებულ როლზე გაამახვილა ყურადღება:

„სწორედ ჰეიდარ ალიევის დამსახურებაა, რომ აზერბაიჯანული ნავთობი საქართველოს ტერიტორიაზე, შავი ზღვის გავლით გაედინება და ეს ყველაფერი, ჰეიდარ ალიევის დაჟინებული პოზიციის შედეგად განხორციელდა. იმ დროს იყო არჩევანი და იყო ალტერნატიული გზები. სწორედ ჰეიდარ ალიევის შორსმჭვრეტელმა ნაბიჯმა გადაწყვიტა ყველაფერი. მან აზერბაიჯანული წილიც კი დათმო ჩვენი ქვეყნის სასარგებლოდ, რამეთუ აზერბაიჯანისა და ქართველი ხალხის მეგობრობას განსაკუთრებით აფასებდა. მისი ძეგლის გახსნით, პატივი მივაგეთ არა მარტო ბატონი ალიევის ხსოვნას, არამედ აზერბაიჯანელი და ქართველი ხალხის მეგობრობას“, — აღნიშნა ივანიშვილმა.

მისივე თქმით, ყველაფერი უნდა გაკეთდეს, რათა საქართველოსა და აზერბაიჯანის ისტორიული მეგობრობა, უფრო მაღალ საფეხურზე ავიდეს. ღონისძიებას აზერბაიჯანის მთავრობის წარმომადგენლები, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი გურამ ოდიშარია, ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრი კახი კალაძე, რეინტეგრაციის მინისტრი პაატა ზაქარეიშვილი, საპარლამენტო უმრავლესობისა და უმცირესობის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

აზერბაიჯანელ ჟურნალისტებთან საუბრისას, პრემიერ-მინისტრმა კიდევ ერთხელ გადაუხადა მადლობა აზერბაიჯანის მთავრობას, ბუნებრივ აირზე საქართველოსთვის დაწესებული დაბალი ტარიფისათვის და აღნიშნა, რომ რუსეთიდან გაზის შესყიდვაზე, ენერგეტიკის მინისტრმა კახი კალაძემ, მხოლოდ ზოგადი განცხადება გააკეთა:

„ინტერვიუს დროს, როდესაც დაუსვეს კითხვა, რომ ელექტროენერგიას ვყიდულობთ რუსეთისგან, კახი კალაძემ ზოგადად თქვა, რომ რატომაც არა, სავაჭრო ურთიერთობები ჩვენ ყველასთან უნდა გავამყაროთ და გავაღრმაოთო. სამწუხაროდ, ჩვენ ასეთ ფასად არ შეგვიძლია ვიყიდოთ რუსეთისგან გაზი. ეს ნათქვამი იყო საერთო ფრაზებით. რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობა უკეთესი უნდა გავხადოთ და ეს ჰქონდა მას მხედველობაში. ჩვენმა პრეზიდენტმა კი ეს სხვა დონეზე ასწია, მან შეძლო, „ფრთები შეესხა“ ამ ფრაზებისათვის, რაც ზოგადად იყო ნათქვამი. ეს ნორმალურია, რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობები უნდა გავაღრმავოთ და გავაუმჯობესოთ. სამწუხაროდ, გაზის ყიდვა უფრო იაფად, შეუძლებელია. ამისათვის, კიდევ ერთხელ, დიდ მადლობას ვუხდით აზერბაიჯანის მთავრობას“, — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

რადიო „კომერსანტი“

„ივანიშვილი საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას ქმნის, რომლის ცეკა-ს გენმდივანიც იქნება!“

მე-7 გვერდიდან

— როგორც ვიცი, ანტიმონოპოლიურ რეგულირებაზე ჯგუფი უკვე მუშაობს და კანონპროექტს მალე პარლამენტშიც შეიტანენ...

— რაც მოვიდნენ, სულ რაღაცას ითვლიან, პროექტებზე მუშაობენ და სახელმწიფო სტრატეგიას ქმნიან, მაგრამ კონკრეტული ვერაფერი ვნახე. პოლიტიკური ნებელობის საკითხია, გატარდება თუ არა ქვეყანაში ანტიმონოპოლიური პოლიტიკა. კანონი გვაქვს, სადაც თავისუფლად შეიძლება ცვლილებების შეტანა, სახელმწიფო ინსტიტუცია — თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოს სახით — გვაქვს. ერთადერთი, რაც არ გვაქვს, ეს პოლიტიკური ნებაა, რომ ანტიმონოპოლიური რეგულირება განხორციელდეს.

— სამაგიეროდ, გვაქვს შრომის კოდექსი, რომელიც არ ვარგა და ამაზე „ვერსიაში“ უკვე ვწერდით. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ახალი შრომის კოდექსი ბიზნესმენს მოტივაციას უკარგავს, სტაჟიორი აიყვანოს, რადგან მას სრული ხელფასი უნდა გადაუხადოს...

— შრომის კოდექსთან დაკავშირებით გიორგი მარგველაშვილს ვეთანხმები, მაგრამ შემდეგ ტონი შეარბილა და პოლიტიკურ კონიუნქტურას მოერგო, რადგან მიხვდა, რომ ბიძინა ივანიშვილი მთლად ბიზნესზე ორიენტირებული არაა. ასეთ პირობებში, როდესაც, მაპატიეთ და, ბიზნესი სახელმწიფოსგან დაოთხილია, როდესაც იუსტიციის მინისტრი, თეა წულუკიანი პირდაპირ ემუქრება ბიზნესს, ამ პირობებში, ის ოლიგარქიული გაერთიანებები მოიგებენ, რომლებიც ხელისუფლების ხელდასხმით შეიქმნება. იუსტიციის სამინისტრომ, ახალი პროექტის სახით, შრომის კოდექსი პირდაპირ ჩაჩეხა და როგორც გითხარით, ბიზნესს იუსტიციის მინისტრი ემუქრება, რაც პირველი შემთხვევა არ არის.

ქალბატონი წულუკიანი, ბიზნესისადმი მტრული დამოკიდებულებით გამოირჩევა, ყოველ შემთხვევაში, ისეთი შთაბეჭდილება მექმნება, რომ მისთვის ბიზნესი კლასობრივი მტერი და ბრძოლის ობიექტია. არ ვიცი, ეს მისი შინაგანი კომპლექსია თუ არა, მაგრამ თეა წულუკიანს ბიზნესი სძულს, რომელიც ბიზნესში მტერს ხედავს და არა — პარტნიორს.

შესაბამისად, რისკის წინაშე ვდგავართ, რომ ზარმაცებზე ორიენტირებული შრომის კოდექსი მივიღოთ. ბიზნესი განვითარების საფუძველია, მაგრამ ახალი შრომის კოდექსის სახით, ხელისუფლება ბარიერებს ქმნის და ზარმაცებს ახალისებს, რომლებსაც სამსახურიდან ვერავინ დაითხოვს. ვფიქრობ, ბიძინა ივანიშვილის გუნდი ამას ორი მიზეზის გამო აკეთებს, პირველი — ბიზნესი დაოთხილი და ლაგამამოდებული უნდა ჰყავდეს, რათა არ განვითარდეს და კონკურენცია არ გაუწიოს ხელისუფლების მიერ შექმნილ, მონოპოლისტურ-ოლიგარქიულ, სახელმწიფო თავკომბალებს და მეორე — ზარმაცი და მუქთამჭამელა ადამიანების, როგორც პოტენციური ამომრჩევლების კეთილგანწყობა მოიპოვოს ისე, როგორც სოფლად მცხოვრები ადამიანების კეთილგანწყობა მოიპოვა ბარათების დარიგებით. ბიძინა ივანიშვილი პროგრესზე ორიენტირებულ, მემარჯვენე იდეოლოგიის მქონე ადამიანებზე გათვლას არასდროს გააკეთებს, მას მხოლოდ ის ხალხი აინტერესებს, რომელსაც ფეხი ფეხზე უნდა ჰქონდეს გადადებული, რომელიც ბიძინა ივანიშვილის 7 მილიარდის მაცქერალია და ესთეტიკურ სიამოვნებას იღებს, რომ ეგებ, ბატონმა ბიძინამ ან მასთან დაახლოებულმა მონოპოლისტურმა თავკომბალა კომპანიებმა, რაღაც გადაუგდონ სოციალური დახმარების, ბარათისა თუ ვაუჩერის სახით. იმედი მაქვს, საზოგადოება მალე გააცნობიერებს ხელისუფლების ასეთ „იუზერულ“ დამოკიდებულებას, რადგან ასეთი მართვის 9-წლიანი გამოცდილება უკვე გვაქვს და ამდენს აღარ მოვითმენთ. სასოფლო-სამეურნეო ბარათის სახით ლუკმის გადმოგდებას მოკლევადიანი ეფექტი აქვს — კი ბატონო, იყიდა გლეხმა ურიკა და შესაწამლი აპარატი, მაგრამ მომავალ წელს რა უნდა გააკეთოს? ეს არის წინაპირობა, რომ ხელისუფლება სოფლის მეურნეობას ავითარებს? შეცდომა იყო, როდესაც ამ ბარათების დარიგებით, ილუზია შევქმენით, რომ სოფლად მცხოვრები ადამიანები, სოფლის მეურნეობის განვითარების პროცესში არიან ჩართულნი.

— იმას გულისხმობთ, რომ საგადასახადო შეღავათების სახით, სახელმწიფოს პირობები უნდა შეექმნა, რათა სოფლად კოოპერატივები შექმნილიყო? ხელისუფლების წარმომადგენლები ამაზე პასუხობენ, რომ სოფლის მეურნეობის განვითარების მილიარდიან ფონდში ერთ-ერთი აგროსესხის მოცულობა 1 000 000 ლარია, რაც იმას ნიშნავს, რომ ხელისუფლება სოფლად კოოპერატივების შექმნას ხელს უწყობს. თქვენც ხომ იცით, რომ ამხელა სესხის აღება, თუნდაც 3%-ში, რიგით ფერმერს გაუჭირდება?

— რიგითი ფერმერი მხოლოდ 5 000 - ლარიან სესხს აიღებს, მაგრამ დიდი ბიუროკრატიული გზა უნდა გაიაროს, რომ მცირე ან საშუალო მეწარმემ სესხი აიღოს. 5 000-ლარიანი სესხი გამარტივებულია, მაგრამ ამ მოცულობის სესხის ამღებთა უმრავლესობას ბანკში ვალი აქვს. გარდა ამისა, არავინ იცის, ვინ რაში გამოიყენებს ამ სესხს, მით უმეტეს, ჩამოყალიბდა მანკიერი პრაქტიკა, რომ შესაძლოა, სესხის სახით, ფული ვერ მიიღო, მაგრამ სასუქის, ან თუნდაც ტექნიკის შეძენის სახით გაანაღდო ისე, როგორც ვაუჩერების შემთხვევაში მოხდა. რაც მთავარია, ბიძინა ივანიშვილმა აღნიშნა, რომ წლის ბოლომდე, 60 გადამამუშავებელი საწარმოს შექმნას აპირებს, ოღონდ, მთავარია, ვინ უნდა შექმნას — ბიზნესმა თუ ივანიშვილმა მონოპოლისტური თავკომბალების სახით? ისიც გაითვალისწინეთ, რომ სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდი თანადაფინანსებაზეა ორიენტირებული, ანუ სახელმწიფოს ყველგან წილი აქვს, მაგრამ სინამდვილეში, ეს სახელმწიფოს კი არა, ბიძინა ივანიშვილის ფულია, რომელიც აგროსესხების ამღებ ფერმერებსა თუ მეწარმეებს წილში უჯდება. თუ სოფლის მეურნეობაში სახელმწიფო მონოპოლისტურ წარმონაქმნებს შევქმნით, ისინი უპირატეს მდგომარეობაში იქნებიან და მის მეზობლად არსებული კონკურენტი კომპანია, რომელიც კერძო კაპიტალით შეიქმნება, მათ კონკურენციას ვერ გაუწევს და ორ-სამ წელში დაიხურება. სახელმწიფო კომპანიები კერძო კომპანიებს შეისრუტავენ და კიდევ უფრო ახალი, გამსხვილებული სახელმწიფო კომპანიები გაჩნდებიან. საბოლოო ჯამში, საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას მივიღებთ, რომლის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ბიძინა ივანიშვილი იქნება. ის მოდელი, რომელსაც ბიზნესში ივანიშვილი ქმნის, რუსული ოლიგარქიულ-მონოპოლისტური მოდელია, რომელიც ფასადურად გამჭვირვალე იქნება და ეს მიშა სააკაშვილისგან კარგად ისწავლა. იმედი მაქვს, ამ ინტერვიუს შემდეგ, ჩემს ფარულ ჩანაწერებსაც არ გამოაქვეყნებენ...

— საინტერესოა, მთავრობის ეკონომიკურ გუნდს როგორ შეაფასებთ?

— რამდენადაც გასაოცარი უნდა იყოს, განსაკუთრებით იმის შემდეგ, რაც უკვე გითხარით, საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე კარგი ეკონომიკური გუნდი ჰყავს. სათითაოდ დაგიხასიათებთ, მაგალითად, ეკონომიკის მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი საუკეთესო და ძალიან ჭკვიანი ადამიანია, ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური ძალიან ჭკვიანი ადამიანია, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი დავით ნარმანია საკმაოდ ჭკვიანი და კარგი ადამიანია, სოფლის მეურნეობის მინისტრი დავით კირვალიძე ძალიან კარგი სპეციალისტი და პროფესიონალი იყო, ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრი კახი კალაძე საკმაოდ ჭკვიანი ადამიანი აღმოჩნდა, რომლის მიმართ პესიმისტურად ვიყავი განწყობილი, მაგრამ ძალიან ნიჭიერია და კარგად აუღო ალღო ენერგეტიკას. სულ ვფიქრობდი, რომ კალაძეს კილოვატის მეგავატში გადაყვანა არ ეცოდინებათქო, მაგრამ ალღო იმდენად კარგად აუღო, რომ სასიამოვნოდ გაოცებული ვარ და აქედან გამომდინარე, ის ორი გოლიც ვაპატიე, საკუთარ კარში რომ გაიტანა. მიუხედავად ამისა, ეკონომიკური გუნდის მუშაობის ეფექტურობის მარგი ქმედების კოეფიციენტი ნულია, რადგან ეს არის პიროვნებებისა და არა — გუნდის შეფასება. საქართველოში ეკონომიკური გუნდი არც ცალკეულ სამინისტროებს და არც მთავრობას ერთიანი ეკონომიკური პოლიტიკა არ აქვს. ამ ადამიანებს პოლიტიკური თანამდებობის პირები კი ჰქვიათ, მაგრამ ისინი პოლიტიკის შემქმნელები და ამ პოლიტიკის გამტარებლები არ არიან. ეს ყველაფერი ბიძინა ივანიშვილშია თავმოყრილი. ბიძინა ივანიშვილის მუშაობას კი უარყოფითად ვაფასებ, რადგან 7 თვის განმავლობაში, ამ ადამიანმა, კითხვებზე პასუხების ნაცვლად, პირიქით, კითხვების რაოდენობა გააათმაგა.

ქართველ პარლამენტართა გასტრონომიული ვნებანი

გუბაზ სანიკიძემ გადეპუტაცება ხარის დაკვლით აღნიშნა, გივი თარგამაძე პარლამენტის სხდომებს მთვრალი ესწრება, მარიამ საჯაია კი საღამოობით ძვირადღირებულ კონიაკს სასტუმროს ნომერში მეგობრებთან ერთად მიირთმევს

თორნიკე ხურცილაძე
„ვერსიისთვის“ ქუთაისიდან

ქუთაისში ამბობენ, ქვეყნის სიდიდით მეორე ქალაქში პარლამენტის ფუნქციონირებამ ყველაზე მეტად ბარ-რესტორნები და მედუქნეები ასარგებლაო. გაჰყვებათ თუ არა პარლამენტის დედაქალაქში გადატანის შემდეგ ქართველ კანონმდებლებს ქუთაისური ბარ-რესტორნების ნოსტალგია? სად ატარებენ თავისუფალ დროს და როგორია პარლამენტართა გასტრონომიული მისწრაფებები? — „ვერსიამ“ პარლამენტის ბუფეტიდან ქუთაისის ცენტრში მდებარე ფრანგულ რესტორნამდე დეპუტატთა აპოლიტიკური გზა გაიარა.

ქუთაისის ყოფილი მერი, საპარლამენტო უმცირესობის ერთ-ერთი ლიდერი გიორგი თევდორაძე იმ დეპუტატთა რიცხვშია, რომელთა შესვლაც პარლამენტის ბუფეტში განსაკუთრებით უხარიათ — თევდორაძე მადას არასოდეს უჩივის და არც ხურდას ითხოვს, ამიტომაც მიხეილ მაჭავარიანი მიიჩნევს, რომ ქუთაისის ყოფილი მერი ყველაზე ხელგაშლილი ნაციონალია... „დადებს ასლარიანს, დახარჯავს ორმოცს და ხურდის ასაღებად არასოდეს ბრუნდება“, — ამბობენ პარლამენტის ერთ-ერთ ბუფეტში, რომელიც საკანონმდებლო ორგანოს მეოთხე სართულზე, საპარლამენტო უმცირესობის ლიდერთა კაბინეტების გვერდით მდებარეობს.

„მოწოწნიკი“, კურდღლისა და კალმახის ხორცი, ათასგვარი სალათი და კიდევ უფრო მრავალფეროვანი „გარნირები“, ასკილის წვენი და ხილის ნატურალური კომპოტები — ეს თევდორაძის „საპარლამენტო მენიუა“...

რაც შეეხება ქუთაისის მომავალ მერს, გია გიორგაძეს, მისი ოჯახი „ქართული თონის“ მფლობელია — „ვერსიის“ ინფორმაციით, გიორგაძეების „მოკრძალებული“ ბიზნესი ქალაქის ერთ-ერთ ცენტრალურ უბანში, ნინოშვილის ქუჩაზე ჰყვავის და, როგორც ამბობენ, ქართული სამზარეულოს ოქროდ მიჩნეულ გოჭს გიორგაძეები ბაჯაღლოს ფასად, ანუ ყველაზე ძვირად წვავენო.

უმადობასა და ხელგაშლილობას არც „ქართულ ოცნებაში“ უჩივიან.

საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი კობა დავითაშვილი საქმისაგან დაღლილ და გართობასმოწყურებულ ჟურნალისტებს ქუთაისური რესტორნების მენიუსა და ფასებს ხშირად აცნობს. მეტიც, დავითაშვილს, სურვილის შემთხვევაში, კვების ობიექტების მენეჯერებთან „საქმის მოგვარებაც“ შეუძლია. სხვათა შორის, დავითაშვილი მედიის წარმომადგენლებს კომენტარზე უარს ხშირად შიმშილისა და საპირფარეშოში შესეირნების მიზეზით ეუბნება.

„ვერსიას“ შეუმჩნეველი არც დეპუტატ გივი თარგამაძის ალკოჰოლისადმი ტრფობა დარჩა — საპარლამენტო უმცირესობის ერთ-ერთი ლიდერი სესიებს ხშირად ნასვამ მდგომარეობაში ესწრება. პარლამენტის ბუფეტში ას გრამ კონიაკზე უარს არც სხვა დეპუტატები ამბობენ.

„ვერსიის“ სანდო წყაროს ინფორმაციით, 2012 წლის პირველი ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვება ქუთაისის მაჟორიტარმა დეპუტატმა გუბაზ სანიკიძემ, საკუთარ მხარდამჭერებთან ერთად, არც მეტი არც ნაკლები, ხარის დაკვლით აღნიშნა. პოლიტიკური ღრეობა ქუთაისის ერთ-ერთ გარეუბანში, საღორიაზე „ბაბუნაშვილების დარბაზში“ გაიმართა. „ვერსიის“ წყაროს ინფორმაციით, გუბაზ სანიკიძე ერთ-ერთ შეფ-მზარეულს, რომელსაც ტანმორჩილების გამო „სკინტიას“ ეძახიან, მერიის სასადილოსთან დაკავშირებული სამომავლო პერსპექტივების შესახებ ესაუბრა და სამუშაოსაც დაპირდა. მოგვიანებით კი, ცნობილი გახდა, რომ სანიკიძეს და „ქართულ ოცნებას“ მომსახურე პერსონალისთვის ფული არ გადაუხდია. იმასაც ამბობენ,

ქუთაისის მაჟორიტარი დეპუტატი ხშირად „კოდას“ სუპერმარკეტს სტუმრობს და ქართული ქათმის კუჭებს, ასევე, ქართული და გაძლიერებული მადით შეექცევა. მოკლედ, სანიკიძე „სადიას“ ქათმებს, როგორც ჩანს, წარმომავლობის გამო არ სწყალობს და ბრაზილიურს მშობლიურ პროდუქტს ამჯობინებს.

მსხვილფეხა პირუტყვისა და შინაური ფრინველების შინაგან ორგანოებს არა, მაგრამ ფრანგული სამზარეულოს გამორჩეულ კერძებს, ზღვის პროდუქტებსა და სხვადასხვა დელიკატესს დეპუტატი ქალბატონები ქუთაისის ცენტრში მდებარე ფრანგულ რესტორან café de paris-ში ხშირად აგემოვნებენ. ეს სწორედ ის ადგილია, სადაც ცოტა ხნის წინ ქუთაისში სტუმრად მყოფმა პრეზიდენტმა ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად ივახშმა (ამ პოლიტიკური ვახშმობისას მკაცრ დიეტაზე მყოფი მხარის გუბერნატორი, ვახტანგ ბალავაძე მხოლოდ მწვანე ვაშლს შეექცეოდა). როგორც ამბობენ, ფრანგულ რესტორანს, სადაც ყველაზე იაფფასიანი კერძი 15 ლარი ღირს, ჩიორა თაქთაქიშვილი, მარიამ საჯაია და თინათინ ბოკუჩავა სტუმრობენ. ბოკუჩავა და საჯაია ერთად, წყალტუბოს საკრებულოს თავმჯდომარის, მამუკა საღარეიშვილის კუთვნილ სასტუმროში ცხოვრობენ. „ვერსიის“ ინფორმაციით, დეპუტატი ქალბატონები ძვირადღირებულ კონიაკს ხშირად სწორედ სასტუმროს ნომერში, მეგობრებთან ერთად, ხმაურიანად შეექცევიან.

როდემდე დარჩება ქვეყნის საკანონმდებლო ორგანო ქუთაისში, არავინ იცის. როგორც ამბობენ, ქვეყნის სიდიდით მეორე ქალაქის ეკონომიკისთვის ქუთაისის საპარლამენტო ცხოვრებას ბევრი არაფერი მოუტანია, გარდა ადგილობრივი ბარ-რესტორნების ფინანსური წარმატებისა.

ეკა სეხნიაშვილი

შს სამინისტრო, საგზაო უსაფრთხოების წესების დარღვევისთვის, ადმინისტრაციული ჯარიმების გარკვეული ნაწილის გაზრდას გეგმავს — როგორც საპატრულო დეპარტამენტის თანამშრომელი ამბობს, ეს პროექტი შიდაგანხილვის დონეზეა და პარლამენტში მისი ინიცირება, სავარაუდოდ, ზაფხულში მოხდება. წყაროს თქმითვე, ზოგიერთ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევაზე ჯარიმის ოდენობა დაიწევს და ლიბერალური გახდება... წყაროს ინფორმაციით, თითქმის უკვე გადაწყვეტილია, რომ ჯარიმები გაიზრდება 116-ე მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ დარღვევაზე. ეს ის მუხლია, რომელიც ნასვამი მძღოლის დაჯარიმებას ითვალისწინებს.

რა ცვლილებები იგეგმება ადმინისტრაციული ჯარიმების კუთხით

მოქმედი კანონმდებლობით, 116-ე მუხლის — სატრანსპორტო საშუალების მართვა ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული სიმთვრალის მდგომარეობაში — დარღვევა ჯარიმდება 200 ლარით. აღნიშნული მუხლის გამკაცრება, როგორც წყარო ამბობს, მართვის მოწმობის ჩამორთმევასა და ფულადი ჯარიმის 500 ლარამდე გაზრდას ითვალისწინებს. ამ ჯარიმის გაზრდა, როგორც ჩანს, ივანიშვილის მიერ დაანონსებული ალკოჰოლის წინააღმდეგ ბრძოლის კამპანიის ნაწილია.

მოქმედი კანონმდებლობით, სატრანსპორტო საშუალების სამართავად გადაცემა წინასწარი შეცნობით ალკოჰოლური სიმთვრალის მდგომარეობაში მყოფი პირისთვის 250 ლარით ჯარიმდება. ხოლო თუ მძღოლს სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება არ აქვს ან ჩამორთმეული აქვს, იწვევს როგორც მძღოლის, ასევე სატრანსპორტო საშუალების მფლობელის დაჯარიმებას 500 ლარით. აღნიშნული სამართალდარღვევების განმეორებით ჩადენა კი ითვალისწინებს მართვის უფლების ჩამორთმევას ერთი წლის ვადით ან დაჯარიმებას 700 ლარით. სავარაუდოდ, ჯარიმის ეს „ნიხრებიც“ აიწევს და სატრანსპორტო საშუალების მართვა ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული სიმთვრალის მდგომარეობაში, ანდა სატრანსპორტო საშუალების სამართავად გადაცემა წინასწარი შეცნობით ასეთ მდგომარეობაში მყოფი პირისთვის გამოიწვევს სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევას 3 წლის ვადით, აღნიშნული სამართალდარვევების განმეორებით ჩადენა კი გამოიწვევს დაჯარიმებას 1 500 ლარით, ან 90-დღიან ადმინისტრაციულ პატიმრობას.

წყაროს ინფორმაციით, სამართალდარღვევათა კოდექსში შესატანი ცვლილებების თანახმად, გამორიცხული არაა, რომ ასევე, გადაიხედოს უწყვეტი ღერძულა ხაზის გადაკვეთისა და სხვა საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისთვის სააკაშვილის ხელისუფლების მიერ დაწესებული მაღალი ფულადი ჯარიმები და შემცირდეს. გაზრდის ინიციატივით კი, ის მუხლები გადაიხედება, რომლებიც სიჩქარის გადაჭარბებასა და პოლიციის დაუმორჩილებლობას ეხება. კერძოდ, საუბარია 125-ე მუხლზე — მოქმედი კანონმდებლობით, ეს მუხლი 100 და 250-ლარიან ჯარიმას ითვალისწინებს, თუმცა როგორც წყარო ამბობს, ამ მუხლით გათვალისწინებული ჯარიმები, შეიძლება, **500 ლარამდე გაიზარდოს.**

მართლა იგეგმება თუ არა საგზაო წესების დარღვევისთვის ჯარიმების გაზრდა? — ამის გასარკვევად „ვერსია“ შს სამინისტროს პრესსამსახურის უფროსს, ნინო გიორგობიანს დაუკავშირდა, რომლის თქმითაც, ამ თემაზე საუბარი მიდის, თუმცა დეტალები ჯერ ცნობილი არაა.

შაშკინის „პადრუგა“ და ტარას შავშიშვილი სკოლის დირექტორებს აშანტაჟებენ

ნინო ხარშილაძე
599-55-63-56

წინა ხელისუფლების მიერ მიღებულმა რამდენიმე კანონმა თუ ბრძანებულებამ პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალ პროფკავშირს საქმიანობის უფლება შეუზღუდა. შესაბამისად, ყველაზე ძლიერი და მრავალრიცხოვანი პროფკავშირული გაერთიანება, პრაქტიკულად, დაშლის პირასაა... „ყოფილი ხელისუფლების მხრიდან განხორციელებული ზეწოლა და პედაგოგთა პროფკავშირის საქმიანობაში ჩარევა საერთაშორისო ორგანიზაციების, მათ შორის 2010-12 წლების სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშშიც აისახა“, — ამბობს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის პრეზიდენტი მაია კობახიძე, რომელიც განათლების სამინისტროს მიერ თანამშრომელთა შესარჩევი საკონკურსო კომისიის წევრია:

— მართალია, სკოლებს ვაცნობეთ, რომ ზეწოლა აღარ ხდება და სკოლებში შესვლის საშუალება მოგვეცა, გარკვეული პრობლემები მაინც არსებობს და ზოგიერთი სკოლის დირექტორი კოლექტიური ხელშეკრულების გაფორმებაზე კვლავ უარს ამბობს. არადა, პროფკავშირის წევრობის მსურველი პედაგოგების განცხადებები გვაქვს... შრომის ახალ კოდექსში უკვე გაჩნდა ცნება „პროფკავშირი“ — კოდექსის 41-ე მუხლში წერია, რომ კოლექტიური ხელშეკრულების მხარე არის პროფესიული კავშირები. სკოლის დირექტორებს ამას ვუხსნით, მაგრამ ბევრთან შედეგს მაინც ვერ მივაღწიეთ.

— რატომ, რისი ეშინიათ ან რითაა კოლექტიური ხელშეკრულება უპირატესი?

— კოლექტიური ხელშეკრულებით პედაგოგიურ გაერთიანებასა და დირექციას შორის შრომითი ურთიერთობები რეგულირდება. ასევე, განსაზღვრულია ვალდებულებები, რაც იმას ნიშნავს, რომ საჯარო სკოლების დირექციებმა, წევრთა ინდივიდუალური განცხადების საფუძველზე, პროფკავშირის ანგარიშზე მასწავლებელთა ხელფასიდან 1%-ის გადარიცხვა უნდა უზრუნველყონ. იმ შემთხვევაში, თუკი კოლექტიური ხელშეკრულება არ გაფორმდა, პროფკავშირული საქმიანობა სრულყოფილი ვერ იქნება. წევრობის დამადასტურებელი მხოლოდ წევრის ინდივიდუალური განცხადება კი არა, საწევროს გადახდაცაა. სხვათა შორის, აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის 2012 წლის ანგარიშში წერია, რომ ჩვენი ორგანიზაციის წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთი ეფექტური მეთოდი „ყვითელი პროფკავშირის“ შექმნა იყო. ასევე მოხსენიებულია „სინდიკატი“ და მისი ხელმძღვანელი ტარას შავშიშვილი. დღეს კი, ახალ რეალობაში, „სინდიკატის“ წევრებმა და ჩვენი ორგანიზაციის ყოფილმა ლიდერებმა ახალი ორგანიზაცია — „ზოგადი განათლების პროფესიული კავშირი“ — დააარსეს. ამ პროფკავშირის ერთ-ერთი დამფუძნებელი პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის თბილისის ორგანიზაციის ყოფილი თავმჯდომარე ეკატერინე ჩერქეზიშვილია, რომელიც განათლების ყოფილმა მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა თავის დროზე განათლებისა სამინისტროს პროფესიული განვითარების ეროვნულო ცენტრის პროფესიული განვითარების ეროვნული სქემის მენეჯერად დანიშნა და დღემდე იქ მუშაობს. მისი უშუალო ფუნქცია მასწავლებელთა და დირექტორთა გადამზადება-ტრენინგებია. ახალო პროფკავშირის ერთ-ერთი დამფუძნებელია თეიმურაზ ძოწენიძეც, რომელიც პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრში დირექტორების პროფესიული გადამზადების ტრენერია. მათ საჯარო სკოლების დირექტორებსა და მოადგილეებზე, რასაკვირველია, გავლენა აქვთ და საამისოდ ადმინისტრაციულ რესურსს იყენებენ, რის გამოც ზოგიერთი სკოლის დირექტორი კოლექტიური ხელშეკრულების გაფორმებაზე უარს ამბობს.

— პრობლემები, ძირითადად, რომელ რაიონებში გაქვთ?

— თელავში, ახმეტასა და კასპში.

> **ეკატერინე ჩერქეზიშვილი და ტარას შავშიშვილი ბოლნისის რაიონში ჩავიდნენ, სკოლების დირექტორები დააშანტაჟეს, მასწავლებლებმა „სინდიკატი“ არ დატოვონ, თორემ სკოლებში გენინსპექციასა და შიდააუდიტს შემოვიყვანთო. ისინი ქუთაისელ დირექტორებსაც დაემუქრნენ. ამის შესახებ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წერილობით ვაცნობეთ, რის გამოც ქუთაისის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელი მოხსნეს. საბედნიეროდ, ტარას შავშიშვილი რამდენიმე კვირაა, პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილეობიდან გაათავისუფლეს.**

— პედაგოგთა პროფკავშირების პრეზიდენტად დანიშვნის შემდეგ, განათლების მინისტრთან შეხვედრას ცდილობდით. გიორგი მარგველაშვილს ესაუბრეთ?

— დიახ, შევხვდი და ყურადღება ყველა იმ პრობლემაზე გავამახვილეთ, რამაც მასწავლებლებს ბოლო წლებში სტრესული მდგომარეობა შეუქმნა. რამდენიმე საკითხი უკვე გადაიჭრა — მანდატურებს აღარ აქვთ მასწავლებლებისა და დირექტორების გაკონტროლების უფლება. ასევე, შეიცვალა 18 საათის ზემოთ შრომის ანაზღაურების წესი — 18 საათს ზემოთ, ყოველ მომდევნო საათს, მასწავლებელს 5 ლარით უნაზღაურებენ. ახალი სასწავლო წლის დაწყებისთანავე, უნდა გადაიჭრას მასწავლებლებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებების ვადებიც. მოვითხოვთ, რომ მასწავლებელს კვლავ მიეცეს 48-დღიანი ანაზღაურებადი შვებულება. სამინისტროს ხელმძღვანელობას 75-ლარიან დანამატთან დაკავშირებითაც ვესაუბრე...

— დღემდე არაა გადაწყვეტილი პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლებული პედაგოგების საკითხი. არადა, სამართლიანობის აღდგენას ათასობით პედაგოგი ითხოვს...

— ამ საკითხზე, როგორც ვიცი, კომისია მუშაობს...

— პედაგოგთა სასერტიფიკაციო გამოცდები ახლოვდება. პედაგოგთა გადამზადების პრობლემა გამოსწორდა? — მასწავლებლებს არ ჰყოფნიდათ კრედიტები და იძულებულები იყვნენ, საკუთარი ხარჯით გადამზადებულიყვნენ...

— მასწავლებლის სრულყოფილი გადამზადება სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს. კარგია, თუ პედაგოგის შეფასება მხოლოდ გამოცდების კი არა, წლის შედეგებითაც მოხდება. აუცილებლად უნდა შეიცვალოს სასერტიფიკაციო გამოცდების ფორმა და შინაარსი. ასევე, პედაგოგებს საგნობრივი და თემატური სახელმძღვანელოები უფასოდ უნდა გადაეცეთ... 2014 წლიდან არასერტიფიცირებულ პედაგოგებს მასწავლებლის სტატუსი უწყდებათ. სტატუსი მკაცრად უნდა გაემიჯნოს სერტიფიცირების პროცესს, ვინაიდან სტატუსის დამადასტურებელი დიპლომია. ამჟამად 20 000-მდე სერტიფიცირებული პედაგოგია. თუ კანონში ცვლილება სასწრაფოდ არ შევიდა, 50 000-მდე პედაგოგი 2014 წლიდან სკოლას უნდა დაემშვიდობოს, რაც კატასტროფა იქნება!

— ქალბატონო მაია, რესურსცენტრების ხელმძღვანელების საკონკურსო კომისიის წევრი ხართ. მასწავლებელთა პროფკავშირის ხელმძღვანელის კომისიაში შეყვანა ვისი იდეა იყო?

— ეს განათლების მინისტრის გადაწყვეტილებაა. მხოლოდ ამ კომისიის კი არა, განათლების სამინისტროში არსებული სხვადასხვა მუდმივმოქმედი კომისიის წევრიც ვარ. საერთოდ, დაფასებული რომ იყოს, დასაქმებულთა გაერთიანებამ მონაწილეობა განათლების სამინისტროში არსებულ ვაკანსიებზე კანდიდატთა შერჩევაში მონაწილეობა უნდა მიიღოს.

— იმის გამო, რომ სკოლებიდან საწევროების გადარიცხვა არ ხდებოდა, პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალ პროფკავშირს ფინანსური პრობლემები ჰქონდა...

— ბევრ რაიონში ორგანიზაცია აღდგენილია და ამიტომ ფინანსური პრობლემები ნაკლებადღა გვაქვს. დღევანდელი მონაცემებით, კოლექტიური ხელშეკრულებების საფუძველზე, 25 ათასი წევრი გვყავს...

„საჯარო სამსახურის ბიურო“ ახალ ხელისუფლებას საბოტაჟს უწყობს?

მერაბ ბერიძე

არასამთავრობო ორგანიზაცია „ჩვენ, საქართველოს მოქალაქენი“ ყურადღებას ქვეყანაში დასაქმების არათანაბარ პირობებზე ამახვილებს და სსიპ „საჯარო სამსახურის ბიუროს“ პრეზიდენტის დაქვემდებარებიდან პრემიერის ან პარლამენტის დაქვემდებარებაში გადასვლასა და ბიუროს ხელმძღვანელობის შეცვლას მოითხოვს.

გიორგი თარხნიშვილი, „ჩვენ, საქართველოს მოქალაქენის“ ერთ-ერთი ლიდერი:

— პრეზიდენტმა 2009 წელს გამოსცა დადგენილება, სადაც მითითებულია, რომ ნებისმიერმა საჯარო სამსახურმა კადრების ასაყვანად საჯარო სამსახურის ბიუროს უნდა მიმართოს. არსებობს დასაბუთებული ეჭვი, რომ საჯარო სამსახურის ბიურო საჯარო უწყებებში მუშაობის დაწყების საშუალებას მხოლოდ მათ აძლევს, ვინც ნაციონალური მოძრაობის მიმართ ლოიალურად ან ნეიტრალურადაა განწყობილი. ამის გამო ადამიანები, რომლებსაც სათანადო კვალიფიკაცია და გამოცდილება აქვთ, საჯარო სამსახურების გარეთ რჩებიან.

> **საჯარო სამსახურის ბიურო ფილტრია, რომელიც უზრუნველყოფს, რომ საჯარო სამსახურში ერთი ნორმალური კადრიც არ „გაიპაროს“ და იქ მხოლოდ ნაციონალური მოძრაობის მიმართ ლოიალურად განწყობილნი მოხვდნენ. საჯარო სამსახურის ბიურო საქართველოს პრეზიდენტის უშუალო დაქვემდებარებაშია — ბიუროს ხელმძღვანელს პრეზიდენტი ნიშნავს და ათავისუფლებს. ამჟამად, ბიუროს ხელმძღვანელია ირაკლი კოტეტიშვილი, მისი მოადგილე კი — მაკა კურტანიძე. ალბათ, საინტერესოა მათი წარსული — სად მუშაობდნენ საჯარო სამსახურის ბიუროში მოსვლამდე. ბიუროს საიტზე განთავსებულ მათ ბიოგრაფიებში წერია, რომ მაკა კურტანიძე 2007-დან 2010 წლამდე მთავარი პროკურატურის საქმის წარმოების სამმართველოს უფროსი იყო, ირაკლი კოტეტიშვილი კი, 2006-დან 2010 წლამდე, მთავარი პროკურატურის აპარატის უფროსი გახლდათ.**

მაღალკვალიფიციური კადრები ერთგვარი პროგრესისა და სახელმწიფოს ნორმალური ფუნქციონირების გარანტიაა, ამიტომ პირველ რიგში, საჯარო სამსახურის ბიუროს ხელმძღვანელობის გადაყენებას მოვითხოვთ. ამასთან, სამსახურის დაქვემდებარება უნდა შეიცვალოს და, უშუალოდ, პრემიერის ან პარლამენტის უფლებამოსილების ქვეშ უნდა გადავიდეს. ბიურო დღემდე იუსტიციის ექსმინისტრის, ზურაბ ადეიშვილის კადრებითაა დაკომპლექტებული. ისინი ძველი პროკურორები არიან და ისე იქცევიან, როგორც მოესურვებათ... მათ ე.წ. შავი სია აქვთ და სამინისტროებს იმ ადამიანთა რეზიუმეებს აწვდიან, რომლებიც ნაციონალური მოძრაობის მიმართ ლოიალური ან ნეიტრალურია.

— ამ კუთხით კონკრეტული მაგალითის დასახელება შეგიძლიათ?

— რა თქმა უნდა, თუმცა პიროვნების ვინაობას არ დავასახელებ: ბიოლოგიის დარგში იყო ვაკანსია. ადამიანი, ვინც ე.წ. სივი გაგზავნა, ყველა მოთხოვნას აკმაყოფილებდა — ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორია, მაგრამ პირველ ეტაპზევე უარი უთხრეს და გასაუბრებამდე არ მიუშვეს. მარტივი სიტუაციაა: ე.წ შავი სია თავისას აკეთებს, ან ინფორმაციას იძიებენ პიროვნებაზე, მაგალითად, სოციალურ ქსელებში ნაციონალების წინააღმდეგ ხომ არ აქტიურობდა, ან პირიქით, და კადრებს ამის მიხედვით ცხრილავენ...

— „გაცხრილულები“ საკუთარი უფლებების დასაცავად სასამართლოს არ მიმართავენ?

— სასამართლოსთვის, ჯერჯერობით, არავის მიუმართავს. ამ პრობლემის შესახებ რამდენიმე პარლამენტარს ვაცნობეთ, მაგრამ მათი მხრიდან გამოხმაურება არ ყოფილა. ამის ერთ-ერთი ფაქტორი, შესაძლოა, ყბადაღებული კოჰაბიტაციაა... ამ თემაზე აქციების ჩატარებას ვგეგმავთ და სასურველი შედეგის მიღწევამდე არ გავჩერდებით.



„ნიკა რურუა ის კაცი არ არის, ვინმეს დაკვეთების შემსრულებლად რომ გამოდგება!“

რეჟისორ გოჩა კაპანაძის პოლიტიკური თეზისები

ნათია ვასაძე
555-98-61-65

აზერბაიჯანული თეატრის მმართველი, ზესტაფონის თეატრის სამხატვრო კონსულტანტი და ცხინვალის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, რეჟისორი გოჩა კაპანაძე ცოტა ხნის წინ, კონკურსის საფუძველზე, რუსთავის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელად დაინიშნა. მართალია, ამ თანამდებობაზე ადრეც მუშაობდა, მაგრამ თეატრში მის დაბრუნებას მსახიობთა ნაწილი მაინც აპროტესტებს. ახალგაზრდა რეჟისორი არც ამ თემაზე საუბრობს და არც იმაზე, რატომ გაათავისუფლეს, თავის დროზე, რუსთავის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელობიდან...

— გოჩა, ცოტა ხნის წინ, რობერტ სტურუამ რუსთაველის თეატრის რეპერტუარიდან თქვენი სპექტაკლები მოხსნა. არც ამაზე გინდათ საუბარი?

— იმ დროს თბილისში არ ვიყავი და ეს ამბავი ჟურნალისტებისგან შევიტყვე. ჩამოსვლისთანავე ბატონ რობერტს ვესაუბრე, რომელმაც დამიდასტურა, რომ ჩემი ორი სპექტაკლი — „მოხუცი ჯამბაზები“ და „მარიამ სტიუარტი“ რეპერტუარიდან მოიხსნა. ვთხოვე, ეს სპექტაკლები სხვა თეატრებში გასატანად დაეთმო, რაზეც უპრობლემოდ დამთანხმდა, თუმცა მსახიობთა სურვილის გათვალისწინებით, ორივე სპექტაკლი შეიძლება, კვლავ რუსთაველის თეატრის რეპერტუარში დაბრუნდეს — შესაბამისად, ამ დადგმების სხვა თეატრალურ სივრცეში განხორციელებაც აღარ მომიწევს. მართალია, საკითხი ჯერჯერობით განხილვის სტადიაშია, მაგრამ მაქვს ინფორმაცია, რომ პირველ ეტაპზე „მოხუცი ჯამბაზები“ მაინც აღდგება.

— რა ამის პასუხია და, კანონი პროფესიული თეატრების შესახებ, რომელიც ახლახან ამოქმედდა, როგორ ფიქრობთ, იმუშავებს?

— ამ საკითხზე ბევრი მიფიქრია... ეს კანონი ჩემმა კოლეგებმა ინტენსიური განხილვების შედეგად მიიღეს და ვფიქრობ, საბოლოო ჯამში, სრულყოფილი სახე აქვს. რაც შეეხება სამხატვრო ხელმძღვანელის გაზრდილ უფლებამოსილებას, ადრეც ასე იყო და თეატრებში მმართველის ინსტიტუტი მხოლოდ 2006 წლიდან შემოიღეს. ახალი კანონით, უფლებამოსილების გარდა, სამხატვრო ხელმძღვანელს პასუხისმგებლობაც ემატება — რადგან თეატრის დირექტორის კანდიდატურა თავად უნდა წარადგინოს, შესაბამისად, მისი საქმიანობის პასუხისმგებლობაც უნდა გაიზიაროს.

— რეგიონულ თეატრებში მუშაობის დიდი გამოცდილება გაქვთ. იქ რა ვითარებაა?

— ყველაზე დიდი პრობლემა ფინანსებისა და კადრების ნაკლებობაა.

> **სამწუხაროდ, რაიონში დარჩენა აღარავის უნდა და ყველა თბილისში გამორბის. შექმნილ ვითარებას ხშირად მაყურებელსაც ვაბრალებთ, მაგრამ მერწმუნეთ, კარგ სპექტაკლზე მაყურებელი ყოველთვის მოდის, თუმცა თუ თბილისში პრემიერაზე ადამიანს 20-25 ლარის გადახდა შეუძლია, რაიონებში ეს წარმოუდგენელია, ამიტომ რეგიონის თეატრებს ჭკვიანური მენეჯმენტი სჭირდება. კულტურის სამინისტრო, ადგილობრივი თვითმმართველობა და თეატრის ხელმძღვანელობა ერთად უნდა აგვარებდნენ ამ პრობლემებს.**

— ერთდროულად რამდენიმე თეატრში მუშაობას როგორ ახერხებთ?

— გარდა იმისა, რომ აზერბაიჯანული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი ვარ, მარჯანიშვილის, ცხინვალის, ქუთაისისა და ზესტაფონის თეატრებთანაც ვთანამშრომლობ. უახლოეს მომავალში, აზერბაიჯანში წასვლასა და ბაქოს ორ თეატრში რამდენიმე სპექტაკლის დადგმას ვაპირებ. პარალელურად, ქუთაისისა და ცხინვალის თეატრებში ვმუშაობ ახალ სპექტაკლებზე. ზესტაფონის მაჟორიტარმა დეპუტატმა, რეჟისორმა და მსახიობმა გოგი ქავთარაძემ ახლახან ზესტაფონის თეატრისთვის შექსპირის „ვენეციელი ვაჭრის“ დადგმა შემომთავაზა, სადაც ერთ-ერთ როლს თავად შეასრულებს. სხვადასხვა თეატრში მუშაობა შრომატევადი, მაგრამ საინტერესოა.

— საკუთარი თეატრის დაარსება არ გიცდიათ?

— თეატრის დაარსების არაერთი მცდელობა მქონდა, მაგრამ სპონსორებთან შეთანხმებას ვერ ვაღწევდი — რასაც მე შემოქმედებითი თვალსაზრისით ვუდგებოდი, მათთვის მხოლოდ ბიზნესი და შემოსავლის წყარო იყო. მესმის, რომ თეატრს ე.წ. საკასო სპექტაკლებიც სჭირდება, მაგრამ დაარსებისთანავე, მხოლოდ მოგებაზე ფიქრი არ შეიძლება, რაც ბიზნესმენებს არ ესმით...

— უცხოეთში წასვლაზე არ გიფიქრიათ?

— ხანდახან ვფიქრობ, უცხოეთში რომ დავრჩენილიყავი, ეკონომიკურადაც უკეთესად ვიქნებოდი და დაფასებაც მეტი მექნებოდა. სხვადასხვა ქვეყნიდან შემოთავაზებაც მქონდა, მაგრამ ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანია, ქვეყნისთვის რას გავაკეთებ. ჩემს კოლეგებს საზღვარგარეთ მუშაობისთვის არ განვსჯი, პირიქით, ისინი ძალიან დიდ საქმეს აკეთებენ — ქართული კულტურა საზღვრებსგარეთ გააქვთ, მაგრამ სხვაგან დიდხანს ვერ ვძლებ — ჩემი ქვეყანა მენატრება.

— იმ ხელოვანთა რიგს თუ მიეკუთვნებით, რომლებიც, გარკვეულ მიზეზთა გამო, პოლიტიკურ პროცესებში აღმოჩნდნენ ჩართულნი?

— ამ მხრივ, თავშეკავებული ადამიანი ვარ და პოლიტიკური პროცესებისა თუ პიროვნებების მიმართ სიმპათია-ანტიპათიას მხოლოდ ჩემს შემოქმედებაში ვაფიქსირებ. თუ ხმამაღლა არ ვყვირი, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩემი ქვეყანა ვინმეზე ნაკლებად მიყვარს.

— გოჩა, თქვენი გადასახედიდან, ახალი მთავრობა სწორ ნაბიჯებს დგამს?

— ვფიქრობ, ქვეყანა ჯერ კიდევ მოსინჯვის ეტაპზეა. ვიყოთ გულახდილები და ვაღიაროთ, რომ ივანიშვილს, მართლაც, მძიმე მემკვიდრეობა ერგო, თუმცა საქართველოში სხვანაირად არც ყოფილა — კომუნისტებმა რაც დაგვიტოვეს, კარგად ვიცით... ამის მერე იყო გამსახურდიას მთავრობა და განადგურებული თბილისი... შევარდნაძის პერიოდსაც თუ გავიხსენებთ, სააკაშვილსაც მძიმე მემკვიდრეობა დარჩა, თუმცა ყველა ახალი მთავრობის შეცდომა, იცით, რა იყო? — საქმის კეთების ნაცვლად, ძველ ხელისუფლებას აკრიტიკებდა. ახალი მთავრობის დიდი იმედი მაქვს, თუმცა მისი მუშაობის სრულყოფილად შესაფასებლად ჯერ ცოტა დროა გასული. ქართველებს სწრაფად გვინდა ყველაფერი, არადა, პრობლემების მოგვარებას დრო სჭირდება.

— არჩევნების შემდეგ კულტურის სფეროში განხორციელებული ცვლილებები მოგწონთ?

— გურამ ოდიშარიას კარგად ვიცნობ — შესანიშნავი პიროვნება და ნიჭიერი მწერალია. ჩემი აზრით, მას ყველაზე რთულ სამინისტროში უწევს მუშაობა... დავიწყოთ იმით, რომ ყველა ხელოვანს გენიოსობის ამბიცია აქვს და თანამდებობა უნდა — წარმოიდგინეთ, რა რთულია მათთან ურთიერთობა. გარდა ამისა, კულტურის სამინისტროში ყველაფერი სისტემურად იყო შესაცვლელი და ამას ბატონი გურამი ახალ გუნდთან ერთად, შესანიშნავად გაუმკლავდა, თუმცა არც რურუა იყო ურიგო მინისტრი. ვფიქრობ, მისი მინისტრობის პერიოდში კულტურის სფეროში ბევრი კარგი საქმე გაკეთდა.

— ამბობენ, რომ რურუა კულტურის სამინისტროში ნაციონალური იდეების გამტარებელი იყო...

— ნიკა რურუას კარგად ვიცნობ და ის კაცი არ არის, ვინმეს დაკვეთების შემსრულებლად რომ გამოდგება. მასზე მანიპულირება წარმოუდგენლად მიმაჩნია, რადგან საკმაოდ განათლებული ახალგაზრდაა და, რაც მთავარია, შინაგანი კონსტიტუცია აქვს.

— უამრავი ხელოვანი აცხადებს, რომ წინა ხელისუფლება ღიად ერეოდა მათ საქმიანობაში. როგორც ჩანს, მსგავსი პრობლემა თქვენ არ გქონიათ.

— პირადად მე, არანაირი შეზღუდვა არ მქონია, მაგრამ ალბათ, მართლაც იყო მსგავსი შემთხვევები, თორემ სხვანაირად ამხელა უარყოფითი ენერგია არ დაგროვდებოდა. ერთ-ერთი ნათელი მაგალითი კი რობერტ სტურუას რუსთაველის თეატრიდან გაშვება იყო.

— ეს გააპროტესტეთ?

— რა თქმა უნდა, თუმცა იმ დროს უკვე გაშვებული ვიყავი თეატრიდან და შემეძლო, ჩემი პროტესტი არც დამეფიქსირებინა, მაგრამ რობერტ სტურუა მარტო სახელი და გვარი კი არა, უმაღლესი რანგის ხელოვანი და მსოფლიოში ქართული კულტურის სიმბოლოა. ჯერ კიდევ ნაციონალების მმართველობის დროს ვთქვი, რობერტ სტურუას სახით, სააკაშვილის მთავრობამ რუსეთს მაგარი საჩუქარი გაუკეთა-მეთქი.

— ბოლო დროს რუსეთთან კულტურულ ურთიერთობებში გარკვეული ძვრები შეინიშნება...

— რუსეთი რომ ოკუპანტია, ამაზე ორი აზრი არ არსებობს, მაგრამ ორ ქვეყანას შორის კულტურული ურთიერთობის წინააღმდეგი ვერ ვიქნები. მსოფლიო კულტურა გაღარიბდებოდა რუსული ხელოვნების გარეშე. ესეც რომ არა, უსაყვარლესი დეიდა მყავს, ეროვნებით რუსი და თუნდაც მხოლოდ ამის გამო ვერ მექნება ამ ერის მიმართ აგრესია, თანაც ძალიან მეამაყება, ქართველები რუსეთში ამხელა წარმატებას რომ აღწევენ. რომელი ერთი ჩამოვთვალო: თემურ ჩხეიძე 15 წელი ხელმძღვანელობდა რუსეთის ტოვსტონოგოვის სახელობის დიდ დრამატულ თეატრს, რუსეთის დიდი საოპერო დასის ხელმძღვანელი ქართველი ქალბატონი მაყვალა ქასრაშვილია...

— რუსეთში სპექტაკლების დადგმა რომ შემოგთავაზონ, დათანხმდებით?

— კი, მაგრამ დროს შევარჩევდი. ქართველები კარგად უნდა დავფიქრდეთ, რა დროს და რა ვითარებაში ჩავდივართ ამა თუ იმ ქვეყანაში. რა თქმა უნდა, არ მომეწონება, 9 აპრილს ოკუპანტ ქვეყანაში რომ ჩახვალ...

> **ადრეც ჩადიოდა რუსეთში ქართული ანსამბლები და თეატრები, მაგრამ სამაჩაბლო და აფხაზეთი ჩვენთვის არავის დაუბრუნებია. ასე რომ იყოს, ჩაიტანდა ისრაელი თავის კულტურას პალესტინაში და ომიც დამთავრდებოდა. მოდი, შევთანხმდეთ, რომ კულტურა უსაზღვროა და ასეთი ურთიერთობები აუცილებელია, მაგრამ ცეკვა-თამაშით დაბრუნებული ტერიტორიები მსოფლიო ისტორიას არ ახსოვს.**

ვერსიანიუსი

არაოფიციალური მონაცემებით, საქართველოში, წელიწადში 100 ათასზე მეტი აბორტი კეთდება

დემოგრაფიული განვითარების ფონდის წარმომადგენელი თამარ ჩიბურდანიძე აცხადებს, რომ საქართველოში, ოფიციალური მონაცემებით, წელიწადში 36 ათასი აბორტი კეთდება, არაოფიციალური მონაცემებით კი — 100 ათასზე მეტი და ეს საგანგაშო მაჩვენებლებია.

დემოგრაფიული განვითარების ფონდის ხელმძღვანელის, დიმიტრი ხუნდაძის თაოსნობით, პატრიარქის სააღდგომო ქადაგების მეორე დღეს შეიქმნა სპეციალური კომისია, რომლის შემადგენლობაში არიან რადიკალურად განსხვავებული პოზიციის მქონე ადამიანები და საპატრიარქოს წარმომადგენელი. კომისია, აბორტის აკრძალვასთან დაკავშირებით, საკანონმდებლო ინიციატივას შეიმუშავებს და პარლამენტს მიმართავს.

„აბორტი არის მიუტევებელი ცოდვა და დანაშაული, ამიტომაც ჩვენი ფონდის პოზიციაა, რომ ამ საკითხზე სახელმწიფომ და ეკლესიამ ერთობლივად იზრუნონ. საქართველოში ოფიციალური მონაცემებით, 36 ათასი აბორტი კეთდება. არაოფიციალური მონაცემები კი, ეს ციფრი 100 ათასზე მეტს აღწევს. ფაქტობრივად, ქვეყანაში აბორტის შედეგად დღეში 300-ზე მეტი ჩვილი იღუპება. ამიტომაც ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია იმ კომისიის დასკვნა, რომელიც პატრიარქის ინიციატივაზე მუშაობს და საკანონმდებლო ორგანოს მიმართავს. კომისიაში არიან რადიკალურად განსხვავებული შეხედულებების მქონე პირებიც“, — აცხადებს ჩიბურდანიძე.

მისივე თქმით, დემოგრაფიული განვითარების კუთხით საქართველოს რეგიონებში ყველაზე კარგი მდგომარეობა აჭარასა და ქვემო ქართლში აღინიშნება, სადაც ბოლო პერიოდში მატება შეიმჩნევა. რაც შეეხება პრობლემურ რეგიონებს საგანგაშო ვითარება სამეგრელო-ზემო სვანეთში, კახეთსა და რაჭაშია შექმნილი.

„მედიანიუსი“

საავტომობილო გზების ნაციონალი და „ოცნებელი“ მესაფლავეები

„ბატონო პრემიერო, ქვეყანას „კოშკიდან“ რომ არ მართავდეთ, გაეცანით პრესასა და ტელევიზიაში ყოველდღიურად აღბეჭდილ სახელმწიფოსთვის საჭირბოროტო საკითხებს!“

თენგიზ ჩხიკვაძე
ჟურნალისტური გამოძიების სააგენტო „დრო და სივრცე“

2013 წლის 18 აპრილს, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ ჩვენი სააგენტოს პუბლიკაცია — „გზა საბოლოო ნგრევისკენ — იცნობდეთ სამამულო საავტომობილო გზების დარგის მესაფლავეებს!“ — გამოქვეყნდა, სადაც 2004-2013 წლებში განვითარებულ იმ მოვლენებზე იყო საუბარი, რომელთა გამოც ამ დარგში მომუშავე ორგანიზაციები არათუ განვითარდნენ, არამედ ბანკროტად იქცნენ. გაბანკროტების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი კი სააკაშვილის ხელისუფლების მიერ სამამულო საავტომობილო გზების დარგში გატარებული დამანგრეველი-მოღალატეობრივი პოლიტიკაა.

საავტომობილო გზები, როგორც მშვიდობიან, ასევე სამხედრო მდგომარეობისას სახელმწიფოსთვის სტრატეგიულია და ამაში 2008 წლის აგვისტოში, საომარი მოქმედებების დროსაც დავრწმუნდით, როცა მთავარ საერთაშორისო ავტომაგისტრალზე — თბილისი-სენაკი-ლესელიძე — ქალაქ გორთან მოძრაობა აიკრძალა და გადაადგილება მხოლოდ პარალელური გზით იყო შესაძლებელი. სწორედ ამიტომ, ქართული სახელმწიფო და ხელისუფლება, შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის გამოყენების საფუძველზე, ვალდებულია, დარგის მართვა და კონტროლი საქართველოს საკეთილდღეოდ და არა სახელმწიფოებრიობის განადგურებისთვის საკუთარ თავზე აიღოს.

2004-2012 წლებში სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლებამ ყველაფერი გააკეთა, რათა ამ დარგზე, ერთი მხრივ, ხელისუფლების პასუხისმგებლობა მოხსნილიყო და, მეორე მხრივ, დარგი ე.წ. უცხოური ბანკებისა (კრედიტორები) და კონკრეტული სახელმწიფო მოხელეების პირადი „ფინანსების მოპოვების“ მარწუხებში მოექცია, რის შედეგადაც მთლიანად თუ არა, დარგის უდიდესი ნაწილი, პრაქტიკულად, განადგურებულია (გაბანკროტებულია).

2012 წლის პირველი ოქტომბრის შემდეგ, საქართველოს საპარლამენტო უმრავლესობას პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნება“ წარმოადგენს, რომლის უმრავლესობაც, სინამდვილეში, ყოფილი ე.წ. ზვიადისტი, მოქალაქეთა კავშირის წარმომადგენელი, „რესპუბლიკელი“, „სოროსისტი“ ან ნაციონალია. მთავრობის ძირითადი ნაწილი „ქართუ ჯგუფისა“ და „ქართუ ბანკის“ ყოფილი პასუხისმგებელი თანამშრომელია. მათი საყოველთაოდ აღიარებული ლიდერი კი არის ბატონი ბიძინა ივანიშვილი — საქართველოს პრემიერ-მინისტრი.

ჩვენმა სააგენტომ „ქართული ოცნების“ გამარჯვება და ხელისუფლებაში მოსვლა გარკვეული და არა აბსოლუტური იმედით მიიღო. დღეს კი, ფაქტის სახით, აღვნიშნავთ, რომ შესაკრებთა ადგილების შეცვლით, ჯამი არ იცვლება. აღნიშნული სამამულო საავტომობილო გზების დარგში შექმნილ მდგომარეობას უკავშირდება.

კონკრეტულად: საავტომობილო გზების დეპარტამენტის ხელმძღვანელობას (ყოფილი თავმჯდომარე ზაქარია ხუნძაყიშვილი) დარგთან დაკავშირებით არაერთხელ მივმართეთ, რაზეც ზოგადი, არაფრისმთქმელი პასუხი მივიღეთ, თუ არ ჩავთვლით ჩვენს მიერ მოთხოვნილი გზების პროექტირებასა და მშენებლობასთან დაკავშირებული დოკუმენტების ასლებს. წერილობით პასუხებს ხელს აწერდა დეპარტამენტის ხელმძღვანელის მოადგილე გურამ ვახტანგაშვილი.

აქვე აღვნიშნავთ, რომ საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარედ დაინიშნა და ახლახან პირადი განცხადების საფუძველზე გათავისუფლდა (თუ ეს დამაჯერებელია) ვინმე ზაქარია ხუნძაყიშვილი, რომელსაც საავტომობილო გზების დარგში არასოდეს უმუშავია და უცნობია დარგის როგორც სპეციფიკური საკითხები, აგრეთვე წლების განმავლობაში შექმნილი და დაგროვილი პრობლემები, მათი წარმოშობის მიზეზები. ეს პირი, თავის დროზე, ყოფილი პრემიერ-მინისტრის, ნიკოლოზ გილაურის ფავორიტი იყო გუდაურში ერთ-ერთი სასტუმრო კომპლესის „ბ“ კორპუსის მშენებლობისას. აღნიშნული ჩვენს მიერ დოკუმენტურად მტკიცდება. საავტომობილო გზების დეპარტამენტის ყოფილი თავმჯდომარის, ზაქარია ხუნძაყიშვილისა და ახალი თავმჯდომარის, დავით შავლიაშვილის მოადგილე ფინანსურ საკითხებში ვინმე იოსებ ქადაგიშვილია, რომელსაც ამ თანამდებობაზე დანიშვნამდე არასდროს უმუშავია ფინანსისტად დარგის არც ერთ ორგანიზაციაში, რაც ადასტურებს, რომ მას ამ კუთხით არც ცოდნა აქვს და არც გამოცდილება. უფრო მეტიც, ინტერვიუში მან განგვიცხადა, რომ უცხოურ საფინანსო საკრედიტო ორგანიზაციებთან დაკავშირებულ ოფიციალურ დოკუმენტებს (მსოფლიო ბანკი, ევროპის საინვესტიციო ფონდი და აზიის ბანკი) — წესდება/დებულებებს, მათ შესაბამის (კრედიტის გაცემის პროცესში) მოქმედ ინსტრუქციებს, საქართველოსთან გაფორმებულ საკრედიტო ხელშეკრულებებს გაეცნო, სადაც პირდაპირ აღიარებულია, რომ მათ აქვთ უფლება, უკარნახონ ქართულ მხარეს — ამა თუ იმ ტენდერის ორგანიზატორს (საავტომობილო გზების დეპარტამენტი) — დამკვეთს ტენდერის პირობები — საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომელთა საფუძველზე ქართულ მხარეს ანუ დარგში მომუშავე სამამულო ორგანიზაციებს, პრაქტიკულად, ამ ტენდერებში მონაწილეობა ეკრძალებათ. ამ განცხადებით საავტომობილო გზების თავმჯდომარის მოადგილემ იოსებ ქადაგიშვილმა დაადასტურა, რომ სახეზეა საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული საერთაშორისო ეკონომიკური დივერსია — კრედიტის ამღები და მისი დროულად დამფარავი ქვეყანა სწორედ საქართველოა. ამ კრედიტებით უცხოური წარმოშობის ე.წ. კომპანიების დასაქმება ხდება. ისინი თანხებს ითვისებენ — დღგ-ს არ იხდიან, სამუშაოების ძირითად თუ არა, დიდ ნაწილს ადგილობრივი, მათი ქვემოიჯარე, ქვეკონტრაქტორი დარგის სამამულო ორგანიზაციები ასრულებენ.

ბატონმა იოსებ ქადაგიშვილმა საუბრის ბოლოს დასძინა, რომ იმ შემთხვევაში, თუ საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარე გახდება, უკვე აქვს მომზადებული შესაბამისი საკანონმდებლო პროექტები, რომელთა დაკანონების შედეგადაც, დარგში შექმნილი სავალალო მდგომარეობა უკეთესობისკენ შეიცვლება.

ასეთი გულწრფელი ინტერვიუს შემდეგ, ბატონ იოსებ ქადაგიშვილს ვეუბნებით, რომ ცრუობს, რადგან ჩვენს ხელთარსებული ზემოხსენებული დანიშნულების დოკუმენტებში მსგავსი არაფერია ნათქვამი. საკითხავია, რა ამოძრავებს ბატონ იოსებ ქადაგიშვილს, როგორც საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილეს?

ვაცხადებთ: იოსებ ქადაგიშვილი არ უნდა დანიშნულიყო საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილედ და, მით უმეტეს, არ უნდა გახდეს ამ დეპარტამენტის თავმჯდომარე, რადგან ის არ არის დარგის და, მათ შორის, არც საფინანსო მიმართულების სპეციალისტი, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. როცა რამეს მართავ, საკამათო არაა, რომ უნდა იცოდე, რას მართავ. იოსებ ქადაგიშვილმა კი სწორედ ეს არ იცის და ამაში ჩვენი საუბრის დროს დავრწმუნდით!

საავტომობილო გზების დეპარტამენტის ხელმძღვანელი სხვა (ორი) მოადგილე — გურამ ვახტანგაშვილი (გზების იჟინერ-მშენებელი) და ირაკლი ლითანიშვილი (ასევე, გზების ინჟინერ-მშენებელი) სააკაშვილის ხელისუფლების დროის დანიშნული კადრია. როგორც წარსული, ასევე ამჟამინდელი ხელისუფლების მიმართ მათი მონური „ერთგულება“, როგორც დეპარტამენტში, აგრეთვე მის გარეთაც — დარგის მუშაკებისთვის ძალიან კარგადაა ცნობილი.

საქართველოს ფინანსთა მინისტრმა, ნოდარ ხადურმა დარგთან დაკავშირებით ჩვენს მიერ გაგზავნილი ორი წერილიდან პასუხი ერთზე გაგვცა და ისიც არა პირადად ანუ თავისი ხელმოწერით, არამედ, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის პასუხისმგებელი მუშაკის მეშვეობით, რომელსაც ამის უფლებას თანამდებობრივი პასუხისმგებლობა არ აძლევს. აქვე აღვნიშნავ, რომ ეს წერილობითი პასუხი ზოგადი და არაფრისმთქმელია. ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური აშკარად და დაუმალავად ცდილობს (ჩვენი წერილებიდან გამომდინარე), თავი აარიდოს თანამდებობრივ პასუხისმგებლობას, კერძოდ, სამამულო საავტომობილო გზების დარგში შექმნილ საგანგაშო მდგომარეობაზე საუბარს, რომელიც უცხოური საფინანსო საკრედიტო ორგანიზაციების მხრიდან განხორციელებულ ეკონომიკურ დივერსიას უკავშირდება, რის შესახებაც ჩვენმა სააგენტომ ქვეყნის მოსახლეობას საგაზეთო პუბლიკაციებით („საქართველოს რესპუბლიკა“) არაერთხელ გააცნო. აქედან გამომდინარე, როგორც მთავარ პროკურატურას, აგრეთვე შინაგან საქმეთა და ფინანსთა სამინისტროებს, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-100 და 101-ე მუხლების საფუძველზე, გამოძიება უნდა დაეწყოთ. ამასთან, უნდა აღძრულიყო სისხლის სამართლის საქმე დანაშაულის ყველა მონაწილის წინააღმდეგ, მაგრამ ეს სამართალდამცავ ორგანოებს დღემდე არ გაუკეთებიათ.

ჩვენმა სააგენტომ არ დაიზარა და ფინანსთა მინისტრს, ნოდარ ხადურს საავტომობილო გზების დარგში შექმნილ მდგომარეობასთან დაკავშირებით, რომელიც უცხოური კრედიტების მიღება-ათვისების დამანგრეველ პროცესს უკავშირდება, მორიგი წერილით მიმართა და შემდეგი მოთხოვნები დასვა:

„1. მოგვაწოდეთ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ დამოწმებული (2004-2013 წ.წ) უცხოურ საფინანსო-საკრედიტო ორგანიზაციებთან დადებული ხელშეკრულების ის ნაწილი, სადაც აღიბეჭდება მხარეთა უფლება-მოვალეობები, განსაკუთრებით, მათი მხრიდან მიღებული კრედიტების საფუძველზე ჩასატარებელი, ან ჩატარებული ტენდერების მოთხოვნებთან/ პირობებთან მიმართებაში.

2. თქვენ, როგორც ფინანსთა ამჟამინდელ მინისტრს, მიგაჩნიათ თუ არა, რომ ყოველივე ზემოხსენებული ხელშეკრულება სრულად შედგენილია მსოფლიოში საყოველთაოდ აღიარებული სამართლიანობისა და თანასწორუფლებიანობის პრინციპზე, რაც იმას ნიშნავს, რომ ხსენებულ ხელშეკრულებებში მხარეთა უფლებები და მოვალეობები აუცილებლად უნდა იყოს თანასწორი და, ამავე დროს, სრულად უნდა შეესაბამებოდეს, როგორც საქართველოს და საერთაშორისო მოქმედი შესაბამის კანონმდებლობის მოთხოვნებს, აგრეთვე იმ მოთხოვნებს, რასაც ითვალისწინებს ამ საერთაშორისო ორგანიზაციების, როგორც წესდება/დებულებები, ასევე, მათთან დაკავშირებული ნორმატიული ხასიათის ინსტრუქციები?

3. სხვა შემთხვევაში, რამდენად კანონიერია, როცა საქართველოს მხარე, კერძოდ, საავტომობილი გზების დეპარტამენტი, როგორც ამა თუ იმ საერთაშორისო ტენდერების ორგანიზატორი და დამკვეთი, ტენდერის იმგვარ მოთხოვნებს ასახელებს, რომლებიც დარგის სამამულო ორგანიზაციებისთვის ამჟამად შეუსრულებადია, რაც პირდაპირ ნიშნავს, რომ მათ ეკრძალებათ ამ ტენდერებში დამოუკიდებლად მონაწილეობა?

4. რამდენად კანონიერია, როგორც სამამულო და, აგრეთვე, საერთაშორისო მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე, როცა ტენდერებში გამარჯვებული უცხოური წარმოშობის ორგანიზაციები ქვემოიჯარედ/პარტნიორად, ტენდერის მიხედვით, ჩასატარებელი სამუშაოების შესრულების მიზნით, იყვანენ ან ქვემოიჯარედ, ან პარტნიორად დარგში მომუშავე ადგილობრივ ორგანიზაციებს, რომლებთანაც აფორმებენ ისეთ ხელშეკრულებებს, როცა სამამულო ორგანიზაციები ასრულებენ აღნიშნული სამუშაოების მოცულობის უმეტეს ნაწილს და რაშიც იღებენ ამ სამუშაოების მთლიანი ღირებულების 20-30%-ს?“

საკითხთან დაკავშირებით, ჩვენ არაერთხელ მივმართეთ საქართველოს პრემიერ-მინისტრს, ბატონ ბიძინა ივანიშვილს, რაზეც აპარატის ხელქვეითების მეშვეობით, მრავალჯერ მოახდინა ჩვენი წერილების გადამისამართება ამა თუ იმ სამინისტროში. სამინისტროების მხრიდან კი რეაგირება დღემდე არ მომხდარა — ან დაგვიმტკიცონ, რომ ჩვენ ვცდებით და სამამულო საავტომობილო გზების დარგსა და მასში მომუშავე ადგილობრივი ორგანიზაციების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა თუ კადრების პროფესიონალური დონე იზრდება, ვითარდება და მაღლდება ან, პირიქით, ჩვენ ვეწევით ცილისწამებას, რასაც ჩვენს მიმართ შესაბამისი, მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული, ზომების გატარება მოჰყვება. ამისთვის მზად ვართ, თუ ვიმსახურებთ.

დასასრული მე-13 გვერდზე

მოსამართლეთა უვადოდ დანიშვნის წესი, შესაძლოა, აღარ ამოქმედდეს

მოსამართლეთა უვადოდ დანიშვნის წესი, რომელიც ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ უნდა შევიდეს ძალაში, შესაძლოა, შეიცვალოს. ჯერ კიდევ მოქმედი საკონსტიტუციო ნორმით, მოსამართლის თანამდებობაზე გამწესება არანაკლებ 10 წლის ვადით ხდება. ოქტომბრიდან კი, ძალაში შედის ახალი საკონსტიტუციო ნორმა, რომლის მიხედვით, მოსამართლე თანამდებობაზე განწესდება უვადოდ — კანონით დადგენილი ასაკის მიღწევამდე. ეს ასაკი 65 წელია.

პარლამენტის პირველი ვიცე-სპიკერი მანანა კობახიძე ახლო მომავალში მოსამართლეთა დანიშვნის ვადების გადახედვას არ გამორიცხავს. როგორც კობახიძემ „ინტერპრესნიუსს“ განუცხადა, ამ ეტაპზე მოსამართლეთა უვადოდ დანიშვნის წესის ამოქმედება სწორი არ იქნება, რადგან ამისთვის სასამართლო ხელისუფლება მზად არ არის. მისივე შეფასებით, 10-წლიანი ვადა სრულიად საკმარისია, რომ მოსამართლემ თავისი ფუნქცია ნორმალურად — კანონისა და კონსტიტუციის ფარგლებში შეასრულოს.

„ვფიქრობ, საკონსტიტუციო ცვლილებები მოსამართლეთა დანიშვნის ვადებს შეეხება. მოსამართლეთა უვადოდ დანიშვნა ჩვენი სასამართლო სისტემისთვის გამართლებული არ იქნება. მიმაჩნია, რომ უვადოდ დანიშვნა, თუკი ამ საკონსტიტუციო ნორმას ავამოქმედებთ, ამ ეტაპზე პრობლემებს შექმნის. რა თქმა უნდა, მოსამართლეთა უვადოდ დანიშვნა სასამართლოს დამოუკიდებლობის გარანტიაა, მაგრამ ამას კიდევ სხვა რეფორმა უნდა უძღვოდეს წინ. ახლა სწორედ ამ რეფორმის პროცესში ვართ - მივიღეთ „საერთო სასამართლოების შესახებ“ კანონში ცვლილებები, რომელიც სასამართლო სისტემის გაჯანსაღებას შეუწყობს ხელს. პარლამენტის მიერ მიღებული ცვლილებების გათვალისწინებით, იუსტიციის უმაღლესი საბჭო მოსამართლეთა მხრიდან მათზე ზეწოლის, დევნის ორგანოდ არ იქნება აღქმული და მოსამართლე არ იქნება მუდმივი შიშის ქვეშ, რომ მის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გამო შეიძლება გათავისუფლდეს, უფლებამოსილება ჩამოერთვას ან რაიონში მივლინებით განუსაზღვრელი ვადით გაუშვან. იყო უამრავი მეთოდი, რომელსაც იუსტიციის უმაღლესი საბჭო იყენებდა. დღეს სხვა რეალობა იქმნება, როცა მოსამართლეები საბჭოს წევრებს თავად, ფარული კენჭისყრით აირჩევენ, არც პარლამენტი და პრეზიდენტი დანიშნავს პირდაპირ საბჭოს წევრებს. დღეს ბევრი მანკიერებაა სასამართლო ხელისუფლებაში. არსებობს პოლიტიკური ნება იმისა, რომ სასამართლო ხელისუფლება იყოს დამოუკიდებელი, ამის ინსტრუმენტი კანონმდებლობის სახით იქმნება და ამ ფონზე, მოსამართლეთა დანიშვნის 10-წლიანი ვადა აბსოლუტურად საკმარისია, რათა მოსამართლეებმა თავისი უფლებამოსილება სწორად განახორციელონ. უვადოდ დანიშვნა ამ ეტაპისათვის, ჩემი აზრით, გამართლებული არ იქნება“, — განაცხადა მანანა კობახიძემ.

ამასთან, პარლამენტის პირველმა ვიცე-სპიკერმა აღნიშნა, რომ საკონსტიტუციო ცვლილებების ინიცირების საკითხი გუნდში განხილვის საგანი ჯერ არ ყოფილა. კობახიძე ხაზს უსვამს — „ეს ის საკითხია, რომელიც საჭიროებს პოზიციების შეჯერებას, როგორც უმრავლესობის შიგნით, ასევე მთავრობასთან“.

„ინტერპრესნიუსი“

იტალიის სასამართლომ სილვიო ბერლუსკონის 4 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა

იტალიის სააპელაციო სასამართლომ ქვეყნის ყოფილ პრემიერ-მინისტრ სილვიო ბერლუსკონის ფინანსური მაქინაციებისთვის 4 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

„ბი ბი სის“ ინფორმაციით, საქმე ეხება სილვიო ბერლუსკონის მედიაკომპანია Mediaset-ს. 76 წლის პოლიტიკოსმა ქვეყნის ხაზინაში გადასახადების სახით 7 მილიონი ევრო არ შეიტანა.

სასამართლოს გადაწყვეტილებით, ბერლუსკონის ხუთი წლის განმავლობაში ასევე ეკრძალება სახელმწიფო საქმიანობა.

სააპელაციო სასამართლომ, შარშან, მილანის სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი დატოვა ძალაში.

ბერლუსკონის ადვოკატთა განცხადებით, ყოფილი პრემიერ-მინისტრი სააპელაციო სასამართლოს განაჩენს იტალიის საკასაციო სასამართლოში გაასაჩივრებს. ბერლუსკონი უარყოფს ბრალდებებს და აცხადებს, რომ ეს პოლიტიკურადაა მოტივირებული.

„ინტერპრესნიუსი“

მთავრობა „საქართველოს ფოსტას“ პრივილეგიებს 2014 წლის იანვრიდან შეუწყვეტს

ფინანსთა მინისტრის გადაწყვეტილებით, ადრე მიღებული რეგულაციები, რომელთა აღსრულების შედეგად, მნიშვნელოვანი პრობლემები შეექმნათ ადგილობრივ მცირე და საშუალო გადამზიდველებს და უპირატეს მდგომარეობაში იქნა ჩაყენებული „საქართველოს ფოსტა“, გაუქმდა. „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს“ ინფორმაციით, აღმაშფოთებელია, რომ აღნიშნული რეგულაციის გაუქმება ხდება არა მყისიერად, არამედ მხოლოდ 2014 წლის პირველი იანვრიდან.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს“ ინფორმაციით, მათთვის ცნობილი გახდა, რომ ფინანსთა მინისტრმა ხელი მოაწერა ბრძანებას და უქმდება ადრე მიღებული რეგულაციები, რომელთა აღსრულების შედეგად მნიშვნელოვანი პრობლემები შეექმნათ ადგილობრივ მცირე და საშუალო გადამზიდველებს, ხოლო „საქართველოს ფოსტა“ უპირატეს მდგომარეობაში იქნა ჩაყენებული. ფინანსთა სამინისტრო აღიარებს, რომ იანვარში მიღებული ეს რეგულაციები გაუმართლებელია, მაგრამ აღმაშფოთებელია, რომ მათ მყისიერად კი არა, მხოლოდ 2014 წლის 1 იანვრიდან აუქმებენ მაშინ, როდესაც ბაზარზე მცირე და საშუალო გადამზიდველები, სავარაუდოდ, აღარც იარსებებენ.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს“ მიაჩნია, რომ ნოდარ ხადურის მიერ ხელმოწერილი ბრძანების 2014 წლის 1 იანვრიდან ძალაში შესვლა არ წარმოადგენს პრობლემის მოგვარების მცდელობას და არის როგორც გადამზიდველების, ისე საზოგადოების მოტყუება, ვინაიდან: მომავალი 8 თვის განმავლობაში ამ ბაზრიდან პრაქტიკულად განდევნილი იქნება ყველა მცირე და საშუალო მეწარმე, მათ მიყენებული ექნებათ სერიოზული ფინანსური ზიანი და აღარ ექნებათ ბაზარზე დაბრუნების პერსპექტივა. ამ დროის განმავლობაში კი ბაზარზე უპირატეს მდგომარეობას საბოლოოდ განიმტკიცებს „საქართველოს ფოსტა“; მომავალი 8 თვის განმავლობაში ასევე ძალაში რჩება ის საბაჟო რეგულაციები, რომლებიც მიღებული იქნა მოქმედი კანონმდებლობის დარღვევით. მათი ძალაში დატოვება კი ეწინააღმდეგება ქვეყნის კანონმდებლობას და შეუსაბამობაში მოდის საქართველოს მიერ საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებებთან;

ამასთან ერთად, არათანმიმდევრულია თავად ფინანსთა მინისტრის მიერ ხელმოწერილი ბრძანება, რომელიც საბაჟო ადმინისტრირების კონკრეტული წესების სავარაუდო გაუქმების შესახებ 8 თვით ადრე გამოიცემა მაშინ, როცა იმავე საბაჟო ადმინისტრირების წესების ამოქმედება, პრაქტიკულად, შესაბამისი ბრძანების გამოქვეყნებიდან 6 დღეში მოხდა.

„მოვუწოდებთ ფინანსთა სამინისტროს, მყისიერად გააუქმოს 2013 წლის იანვარში მიღებული ბრძანება და იმოქმედოს მცირე და საშუალო გადამზიდველების ინტერესების დასაცავად.

სასამართლოს მორიგი სხდომა 14 მაისს გაიმართება, სადაც „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველო“ დაზარალებული გადამზიდველების კანონიერი ინტერესების დაცვას გააგრძელებს“, — აცხადებენ „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოში“.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველო“ თავიდანვე აკრიტიკებდა ფინანსთა სამინისტროს მიერ ამ რეგულაციების შემოღებას. ორგანიზაციამ საჩივარიც შეიტანა სასამართლოში აღნიშნული ბრძანების გაუქმების მოთხოვნით. 29 აპრილს სასამართლო სხდომაზე ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ სამინისტროში შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ სადავო აქტში ცვლილებების განხორციელების შემდგომ აღარ იარსებებდა დავის გაგრძელების საჭიროება. ამ არგუმენტით, ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლებმა სასამართლო სხდომის გახსნისთანავე, იშუამდგომლეს პროცესის 2 კვირით გადადებაზე. ასევე, ფინანსთა სამინისტრომ პირობა დადო, რომ მოაგვარებდა მომჩივანი გადამზიდველების პრობლემას და მათ ნორმალურად მუშაობის შესაძლებლობას მისცემდა.

„ჯი-ეიჩ-ენი“

საავტომობილო გზების ნაციონალი და „ოცნებელი“ მესაფლავეები



მე-12 გვერდიდან

ბატონო პრემიერო, ის, რომ თქვენ მილიარდელი ბრძანდებით, საქართველოში ეწეოდით ქველმოქმედებას და გაილაშქრეთ მ. სააკაშვილისა და მისი სახელისუფლო გუნდის წინააღმდეგ, შექმენით პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელსაც საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობამ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს მხარი დაუჭირა, თქვენი საქმიანობის ერთი მხარეა. მეორე მხარე კი, საქართველოსთვის ყველაზე მნიშვნელოვანია — ჩვენს სახელმწიფოში გატარდეს, უკეთეს შემთხვევაში, არა ნახევარი, არამედ სრულყოფილი ზომები საავტომობილო გზების განვითარებისთვის. აღნიშნული საკამათო არ უნდა იყოს, რომ სრულყოფილად განახორციელებენ ის პირნი — სახელმწიფო მოხელეები, რომლებმაც თავიანთი ცოდნით და გამოცდილებით იციან, რას და რა მიზნით მართავენ. ეს მიზანი კი მოსახლეობის უდიდესი ნაწილის რეალური და არა მოჩვენებითი კეთილდღეობაა.

სწორედ ამიტომ მოვითხოვთ თქვენგან, როგორც საქართველოს პრემიერ-მინისტრისგან და არა პარლამენტისა და მისი თავმჯდომარისგან, რომელიც დაკავებულია პრეზერვატივების მოხმარების დაკანონებით (ასეთი საკანონმდებლო ორგანო სასწრაფოდ უნდა იყოს დათხოვილი), რომ პრესასა და ტელევიზიაში ყოველდღიურად აღბეჭდილ სახელმწიფოსთვის საჭირბოროტო საკითხებს, დამოუკიდებლად ან თქვენი შესაბამისი აპარატის მეშვეობით, გაეცნოთ, რათა ქვეყანას „კოშკიდან“ არ მართავდეთ.

ამავე დროს, გაცნობებთ ჩვენს პოზიციას: საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარედ ისევ დარგის არასპეციალისტი დავით შავლიაშვილი დაინიშნა, რომელიც, როგორც ჩვენთვის ცნობილია (ვეყრდნობით დოკუმენტურ მტკიცებულებებს), ამ თანამდებობაზე დანიშვნამდე მუშაობდა საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ბუნებრივი რესურსების სააგენტოს უფროსად და ამ თანამდებობაზე საქმიანობისას მიიღო აქტიური მონაწილეობა სამამულო მეთევზეობის დარგის განადგურებაში. ამ თემაზე ჩვენი სააგენტო ნახევარ წელზე მეტია, ატარებს ჟურნალისტურ გამოძიებას, რომლის საბოლოო შედეგებს მედიის მეშვეობით საზოგადოებას და, ამავე დროს, მოპოვებულ დოკუმენტურ მტკიცებულებებს კი, რეაგირებისთვის, მოქმედ კანონმდებლობასთან მიმართებაში, გადავცემთ საქართველოს სამართალდამცავ ორგანოებს (იუსტიციის სამინისტროს, მთავარ პროკურატურას, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს და შსს-ს).

გუბაზ მეგრელიძე
551-11-06-21

საინგილო გუშინ, დღეს... მაგრამ ხვალ?!

საქართველოს მოურჩენელ სატკივრად რჩება საინგილოში არსებული ვითარება. მართალია, ორი ქვეყნის პრეზიდენტები, ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენის ხათრით, ერთმანეთს „ძმობას“ ეფიცებიან, მაგრამ ეს მხოლოდ პოლიტიკური ფარსია, რომლის უკან ეროვნული ინტერესების დაცვა არ იკვეთება.
ფერშალ შევარდნაძეს ამ საკითხის წამოჭრა მეზობელი ქვეყნის შინაურ საქმეში ჩარევად მიაჩნდა, და თავისი „კოლეგას“, ფერშალ ორჯონიკიძის ეროვნული ღალატის გამოსწორება არც უცდია. სააკაშვილმა კი, ჯერჯერობით, ვერ მოიცალა... ან რა პატრიოტიზმზე შეიძლება ლაპარაკი, როცა განათლების მინისტრის ყოფილმა მოადგილემ, ალექსანდრე დიდებულიძემ დაიწუნა ივანე ჯავახიშვილის მიერ შედგენილი რუკა და აკრძალა მისი საინგილოში გავრცელება. მდგომარეობა კი თანდათან მძიმდება. განუკითხავად ითელება საინგილოს ქართული მოსახლეობის უფლებები. გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ვერსია“ №49(805), №50(806).



წითელი ხიდის პრობლემა

საქართველო-აზერბაიჯანის საზღვრის „წითელი ხიდის“ მონაკვეთი უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში, პრობლემურ საკითხად რჩება. მართალია, სასაზღვრო ზოლი ქვეყნის სადემილიტაციო კომისიების დონეზეა შეთანხმებული, მაგრამ ფაქტობრივად, ჩვენი სასაზღვრო უწყების მიერ სრულად ვერ კონტროლდება. მიზეზი პოლიტიკურად საკმაოდ სერიოზულია — საზღვრის ეს მონაკვეთი საქართველოს ტერიტორიის შიგნით, აზერბაიჯანის სასაზღვრო ძალების მიერ სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტის დროს დაინაღმა. სამწუხაროდ, ქართველმა მესაზღვრეებმა ეს უკანონობა არ აღკვეთეს, რის გამოც ნაღმზე აფეთქებით საქართველოს მოქალაქე დაიღუპა, ხოლო ქართველი მესაზღვრე მძიმედ დაიჭრა. მეტიც — სათანადო პროექტით საქართველოს საკონტროლო-გამშვები პუნქტის მშენებლობა უნდა დაწყებულიყო, მაგრამ იგი აზერბაიჯანის შიხლის რაიონის მცხოვრებთა ერთი ჯგუფის უსაფუძვლო პრეტენზიის გამო შეჩერდა. ამიტომ პუნქტის ჯიხური საქართველოს ტერიტორიაზე 300 მეტრის სიღრმეში გადაიტანეს და წლების განმავლობაში, მესაზღვრეებს რთულ პირობებში უწევდათ მუშაობა. ამით ჩვენს ტერიტორიაზე ნეიტრალური ზონა ხელოვნურად შეიქმნა, რაც მოუწესრიგებელ ვითარებას ქმნის. აზერბაიჯანის ტერიტორიაზე კი თავისი საკონტროლო- გამშვები პუნქტის კაპიტალური შენობა თავიდანვე საზღვრის ზოლზე ჰქონდა განთავსებული, ამიტომაც კითხვის ნიშნის ქვეშ დგება „წითელი ხიდის“ საქართველოს კუთვნილებაში ყოფნა, რაც ახალი ხიდის მშენებლობამაც განაპირობა.



ნებსით თუ უნებლიედ, „ვიღაცის“ გადაწყვეტილებით, დაახლოებით 1995-97 წლებში, „წითელი ხიდის“ სასაზღვრო ზოლიდან ქართველი მესაზღვრეები გამოიყვანეს და ეს მონაკვეთი მხოლოდ პოლიციის განაწესის ამარა დარჩა. ამ მომენტით ისარგებლეს არაორგანიზებული ვაჭრობის ლობისტებმა და ჩვენს ტერიტორიაზე (რომელსაც აზერბაიჯანული მხარე, რატომღაც სადავოდ მიიჩნევს) ბაზრის კაპიტალური ნაგებობები აშენდა. მას კი მთლიანად აზერბაიჯანელი მესაზღვრეები აკონტროლებენ. აქ კომენტარი ზედმეტია, მაგრამ არც არასაკმარის დაფინანსებაზე შეიძლება ამის გადაბრალება, რასაც საზღვრის დაცვის დეპარტამენტის მაშინდელი თავმჯდომარე ვალერი ჩხეიძე იმიზეზებდა. მოგვიანებით კი პრესაში კორუფციული საქმიანობისთვის ამხილეს, რასაც ამ რეგიონში ჰქონდა ადგილი. გამორიცხული არ არის, რომ ყოველივე სწორედ ვალერი ჩხეიძის თანამონაწილეობითა და გარიგებითაც ხდებოდა.



ამჟამად, სადემილიტაციო კომისია მუშაობს და ვნახავთ, როგორი შედეგით გადაწყვეტს საზღვრის პრობლემას.

საქართველოს კონსტიტუციის პირველი თავის მეორე მუხლში აღნიშნული საზღვრების დარღვევის უფლება არავის აქვს, მაგრამ აუცილებელია წარსული და არსებული გარემოებების მეცნიერული ანალიზი, რომელიც ნათელს მოჰფენს საზღვრის მთელი პერიმეტრის სამართლებრივ საფუძვლებს, რომ დემილიტაციის პროცესში გამოუსწორებელი შეცდომები აღარ დავუშვათ.

პირველ კარტოგრაფიულ სქემაზე გამოსახული ტერიტორია, ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით, საქართველოს კუთვნილებას წარმოადგენდა, ხოლო რუსეთთან შეერთების შემდეგ, ტერიტორიის საგუბერნიო დაყოფის საფუძველზე დარჩა ის, რაც სქემაზე დაშტრიხულია. ეს არის მდ. ალაზნის მარჯვენა მხარეს განფენილი სამკუთხედის ფორმის ტერიტორია — შავი მთის გაყოლებით სოფ. წითელი-საბატლოდან სოფ. სამთაწყაროს ჩათვლით (160 კვ კმ), რომელიც 1920 წლამდე ზაქათალას ოლქის შემადგენლობაში შედიოდა. 1920 წლის 7-12 მაისის რუსეთ-საქართველოს შორის მოსკოვში დადებული ხელშეკრულებით, საზღვრის ხაზი თითქმის ემთხვეოდა ვახუშტი ბაგრატიონის რუკებზე მოცემულ საზღვრებს. საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის 1920 წლის 20 ივნისს, სადგურ აქსტაფაში დადებული ხელშეკრულებით, საქართველოს მთლიანად დაუკანონდა ყარაიაზის, ელდარის სტეპი და ამ უკანასკნელის აღმოსავლეთ მხარის გაგრძელებაზე მდებარე ჭალაგანის ველი (ამჟამად დაფარულია მინგეჩაურის წყალსაცავით), მდ. იორის მარჯვენა სანაპირო და შემდეგ საზღვრის ხაზი ასევე ემთხვეოდა საგუბერნიო საზღვრებს — პალატუკანის ქედზე.

მკითხველი დააკვირდეს 2 რუკას. მდ. მტკვარსა და „წითელ ხიდს“ შორის მოქცეული სივრცე 310 დესეტინა სერიოზული კამათის საგანი უნდა გახდეს, ვინაიდან ამ ფართობზე აზერბაიჯანის უფლებების დამადასტურებელი დოკუმენტი არ არსებობს. 1938 წელს, ამიერკავკასიის რესპუბლიკების ხელმძღვანელთა თათბირზე მიღწეული შეთანხმებით, ეს ფართობი ჩვენს ტერიტორიაზე მდებარეობს, მაგრამ მოგვიანებით, ყაზახის სამხედრო კარტოგრაფიულ საწარმოში დაბეჭდილ ტოპოგრაფიულ რუკებზე თავი იჩინა საწინააღმდეგო ვითარებამ.

ამიტომ, 310 დესეტინა სერიოზულ დოკუმენტურ რევიზიას მოითხოვს, რადგან არის ეჭვი, რომ იგი საქართველოს მხარემ აზერბაიჯანს უსასყიდლო სარგებლობაში დროებით დაუთმო — მებამბეობის განვითარებისთვის.

საქართველოს გასაბჭოების პირველივე წლებში დაიკარგა ის ტერიტორიები, რაც 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციით იყო დაკანონებული. საბჭოთა ხელისუფლებამ ხელგაშლილად გაასხვისა ჩვენი წინაპრების მიერ სისხლით დაცული მიწები: აზერბაიჯანზე ზაქათალას (4061 კვ კმ) ოლქის ტერიტორია. შემდგომ აზერბაიჯანმა თბილისისა და სიღნაღის მაზრებიდან დამატებით მიიღო 1083 კვ კმ ყარაიაზისა და მდ. ივრისპირეთის სტეპები — სულ 5144 კვ კმ.



საინტერესოა, რომ წითელი ხიდი ათ წელზე მეტია ე.წ. ნეიტრალურ ზონადაა გამოცხადებული. აქ მხოლოდ აზერბაიჯანული დროშა ფრიალებს და აზერბაიჯანელი მესაზღვრეები „ბუფერულ ზონას“ სრულად აკონტროლებენ ისე, რომ სამახსოვრო სურათსაც არ გადაგაღებინებენ. ადრე ამ ადგილს ორივე მხარე აკონტროლებდა, მაგრამ ამჟამად „მოძმე“ აზერბაიჯანელთა ჰეგემონია აშკარაა. კანონით, ეს ადგილი საქართველოს ეკუთვნის, მაგრამ ფაქტია, ჩვენს ხელისუფლებას პოზიცია გაურკვეველი მიზეზებით დაუთმია. რაშია საქმე — არავის აინტერესებს...

დავითგარეჯას ტერიტორიის საკითხი

საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარზე ვითარება მას შემდეგ დაიძაბა, რაც მეზობელი ქვეყნის მესაზღვრეები ჩვენი ეროვნული საგანძურის, დავითგარეჯას სამონასტრო კომპლექსის მიდამოებში გამოჩნდნენ. მათ ქართველ რესტავრატორებს ერთ-ერთი ტაძრის აღდგენის საშუალება არ მისცეს, შემდგომში კი სასაზღვრო ყაზარმაც ააშენეს. მართალია, პროტესტი გამოითქვა, მაგრამ ამ ფაქტს ქართველი საზოგადოებრიობა იმდენად არ აღუშფოთებია, რომ ისტორიული ძეგლის დაცვას სათანადო რეაქცია მოჰყოლოდა. ზემონახსენები 1921 წლის 5 ივლისის ორმხრივი შეთანხმებით, საქართველოს საზღვარი წითელ ხიდსა და მდ. მტკვარს შორის გატარდა და ჯანდარის ტბის ავლით, მდ. ყირათევიდან (725 მ) მდ. უდაბნოსაკენ მიემართებოდა. აქ მოქცეული ყარაიაზის სტეპი, დავითგარეჯას სამონასტრო კომპლექსის კუთვნილი სახნავ-სათესების ნაწილი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე აღმოჩნდა — სულ 575 კვ კმ ფართობი.

საზღვრის ხაზის ამ მოხაზულობამ მხოლოდ 3 თვე იარსება. 1921 წლის 15 ნოემბერს კვლავ წამოიჭრა საკითხი საზღვრის ხაზის შეცვლის თაობაზე წითელი ხიდიდან გარეჯას კომპლექსამდე. მიღწეული შეთანხმებით, საზღვრის ხაზი წითელი ხიდიდან მდ. მტკვრამდე რკალს ხაზავს, სადგურ რუისბოლოს გავლით, ჯანდარის ტბას ჩრდილოეთიდან უვლის და მდ. უდაბნომდე მიდის. 1923 წლის 30 აპრილის კომისიის გადაწყვეტილებით, გარეჯას მონასტერთან გამავალმა საზღვრის ხაზმა საკამათოდ აქცია ის ტერიტორიები, რომლებიც ისტორიულად, უშუალოდ, მონასტერს ემიჯნებოდა და მის საკუთრებას წარმოადგენდა.

დასასრული მე-15 გვერდზე


2763
3659
2852
3545
453
609
892
ტაბა აჯინაური
ბაზარეული
ბაბაზი
ბილასანი
ზაზანიანა
ალი ბაბადი
ალი ბაბადი
ბაბი
ბაბი
ბაბა
ბაბა
ბაბა

ᲰᲝᲠᲝᲡᲙᲝᲞᲘ
10 მაისი

ᲕᲔᲠᲫᲘ — სიჯიუტე და ზედმეტი პირდაპირობა, შესაძლოა, ნეგატიურად აისახოს თქვენს კარიერაზე. ამიტომ ეცადეთ, ემოციები მოთოკოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ვერც თავდადებული შრომა და ვერც გარშემომყოფების მხარდაჭერა შედეგს ვერ მოიტანს.

ᲙᲣᲠᲗᲘ — ვარსკვლავები გირჩევენ, დღეს მეტად ყურადღებიანი იყოთ, ენერგიას ტყუილუბრალოდ ნუ გახარჯავთ, კარგად გააზრებული ქმედებები კი წარმატებას მოგიტანთ. არ არის გამორიცხული დროებითი ფინანსური პრობლემები.

ᲒᲣᲜᲔᲑᲘ — დროს უსარგებლოდ ნუ გაფლანგავთ, რადგან შესაძლოა, საღამოს ემოციურმა დაძაბულობამ პიკს მიაღწიოს, თუმცა ნუ ინერვიულებთ, მალე ეველაფერი ჩვეულ კალაპოტს დაუბრუნდება.

ᲙᲘᲠᲩᲮᲘᲜᲘ — არ არის გამორიცხული დროებითი მატერიალური პრობლემები, ამიტომ სჯობს, გქონდეთ რეზერვი გაუთვალისწინებელი ხარჯისთვის. ვიდრე თქვენი ბიზნესის გაფართოების გადწყვეტილებას მიიღებთ, კარგად აწონ-დაწონეთ საკუთარი შესაძლებლობები. ამ ეტაპზე კოლეგებსა და უფროსობასთან კარგი ურთიერთობის შენარჩუნება გჭირდებათ.

ᲚᲝᲛᲘ — შინაგანი ენერგიის საჭარბე, შესაძლოა, დამანგრეველი აღმოჩნდეს არა მხოლოდ გარშემომყოფებისთვის, არამედ თქვენთვისაც. შეეცადეთ, ეს სტიქია უსაფრთხო კალაპოტში მოაქციოთ. თქვენს სტიქიაზე იქნება დამოკიდებული წარმატებები.

ᲥᲕᲚᲜᲣᲚᲘ — დღეს შესაშური შრომისუნარიანობით გამოირჩევით — ბევრი საქმის გაკეთებას მოასწრებთ და თქვენი ენერგია დადებითად აისახება სამუშაოს შედეგზეც. დღის მეორე ნახევარში შესაძლოა კონფლიქტი ახლობლებთან, იყავით წინდახედული და ნუ მიიღებთ ნაჩქარევ გადწყვეტილებებს.

ᲪᲮᲝᲜᲠᲘᲡᲘ — მშვიდი დღე გაქვთ, თუმცა არის საფრთხე, სარისკო საქმეში ან კავშირში ჩაგითრიონ. კარგი დღეა მარტივი სამუშაოს შესასრულებლად, მშვიდი დასვენებისთვის. დროა, სერიოზულად დაფიქრდეთ შვებულებაზე.

ᲦᲠᲘᲐᲜᲙᲐᲚᲘ — ცუდი დღეა კონტაქტებისა და ურთიერთობისთვის, საეიდლებისთვის. გამოიჩინეთ სიფრთხილე და ყურადღება, ეველაფერი მხოლოდ თქვენზეა დამოკიდებული. ურთიერთობების გარკვევისას კი კეთილგონიერება გამოიჩინეთ.

ᲛᲨᲕᲘᲚᲓᲝᲡᲜᲘ — დღეს იძულებული გახდებით, სიმტკიცე გამოიჩინოთ და ყურადღება მოიკრიბოთ. შესაძლოა თქვენი საქმიანი აქტიურობა გარშემომყოფებმა არასწორად გაიგონ და ეს კონფლიქტის მიზეზი გახდეს.

ᲗᲮᲘᲡ ᲠᲥᲐ — სიტუაციის გაანალიზების იშვიათი უნარი და დიპლომატია დღეს ნებისმიერ საქმეში დაგეხმარებათ. მხოლოდ ნაჩქარევ გადწყვეტილებებს ნუ მიიღებთ. თანამშრომლებისა და ოჯახის წევრების მიმართაც მეტი ყურადღება გამოიჩინეთ, ამით არაფერს წაგებთ.

ᲛᲔᲠᲜᲣᲚᲘ — დაძაბული დღეა, ძალიან გაგიჭირდებათ სწორი გადაწყვეტილების მიღება. გაუბედობა, რაც არასწორი ინფორმაციით არის გამოწვეული, შესაძლოა, ფინანსური დანაკარგის მიზეზი გახდეს. მხოლოდ საკუთარი თავისა და ინტუიციის იმედი გქონდეთ.

ᲗᲔᲕᲖᲔᲑᲘ — წინააღმდეგობებით აღსავსე დღეა. პირველი ნახევარი, შესაძლოა, საკმაოდ მშვიდი იყოს, დღის მეორე ნახევარში კი დეპრესიას იგრძნობთ. ნუ დაემორჩილებით მას, შეეცადეთ, სადი განსჯის უნარი შეინარჩუნოთ.



ერის ნათელი მომავალი ეკლესია-მონასტრების მშენებლობაშია, მიიღეთ მონაწილეობა წმიდა ანდრია პირველწოდებულის მონასტრის მშენებლობაში. უფალი შეგეწევათ. ბედნიერი ადამიანი - მორწმუნე ადამიანია.

რომ გწამდეს - უნდა დაიჯერო, რომ გჯეროდეს - უნდა გინდოდეს, მადლი რომ მოიპოვო - უნდა გსურდეს. ქართველნო ერთად ღვთისაკენ.

ᲦᲛᲔᲠᲗᲛᲐ ᲓᲐᲒᲚᲝᲪᲝᲗ ᲓᲐ ᲒᲐᲒᲐᲫᲚᲘᲔᲠᲝᲗ

შენდემა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის „ყოველთა დედოფლის – პანტანასას“ სახელობის დედათა მონასტერი „ყოველთა დედოფლის საკანე“

„ყოველთა დედოფალი პანტანასას“ ღვთისმშობელი ცნობილია, როგორც ონკოლოგიურ ავადმყოფთა შემწე. სამწუხაროდ, საქართველოში გაიზარდა ამ სენით დაავადებულ ავადმყოფთა რაოდენობა. მრევლისა და ონკოლოგიურ დაავადებათა რესპუბლიკური ცენტრის ექიმებისა და პაციენტების თხოვნით, ათონის წმ. მთაზე, ვატოპედის მონასტერში, სადაც დაბრძანებულია ხატის ორიგინალი, შეიქმნა მისი ასლი, რომელიც 2003 წელს ჩამობრძანდა ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესიაში. კვირაში 2-ჯერ: ოთხშაბათს და პარასკევს, დღის 2 საათზე, აღევლინება ჯანმრთელობის პარაკლისი და უსასყიდლოდ გაიცემა საკურნებელი ზეთი ღვთისმშობლის კანდელიდან. ხატთან დღემდე აღესრულება სასწაულები. მრავალი ადამიანი განიკურნა, მრავალთა ავადმყოფობამ პროგრესირება შეწყვიტა.

გთხოვთ, თქვენი წვლილი შეიტანოთ მონასტრის მშენებლობაში და დარეკოთ: დერეკეთ: ჯეოსელის აბონენტებმა — 700311; მაგთის აბონენტებმა — 200351; ბილაინის აბონენტებმა — 700311

ᲖᲐᲠᲘᲡ ᲦᲘᲠᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ 1 ᲚᲐᲠᲘ

ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესია. სს „საქართველოს ბანკი“ ცენტრ. ფილ. ბანკის კოდი 220101502 ეროვნულ ვალუტაში ა/ა 000700205 . გიორგი რაზმაძე (წინამძღვარი) . სს „სტანდარტ ბანკი“ კოდი: 220101945 ეროვნულ ვალუტაში ა/ნ 1123598

ᲣᲤᲐᲚᲛᲐ ᲨᲔᲒᲘᲜᲘᲠᲝᲗ. ᲞᲐᲜᲢᲐᲜᲐᲡᲐᲡ ᲦᲕᲗᲘᲡᲛᲨᲝᲑᲔᲚᲛᲐ ᲓᲐᲒᲚᲝᲪᲝᲗ!

Appraisal.llc

ᲨᲞᲡ „ᲐᲠᲐᲠᲐᲘᲡᲐᲚᲘ“ ᲒᲗᲐᲕᲐᲖᲝᲑᲗ,

ᲣᲫᲠᲐᲕᲘ ᲓᲐ ᲛᲝᲫᲠᲐᲕᲘ ᲥᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲤᲐᲡᲔᲑᲐᲡ

ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲤᲣᲠᲪᲔᲚᲐᲫᲔ
ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: ᲜᲣᲪᲣᲑᲘᲫᲘᲡ №16Ა
ᲢᲔᲚ.: (5)99 22 98 33
ᲔᲚ-ᲤᲝᲡᲢᲐ: a.purtseladze@gmail.com

ᲰᲝᲠᲝᲡᲙᲝᲞᲘ
11 მაისი

ᲕᲔᲠᲫᲘ — დღეს ფინანსური დანაკარგი გელით. სახლში დაძაბული ატმოსფერო იძულებულს გაგხდით, საღამოს შეგობრების წრეში გაატაროთ. მთავარია, ბესიმიზმში არ გადავარდეთ და ეველაფერი დალაგდება. კარგი დღეა ახალი ნაცნობობისა და შეზავრობისთვის.

ᲙᲣᲠᲗᲘ — ეს დღე კურობებისთვის მოულოდნელობებით იქნება სავსე. ძალიან გაგიჭირდებათ, თავი აარიდოთ ცდუნებას, სხვა ადამიანების ნეგატიურ გავლენასა და მავნე ჩვევებს. სჯობს, ნაკლები აწუწუნოთ უბედობასა და გარშემომყოფთა მხარდაჭერის არარსებობაზე.

ᲒᲣᲜᲔᲑᲘ — დღეს, შესაძლოა, ვალი დაგაბრუნონ ან ძვირფასი საჩუქარი მიიღოთ. თქვენი თავშეკავება ახლობელი ადამიანის მიერ უყურადღებობად იქნება აღქმული, რაც გუგებრობასა და წყენას გამოიწვევს. არაა გამორიცხული, თქვენი მეორე ნახევრის ნათესავებმა რჩევისა და დახმარებისთვის მოგაკითხონ.

ᲙᲘᲠᲩᲮᲘᲜᲘ — დღეს ადვილად შეძლებთ უმნიშვნელო შეცდომების დამადვას, რის გამოც მხოლოდ ახლობლები დაზარალდებიან. არ არის გამორიცხული დანაკარგი ადრინდელი ფინანსური მოქმედებების გამო. ეს გამოვლინდება ფულად გადარიცხვებში, რაც ადრესატამდე არ მიგა.

ᲚᲝᲛᲘ — დღე ლომებისთვის ძაღალი აქტიურობით იქნება გამორჩეული. თქვენი სამუშაო და ახლობლების წინაშე მოვალეობა მთელ ყურადღებას წაიღებს. საღამოს, გირჩევთ, მეტი დრო სახლის საქმეებს დაუთმოთ და არ დაიწყოთ ურთიერთობების გარკვევა შინაურებთან. დღის განმავლობაში ახალი იდეები გაგიჩნდებათ, რაზეც დაფიქრება ნამდვილად ღირს.

ᲥᲕᲚᲜᲣᲚᲘ — კარგი დღეა როგორც ფიზიკური, ისე გონებრივი სამუშაოსთვის. ჭარმონიული დღეა ფინანსების მხრივაც. სასიამოვნო და სასარგებლო იქნება ურთიერთობა ოჯახის უფროს წევრებთან, მეგობრებთან. ფინანსურ საკითხებში მეტი გამბედაობა და მობილიზება გამოიჩინეთ.

ᲪᲮᲝᲜᲠᲘᲡᲘ — სასწორები დღეს ყურადღების ცენტრში იქნებიან. წარუმატებელი დღეა ინტიმური ურთიერთობებისთვის. თუ ვინმესთან ნაჩხუბარი ხართ, სწორედ შესაფერისი დროა შესარიგებლად. წარმატებული იქნება კომერციული ოპერაციები, შესაძლოა, რაიმე სახის დახმარება უცხოეთიდან მიიღოთ.

ᲦᲠᲘᲐᲜᲙᲐᲚᲘ — დღეს დაუგეგმავი ხარჯები გელით, არ არის გამორიცხული, უსიამოვნო ცნობა მიიღოთ ან უსიამოვნო ვითარებაში აღმოჩნდეთ, თუმცა დღის განმავლობაში წარმატება თქვენი თანმდევი იქნება საწინააღმდეგო სქესთან ურთიერთობაში. შესაძლოა, ძველი სასიყვარულო ურთიერთობაც განაახლოთ.

ᲛᲨᲕᲘᲚᲓᲝᲡᲜᲘ — მშვილდოსნებს დღეს ფინანსური დანაკარგი ელით — ეს ეველაფერი თქვენი ზედმეტი თავდაჯერებულობის გამო ხდება. სეეარელ ადამიანთან ურთიერთობების გართულების ალბათობაც დიდია და დაშორების რისკიც. დაეხმარეთ გარშემომყოფებს და ისინი თქვენი დიდი მადლობლები იქნებიან.

ᲗᲮᲘᲡ ᲠᲥᲐ — დღეგანდელი დღე საუკეთესოა საქმიანი მოგზაურობისა და მოლაპარაკებებისთვის. შესაფერისი მომენტია სეეარელ ადამიანთან ურთიერთობების გასარკვევად.დღეგანდელი მენიუდან საერთოდ გამორიცხეთ ხორცი და ის ბოსტნეულით ჩაანაცვლეთ.

ᲛᲔᲠᲜᲣᲚᲘ — დიდი ხნის დაწყებულ საქმეს დასრულებთ, რაც თქვენი ახლობლების ცხოვრების გაუმჯობესებისკენ იქნება მიმართული. აუცილებლად გახდებით მნიშვნელოვანი მოვლენის მოწმე, რაც ცხოვრების წვრილმანების მნიშვნელობას შეგახსენებთ. ფინანსების მხრივ, საკმაოდ წარმატებული დღეა.

ᲗᲔᲕᲖᲔᲑᲘ — თევზებს დღე კოლეგებთან, მშობლებსა და ასევე ახლო ნათესავებთან ურთიერთობაში სირთულეს ჰპირდება. დღის განმავლობაში უფრო სერიოზული და შრომისმოყვარე იყავით. საღამოს, შესაძლოა, ფინანსური პრობლემაც გაჩნდეს.

სუდოკუ

ადვილი

8				7				
6	1	5				7	3	
				6				1
	3		1		8			6
				5				
7			9		4		2	
4				8				
	7	8				4	6	2
				1				3

სტანდარტი

				5		4		3
4	6						9	
		9			7		6	
				9	5			7
	3						8	
9			4	7				
	2		8			3		
	9						5	6
8		3		6				

რთული

		5		2		8		
			7		6	5		
9				5			2	1
	3	8		9	7			
5								7
			1	6		2	3	
4	2			8				3
		9	6		3			
		3		7		9		

ექსპერტი

	5				3	1		
		4	7	1			5	
	7		8					9
			9		2	3		
				4				
		2	3		6			
9					4		7	
	6			9	8	4		
		3	1				9	

1. ქრისტიანული ლიტერატურის დარგი, რომელშიც მოცემულია წმინდანთა ცხოვრების აღწერა
2. პლატონ სამანიშვილის სიძის გვარი
3. სერბი კინორეჟ. ... კუსტურიცა
4. ხვეულბერი გოჩას ვაჟი
5. კორეული ავტომობილი
6. საგანთა ჩამონათვალი
7. თვალის ექიმი
8. იაპონ. სპორტულ-ლოგიკური თამაში
9. საომარი მოქმედების არე
10. ავადმყოფური მიდრეკილება ქურდობისადმი
11. დიაოხის ერთ-ერთი მეფე
12. მსუბუქი დაცინვა
13. ლუდის მწარმოებელი კომპანია
14. წინაღობის საზომი ერთეული
15. ინგლ. დედოფლის სამეფო დინასტია
16. ნბა-ს ვარსკვლავი შაკილ ...
17. მუმეს პატრონის სახელი (ტურგენ.)
18. ესპ. რევოლუციონერი ქალი
19. „12 სკამის“ ერთ-ერთი ავტორი
20. წარწერიანი ძვირფასი ქვა
21. ექვსფრთიანი ანგელოზი
22. დოსტოევსკის რომანი
23. (ძვ) აპრილი
24. აშშ-ის კოსმოსური სააგენტო
25. სქესობ. განსხვავებების უარყოფა
26. მდინარე აზიაში
27. ერთეულთა საერთაშ. სისტემა
28. მუსლიმანთა საშუალო სკოლა
29. თანაბარი ანგარიში ჭადრაკში
30. შეგროვებული ფულით ქეიფი
31. თავისუფალი მცველი ფეხბურთში
32. ოთხკუთხა ფიცრებით დაგებული იატაკი
33. ვერდის ოპერა
34. „მილანის“ მეკარე
35. ბატონის მსახური
36. რუანდის დედაქალაქი
37. მდ. შვეიცარიის დედაქალაქში
38. ბეთპოვენის მშობლიური ქალაქი
39. ქართული ჭიდაობის ილეთი
40. „თეთრი ოქრო“
41. აფრიკის თანამედრ. არაბული სახელწოდ.
42. თავაშვებული ქეიფი
43. ბუდას დედის სახელი
44. ფალიაშვილის ოპერა
45. ბულბული - მეგრულად
46. უნარი, მოხერხება
47. იტალ. „ნიღბების კომედიის“ პერსონაჟი
48. ორსული საქონელი
49. სკვითების მახვილი
50. ფირნიში
51. კავკასიის მთიელთა სოფელი
52. ჭაობის მცენარე
53. ცხენის ფეხზე დასაკრავი რკინა
54. ... პაჩინო
55. ვულკანი კუნძულ სიცილიაზე
56. იაპონ. მწერალი კობო ...
57. ღვთაებრივი მსხნელი
58. სხვადასხვა მხარეს მზირალი თვლები
59. ძვ. ქართ. ანბანის მე-15 ასო
60. ჯუჯა კამეჩი
61. მომღ. ... ფიცვგერალდი
62. მზის ღმერთი ინკების მითოლოგ.
63. პოეტური გამოცანა
64. მსახიობი ვივიენ ...
65. ჩინეთის ავტონ. ერთეულის, აომინის პორტუგალიური სახელწოდება
66. წვრილი ქვიშა
67. შინაური ცხოველი
68. ... ბოლდუინი

წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

ადვილი

1	5	9	2	4	3	8	7	6
2	8	7	9	1	6	5	4	3
4	6	3	5	8	7	2	1	9
3	2	5	8	7	1	6	9	4
9	1	8	6	5	4	3	2	7
7	4	6	3	2	9	1	5	8
6	9	1	7	3	2	4	8	5
8	3	2	4	9	5	7	6	1
5	7	4	1	6	8	9	3	2

სტანდარტი

5	8	1	3	6	9	7	2	4
4	7	6	5	2	1	3	9	8
3	2	9	8	4	7	1	6	5
8	6	7	4	3	2	9	5	1
2	5	4	1	9	8	6	3	7
1	9	3	7	5	6	8	4	2
9	4	8	6	7	5	2	1	3
7	3	2	9	1	4	5	8	6
6	1	5	2	8	3	4	7	9

ადვილი

9	8	5	3	7	4	6	2	1
4	3	2	1	9	6	5	8	7
1	7	6	2	8	5	4	3	9
8	4	1	9	6	3	2	7	5
6	5	7	4	2	1	3	9	8
3	2	9	8	5	7	1	4	6
7	1	8	6	4	2	9	5	3
5	6	4	7	3	9	8	1	2
2	9	3	5	1	8	7	6	4

სტანდარტი

9	3	5	4	2	8	7	1	6
4	2	8	7	6	1	9	5	3
1	6	7	5	3	9	8	4	2
8	9	6	3	1	7	5	2	4
7	1	4	6	5	2	3	9	8
3	5	2	8	9	4	6	7	1
6	4	3	2	7	5	1	8	9
5	8	9	1	4	6	2	3	7
2	7	1	9	8	3	4	6	5

რთული

9	8	5	2	4	3	7	1	6
4	7	6	8	9	1	5	3	2
3	2	1	7	6	5	4	9	8
2	6	8	5	7	9	1	4	3
5	4	9	1	3	6	2	8	7
1	3	7	4	2	8	9	6	5
8	1	4	3	5	7	6	2	9
7	9	3	6	1	2	8	5	4
6	5	2	9	8	4	3	7	1

ექსპერტი

1	6	3	9	5	4	2	8	7
8	2	4	3	1	7	9	6	5
9	5	7	8	6	2	4	1	3
4	3	8	7	2	9	1	5	6
5	1	2	6	4	3	7	9	8
7	9	6	1	8	5	3	4	2
2	8	1	4	3	6	5	7	9
6	7	5	2	9	1	8	3	4
3	4	9	5	7	8	6	2	1

რთული

4	6	3	9	8	2	1	5	7
2	7	1	6	5	4	3	9	8
8	5	9	7	1	3	6	4	2
7	4	8	3	2	9	5	1	6
6	3	2	1	7	5	9	8	4
1	9	5	4	6	8	2	7	3
3	2	7	8	9	1	4	6	5
5	1	6	2	4	7	8	3	9
9	8	4	5	3	6	7	2	1

ექსპერტი

2	1	3	9	8	6	7	5	4
8	4	9	7	5	3	2	6	1
7	6	5	4	2	1	9	8	3
3	7	2	1	9	5	6	4	8
1	5	8	6	7	4	3	2	9
6	9	4	2	3	8	1	7	5
5	3	7	8	6	9	4	1	2
9	2	1	5	4	7	8	3	6
4	8	6	3	1	2	5	9	7

მე-17 გვერდი: 1. თინათინი; 2. აკვედუკი; 3. ამბარი; 4. აქანდაზი; 5. კაპიტოლიუმი; 6. თეატრი; 7. ნუდისტი; 8. თემიდა; 9. ალიზი; 10. დოში; 11. ზორო; 12. რინიტი; 13. ნეაპოლი; 14. აზდაკი; 15. ვარანი; 16. ქადა; 17. მიელიტი; 18. პრეზენტი; 19. პრიშტინა; 20. „აიდა“; 21. დანია; 22. მიქსერი; 23. ობერტონი; 24. რასპე; 25. ნისია; 26. სიათა; 27. რიკული; 28. „ილოური“; 29. უნია; 30. პადრე; 31. აბუ; 32. ბარბი; 33. ტორტი; 34. რარიტეტი; 35. აპია; 36. ტყვია; 37. ტიკი; 38. ალპინისტი; 39. პოლ; 40. კიბე; 41. როზალია; 42. ლარგო; 43. ულაყი; 44. ნაია; 45. იონი; 46. ლომი; 47. კუტუნიო; 48. ლისეო; 49. „დდტ“; 50. ილი; 51. ფხა; 52. ცრუ; 53. უსტარი; 54. ისლი; 55. ვანილი; 56. ორდერი; 57. ფიცი; 58. ესავი; 59. მედიე; 60. ერიკ; 61. ელ; 62. ხე; 63. მუცალი; 64. ინტი; 65. ბოა; 66. შალი; 67. ერი; 68. ლიე.

მე-20 გვერდი: 1. კამბალა; 2. „აპოკალიფსი“; 3. პუნში; 4. კარლო; 5. მაზინა; 6. აბულია; 7. ამიმია; 8. არხარი; 9. ჯორდანი; 10. ვარანი; 11. მზიური; 12. ტრაქტი; 13. მნიშვნელი; 14. ხვალ; 15. „ხორუმი“; 16. ლოჯია; 17. ლემპირა; 18. ინტიმი; 19. არაკი; 20. აიშვარია; 21. ანარა; 22. რეალია; 23. პლატონ; 24. ნისლი; 25. შაქარი; 26. „ტიიდა“; 27. აირი; 28. რახათლუხუმი; 29. ვიტ; 30. აპარტეიდი; 31. რემიქსი; 32. კრიშნა; 33. პო; 34. დილოგია; 35. ველ; 36. ციტოლოგია; 37. რაცია; 38. დიდავა; 39. როკო; 40. აუტი; 41. არეალი; 42. ვალაბი; 43. ოხრა; 44. ხმალი; 45. ოდრი; 46. „ოდოია“; 47. ოთხი; 48. სირ; 49. ტილი; 50. ალთაი; 51. ბაზა; 52. მაიკლ; 53. ივრითი; 54. იჩქერია; 55. როჯერ; 56. რიშარი; 57. ბოუი; 58. იური; 59. ბასილა; 60. ინგირი; 61. ზარალი; 62. ხვიჩა; 63. არა; 64. „ილიადა“; 65. ოზმა; 66. ქურუმი; 67. ლირი; 68. იობი; 69. მირეი; 70. ფიფა; 71. ფანჯიდუ; 72. შაბათი; 73. თამამი; 74. რე; 75. ლენა; 76. ნეი; 77. თინა; 78. ბაო; 79. თრითინა; 80. ლოტოტრონი; 81. ოლიფა; 82. ოე; 83. მონა; 84. ნება; 85. „ნივეა“; სურთზე: ორქიდეა.

ჰოროსკოპი
12 მაისი

ვერძი — თქვენი ზედმეტი თავდაჯერებულობის გამო, შესაძლოა, ფინანსური დანაკარგი იწვნიოთ. ზედმეტი იმპულსურობა ნაჩქარევ ნაბიჯს გადაგადგმევინებთ. სუვარელ ადამიანთან გართულებული ურთიერთობები კი, შეიძლება, ჩიხში შეგიდეს.

კურო — დღეს ერთ-ერთი ახლო მეგობრის საქციელი სასიამოვნოდ გაგაკვირვებთ. განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევთ პატარა ნიუანსებსა და წვრილმანებს. შესაძლოა, კარგი ამბები გახაროთ ახლო ნათესავმა. ეს ინფორმაცია თქვენს ცხოვრებას უკეთესობისკენ შეცვლის.

ტყუპები — დღეს შეგიძლიათ თამამად აიღოთ ვალი და თანხა კარგ საქმეში დააბანდოთ. გაბედულად გამოიჩინეთ ინიციატივა და საქმიანი წინადადებები კოლეგებსა თუ უფროსობასთან განიხილეთ. საღამოს, შეეცადეთ, კარგად დაისვენოთ. დაძაბულობის მოსახსნელად კი, ძილის წინ, ცხელი აბაზანა მიიღეთ.

კირჩხიბი — კარგი დღეა სერიოზული სამუშაოსა და გაბედული ჩანაფიქრის სისრულეში მოყვანისთვის. დღეს ტყუილის თქმა ვერ გიშველით, ის მხოლოდ დაგაზარალებთ. გამოიჩინეთ თავშეკავება და ნუ გაჯიუტდებით — მოგეცემათ საშუალება, ჩანაფიქრი მოკლე ხანში აისრულოთ. დღეს დიდი ალბათობაა ახალი რომანტიკული კავშირისა.

ლომი — ლომებმა უფროსობასთან სიბრძნე და გამძლეობა უნდა გამოავლინონ. გულღია საუბარი საკუთარი თავის რწმენას დაგიბრუნებთ. ბავშვებს კი დიდი ხნით უყურადღებოდ ნუ დატოვებთ, რადგან არის ტრავმების საფრთხე. თუ კუჭი გაწუხებთ, დღეს მენიუდან აუცილებლად გამორიცხეთ მარილიანი და მწარე საკვები.

ქალწული — შესაძლოა, ისეთ რთულ სიტუაციაში აღმოჩნდეთ, რაც ტაქტსა და მოთმინებას საჭიროებს. სასიკეთოდ პატარა, სჯობს, გადადოთ, რადგან დღეს ის კარგს არაფერს მოგიტანთ და ვერც უსიამოვნო სერიოზულ საუბარს გაექცევით. საღამოს ბავშვები გაანებივრეთ და მათ ახალი სათამაშო ან საინტერესო წიგნი შეუძინეთ.

სასწორი — დიდია ალბათობა, დღეს ის ვალი დაგიბრუნონ, რომელიც აღარც კი გახსოვდათ. ყურადღებით იყავით პარტნიორის არჩევისას, რადგან ურთიერთობა, შესაძლოა, საკმაოდ ხანგრძლივი აღმოჩნდეს. ნურც მოვლენებს დააჩქარებთ, რადგან არც ისე სასურველი დღეა კარდინალური ცვლილებებისთვის, სამაგიეროდ, წარმატებული დღეა შემოქმედებითი პროფესიის ადამიანებისთვის.

ღრიანცალი — არ არის გამორიცხული, ხელმძღვანელობამ არასწორად შეაფასოს თქვენი საქმიანი აქტიურობა. სავარაუდოა, რომ მატერიალურ სიძნელეებს წააწყდებით, დღის განმავლობაში კი, შეხვდებით კეთილგანწყობილ ადამიანებს.

მშვილდოსანი — დღეს განსაკუთრებით მობილიზებული უნდა იყოთ, რათა რთული სამუშაო კარგად შეასრულოთ. შესაძლოა, თქვენს პარტნიორებზე გახდეთ დამოკიდებული. ხანმოკლე სამსახურებრივი რომანი კოლეგებისა და უფროსობის მხრიდან აუკარა გულისწყრომას გამოიწვევს. ფრთხილად იყავით ავტომანქანის მართვისას.

თხის რქა — თხის რქებისთვის დღე კონფლიქტით დაიწყება. თავისმართლება არ გიშველით, რადგან დიდწილად, დამნაშავე თავად იქნებით. თუ პრეპარატების ყიდვა დაგეგეგმათ, ყურადღებით დააკვირდით ვადას და წამლის მოხმარებისას, არავითარ შემთხვევაში დოზას არ გადააჭარბოთ. დღეს თავი შეიკავეთ მძიმე საკვების მიღებისგანაც.

მერწყული — დღეს შეგიძლიათ მოხერხებულად ისარგებლოთ სიტუაციით, საქმეში წინ რომ წაიწიოთ. კარგი პერსპექტივებია პირად ცხოვრებაში, თუკი ინტელექტუალური საუბრები გიტაცებთ. შესაძლოა, პრობლემები შეგექმნათ საქმიან პარტნიორებთან.

თევზები — შეეცადეთ, დღეს დინებამ შორს არ გაგიტაცოთ. ფრთხილად იყავით — ბევრი ისეთი ადამიანი ტრიალებს თქვენს ირგვლივ, რომელიც მზადაა, ნებისმიერ დროს გიმტროთ. დღეს საინტერესოდ გაატარებთ. უველა მნიშვნელოვანი საკითხი მოაგვარეთ, საღამოს კი დრო მეგობრების წრეში გართობას დაუთმეთ.

ბუნება — ბედნიერების საიდუმლო

სწავლულებმა ნისლიანი ალბიონიდან დაასკვნეს, რომ ადამიანის ბედნიერების საიდუმლო ბუნებასთან სიახლოვეშია. ექსეტერის უნივერსიტეტის მეცნიერებმა ხანგრძლივი კვლევა ჩაატარეს და დაამტკიცეს, რომ ადამიანი ბედნიერი და ოპტიმისტი მხოლოდ ბუნების წიაღში ხდება: სპეციალისტები სოფლიდან ქალაქში გადასახლებულ 5 ათას დაოჯახებულ და 10 ათას მარტოხელა ადამიანს დიდი ხნის განმავლობაში იკვლევდნენ, შედეგად პროექტის ყველა მონაწილემ დაადასტურა, რომ როდესაც სოფელში ცხოვრობდა, გაცილებით ბედნიერი იყო. სწავლულთა დასკვნით, ბუნებასთან ახლოს მყოფი ადამიანის მდგომარეობა შეყვარებულთა ეიფორიას უტოლდება.

დიასახლისის ჭრიჭა ჭეკვანეს

ამერიკელი სწავლულები შეეცადნენ დაედგინათ, რა ენერგიას ხარჯავს ერთი ჩვეულებრივი დიასახლისი დღის განმავლობაში. აღმოჩნდა, რომ ქალებს საოჯახო საქმე იმდენივე ენერგიას ართმევს, რამდენსაც ფეხბურთელებს ზედიზედ ორი მატჩი, ველოსიპედელებს — 80-კილომეტრიანი დისტანცია და ჩიგბურთლებს — 2-საათიანი შეხვედრა. დედას ბავშვის მოვლა კი იმდენივე ოფლისღვრა უჯდება, რაც მორაგბეს — მატჩის ნახევარი. მეცნიერებმა ისიც გამოთვალეს, რომ აქტიური რვასაათიანი სამუშაო დღის შემდეგ, დიასახლისი 1582 კალორიას წვავს.

განქორწინება გაზეთით

ერთმა ჭკვიანმა იაპონელმა მოიფიქრა და საკმაოდ მომგებიანი ბიზნესი ააწყო — გაზეთი Divorce Newspaper gamosca, რომელიც ამომავალი მზის ქვეყანაში უდიდეს პოპულარობას იკრებს, როგორც ახლობლებისთვის განქორწინების შეტყობინების უმტკივნეულო საშუალება. ეს ყოფილ მეუღლეებს განქორწინების მიზეზების ახსნის მძიმე ტვირთისგან ათავისუფლებს. გარშემომყოფები, ადრე თუ გვიან, მაინც იგებენ წყვილის დაშორების შესახებ, ამიტომ უკეთესია, ეს ინფორმაცია ყველას ერთდროულად და დელიკატურად მიაწოდონ. გამოცემა მათთვის ლამაზ ისტორიებსაც იგონებს და ოჯახის წევრებსა და ახლობლებს შერბილებული ფორმით აცნობებს განქორწინების მიზეზს. თუკი წყვილი მოისურვებს, რომ Divorce Newspaper-ის გმირი გახდეს, გამოცემას უნდა მიმართოს. წყვილისგან ინტერვიუს იღებენ ერთად გატარებულ პერიოდზე, და ინტიმურ დეტალებზე ესაუბრებიან, რაც ჩვეულებრივი მკითხველისთვისაც საინტერესოა, ერთი კვირის შემდეგ კი ეს ყველაფერი ბეჭდვურ სახეს იღებს და დანიშნულების ადგილებში იგზავნება. ერთგვერდიან გაზეთში განქორწინების მსურველმა წყვილმა 140 დოლარი უნდა გადახადოს, განმეორებითი ტირაჟის ჩამობეჭდვა კი 200 დოლარი ჯდება.

ALL THE NEWS OF BRIDAL

HAPPY DIVORCE

Saturday, May 26, 2012

Memories

After marriage

ქორწილის სტუმრებს უჩივის

აზერბაიჯანელმა მამაკაცმა სასამართლოში სარჩელი შეიტანა, და მისი ვაჟის ქორწილში დაპატიჟებულ, მაგრამ არმისულ სტუმრებს უჩივის. როგორც ანარ გასიმლის ადვოკატი აცხადებს, მისი კლიენტის თქმით, ის 80-ვე სტუმრის ოჯახში, ქორწილებშია ნამყოფი და საკმაოდ დიდი თანხაც აქვს გადახდილი. ახლა კი განაწყენებული მამა მოითხოვს, ქორწილში მიწვეულმა, მაგრამ არმისულმა სტუმრებმა მას ამ სადღესასწაულო ცერემონიისთვის გაწეული ხარჯი აუნაზღაურონ.

სუდოკუ

ადვილი

7		5			3		4	
			9					8
	6	1	5					
2	1	9					5	6
5	8					4	2	1
					8	1	6	
9					5			
	3		7			2		5

სტანდარტი

				7				
		8		5	3		4	
	3		8					6
		2	3		6		8	
	6						3	
	1		5		2	9		
5					7		2	
	7		2	9		3		
				6				

რთული

4	3				7		8	
	8			4			9	3
			1			5		
			7	1				9
	1	3				6	2	
9				5	2			
		2			1			
8	6			7			1	
	5		4				6	2

ექსპერტი

9		8	7				3	
3	6		4	9				
5	4							
	5		3					1
		1	6		4	3		
8					9		5	
							2	5
				3	1		6	9
	8				6	1		3

მანქანის მართვის უჩვეულო წესები

ავტომობილის მართვის ყველაზე საინტერესო, უცნაური და ზოგჯერ შოკში ჩამგდები წესები მანქანების გაქირავების სააგენტომ Avis გამოაქვეყნა:

აშშ-ში, კერძოდ კი, კალიფორნიაში ჩასულებმა უნდა იცოდეთ, რომ აქ აკრძალულია მანქანის მართვა ხალათით, პიჟამათი ან კაბით (თუკი მანდილოსანი არ ბრძანდებით);

ერთ-ერთ ევროპულ ქვეყანაში, დანიაში კანონი მოითხოვს, რომ ვიდრე საჭეს მიუჯდებით, შეამოწმოთ, ხომ არავინაა თქვენი მანქანის ქვეშ. ასევე ამ ქვეყანაში აუცილებელია, გამგზავრების წინ, შეამოწმოთ მუხრუჭი;

კვიპროსზე საჭესთან მჯდომს წყლის დალევაც კი ეკრძალება;

რუმინეთში გასარეცხი ავტოთი მგზავრობაა აკრძალული;

პირენეებზე კანონი მოითხოვს, რომ ვინც მანქანის მართვისას სათვალეს ხმარობს, მას აუცილებლად უნდა ჰქონდეს მეორე, სათადარიგო სათვალეც;

საბერძნეთში უფრო შორს წავიდნენ — აქ საგზაო მოძრაობის ინსპექტორები სანომრე ნიშნებს აცლიან არასწორად გაჩერებულ მანქანებს;

იტალიასა და რუსეთში კანონით, მძღოლმა მაშუქი არა მხოლოდ ღამით, დღისითაც უნდა აანთოს, თუ ის დასახლებულ პუნქტში არ იმყოფება, რათა უბედურ შემთხვევას თავი აარიდოს;

ესპანეთის ზოგიერთ ქალაქში ავტომობილები კენტნომრიანი სახლების წინ თვის კენტ რიცხვებში უნდა იყვნენ გაჩერებულნი, ლუწ რიცხვებში კი — ლუწნომრიანი სახლების წინ;

თუკი ვენაში მოხვდებით, შეეცადეთ, არ დაასიგნალოთ, ავსტრიის დედაქალაქში ეს კატეგორიულად აკრძალულია.

სტიუარდესებს წითელი პომადა აუკრძალეს

თურქულმა ავიაკომპანიამ Turkish Airlines თანამშრომლებს, კერძოდ კი, ბორტგამცილებლებს სამუშაო საათებში წითელი ან ვარდისფერი პომადის წასმა აუკრძალა და ეს გადაწყვეტილება „მგზავრების უკმაყოფილებით“ ახსნა. გავრცელებული ინფორმაციით, ავიაკომპანია ასევე უარს ეუბნება სამსახურში მიღებაზე მათ, ვისაც სხეულის გამოსაჩენ ადგილას ტატუ ან პირსინგი აქვს, აკრძალულია ასევე თმის წითლად შეღებვა, სტიუარდესებისთვის მხოლოდ მსუბუქი მაკიაჟია დაშვებული. კომპანიის ამ გადაწყვეტილებამ დიდი კრიტიკა გამოიწვია სოციალურ ქსელებსა და ოპოზიციურ პარტიებშიც. ერთ-ერთი ოპოზიციური პარტიის ლიდერმა ავიაკომპანიის ხელმძღვანელობის ამ გადაწყვეტილებას „გარყვნილება“ უწოდა. თურქმა ქალბატონებმა კი ახალი წესები სოციალური ქსელით გააპროტესტეს და საკუთარი სურათები გამოაქვეყნეს, სადაც მკვეთრი მაკიაჟი აქვთ.

ინსულინს ჰორმონი შეცვლის

ჰარვარდის ღეროვანი უჯრედების ინსტიტუტის მეცნიერებმა ახალი ჰორმონის — ბეტატროფინის არსებობა აღმოაჩინეს, მათი მტკიცებით, ეს ჰორმონი დიაბეტიან ადამიანებს ინსულინის გარეშე ცხოვრებაში დაეხმარება. ჰორმონი კვლევებისას მღრღნელების ცხიმოვან ქსოვილებსა და ღვიძლში აღმოაჩინეს. გაირკვა, რომ ბეტატროფინი თითქმის 30-ჯერ ზრდის ბეტა-უჯრედების გამომუშავებას, რომელიც პასუხისმგებელია ინსულინის სეკრეციაზე. მკვლევარები არ გამორიცხავენ იმის შესაძლებლობას, რომ ახლო მომავალში ეს ჰორმონი ერთადერთი პრეპარატი გახდეს დიაბეტთან ბრძოლაში. ინსულინის რამდენიმე ნემსის გაკეთების ნაცვლად, საკმარისი იქნება, პაციენტმა ბეტატროფინის ერთი ინექცია გაიკეთოს კვირაში, ზოგიერთ შემთხვევაში კი, წელიწადში ერთხელ. ჰორმონის გამოყენებითი თერაპიის კიდევ ერთი პლუსი ის ფაქტია, რომ ჩნდება საშუალება, თავი ავარიდოთ გარკვეულ გართულებებს, რადგან ადამიანის ორგანიზმი საკუთარი ინსულინის გამომუშავებას დაიწყებს. ამ ეტაპზე ჰარვარდელმა მეცნიერებმა თანამშრომლობა დაიწყეს ერთ-ერთ გერმანულ ფარმაკოლოგიურ კომპანიასთან და უახლეს მომავალში გეგმავენ ბეტატროფინის კლინიკური გამოცდების დაწყებას.

მავნე ჩვევები ქალს პრობლემებს უქმნის

ერთ-ერთმა ინტერნეტ-პორტალმა იმ მავნე ჩვევათა რეიტინგი შეადგინა, რაც მშვენიერი სქესის წარმომადგენლებს ცხოვრებაში პრობლემებს უქმნის. მაშ ასე:

მაღალი ქუსლები — ქალების უმრავლესობა ყოველდღიურ ცხოვრებაში უპირატესობას მაღალქუსლიან ფეხსაცმელს ანიჭებს, რაც ჯანმრთელობაზე უარყოფითად აისახება. მაღალ ქუსლებზე სისტემატურმა სიარულმა, შესაძლოა, მთელი რიგი დაავადებები გამოიწვიოს, მათ შორის ართრიტი და წელის ტკივილი. სპეციალისტების თქმით, ყოველდღიური მოხმარებისთვის ქუსლის ყველაზე ოპტიმალური სიმაღლე 4 სანტიმეტრია;

მძიმე ჩანთა — ნოუთბუქების, ნეტბუქებისა და სხვა უამრავი აქსესუარის საუკუნეში, საქმიანი ქალების ყოველდღიური „ბარგი“ საგრძნობლად დამძიმდა, რის გამოც ისინი წელისა და კისრის არეში ტკივილსა და ხერხემლის გამრუდებასაც უჩივიან;

მაკიაჟით ძილი — ბევრ მანდილოსანს ძილის წინ მაკიაჟის მოცილება ეზარება. გახსოვდეთ, რომ ღამით მაკიაჟთან ერთად, სახეზე იტოვებთ ჭუჭყსაც, რომელიც ახშობს ფორებს და ანთებით პროცესს იწვევს; **სასმელი** — ხანდახან ქალები სუფრასთან კაცებს ტოლს არ უდებენ ალკოჰოლის სმაში, არადა ქალის ორგანიზმი, ძლიერ სქესთან შედარებით, ორჯერ ნაკლებ სითხეს შეიცავს და ამიტომ უფრო სწრაფად თვრება. ამ დროს სჯობს, ალკოჰოლი წვენით გააზავოთ;

ბიუსტჰალტერის არასწორი ზომა — თურმე სუსტი სქესის წარმომადგენელთა 70% არასწორად შერჩეული ზომის ბიუსტჰალტერს ატარებს, რამაც შესაძლოა, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები გამოიწვიოს. მაგალითად, ტკივილი წელის, კისრის, მკერდის არეში, ჰაერის უკმარისობა, კანის გაღიზიანება და სისხლის მიმოქცევის დარღვევა;

სტრესი — ქალები საერთოდ მიდრეკილნი არიან დეპრესიისადმი. სპეციალისტების განცხადებით, სტრესი ორჯერ მძიმე ზიანს აყენებს ქალის ორგანიზმს, ვიდრე მამაკაცისას;

ძილის ნაკლებობა — გარდა იმისა, რომ გამოუძინებლობა სახის კანსა და მთლიანად გარეგნობაზე აისახება, უძილობამ შესაძლოა, გულსისხლძარღვთა დაავადებები გამოიწვიოს.

ოთარ მეღვინეთუხუცესი 81 წლის ასაკში გარდაიცვალა

9 მაისს, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ, ლეგენდარული ქართველი მსახიობი ოთარ მეღვინეთუხუცესი 81 წლის ასაკში გარდაიცვალა.

ოთარ მეღვინეთუხუცესი 1932 წლის 16 იანვარს დაიბადა. თეატრალური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, ბატონი ოთარი ქართული თეატრისა და კინოს განუყოფელი ნაწილი გახდა. საქართველოს სახალხო არტისტი, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი, რუსთაველის სახელმწიფო, კოტე მარჯანიშვილის სახელობის და სხვა პრემიების ლაურეატი — ეს იმ ჯილდოების, პრემიებისა თუ ტუტულების ჩამონათვალია, რომელსაც ოთარ მეღვინეთუხუცესი ფლობდა.

მსახიობს განსაკუთრებული აღიარება მოუტანა ფილმ „დათა თუთაშხიაში“ შესრულებულმა მთავარმა — დათას როლმა. 1981 წელს, სწორედ დათას როლისთვის, ბატონი ოთარი საქართველოს სსრკ-ს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი გახდა. მოგვიანებით კი, ფილმში „იზიდი“ მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისთვის ტოკიოს კინოფესტივალზე საერთაშორისო პრემია გადაეცა.

ოთარ მეღვინეთუხუცესს შესრულებული აქვს როლები ფილმებში: „ფატიმა“, „ვედრება“, „დიდოსტატის მარჯვენა“, „მთვარის მოტაცება“, „ნატვრის ხე“, „კეთილი ადამიანები“, „მზე შემოდგომისა“. ასევე, უამრავი როლი რუსთაველისა და მარჯანიშვილის თეატრებში.

ფოტო თაკო რობაქიძის





გაზეთ „ვერსიის“ რედაქცია სამძიმარს უცხადებს ქალბატონ გურანდა გაბუნიას, მეღვინეთუხუცესების ოჯახს და სრულიად საქართველოს ლეგენდარული მსახიობის, ოთარ მეღვინეთუხუცესის გარდაცვალების გამო

ვერსია
მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
ნინო ხარშილაძე, რუსუდან შელია,
დავით დევიძე, ნათია ვასაძე.
სტილისტი: თამარ არათანაშვილი, ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 590 740999; 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.